

სამართლის სტატიათა კრებული



თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

გეორგიან ჯურნალი

თბილისი

2013

კრებულში მოცემულია საკითხები სამართლის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლება თავისუფლებებთან, საკონსტიტუციო იუსტიციასთან, ბრალის თეორიასთან, ახლად დანერგილი ინსტიტუტის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შესახებ და ასევე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის სამართლებრივი შეფასება.

კრებული განკუთვნილია იურისტებისათვის, სამართლის მიმართულების სტუდენტებისა და სამართლით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი: არჩილ ლორია

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი: დავით გეფერძე

ტექნიკური რედაქტორი:

ნიკა დუდაშვილი

© სტატიის ავტორები, 2013

ISBN 978-9941-0-5935-3

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	4
ნიკა დუდაშვილი - „კონსტიტუცია და მისი დამცველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების გამიჯვნაში.....	5
ანზორ კოპალეიშვილი - სიცოცხლის უფლების დილემა.....	31
მაია ყუშიტაშვილი - ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში.....	52
ნინო ქისტაური - საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები.....	63
მარი ბერუაშვილი - რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში.....	70
ნიკა ჭანტურია - ოჯახური ძალადობის ბუნება.....	77
ემზარ ბაგაშვილი - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....	87

წინასიტყვაობა

სამართლის სტატიითა კრებული სპეციფიური გამოცემა, იმ კუთხით, რომ მასში განხილული თითოეული თემა წარმოადგენს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ ნაშრომებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა ასევე თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა ნაშრომებიც ასევე ამ კრებულის შემადგენელი ნაწილია, რაც ასევე მისასალმებელი ფაქტია.

კრებულში მოცემულია ნაშრომები კონსტიტუციურ სამართლის, სისხლის სამართლის და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე პრობლემატურ თემატიკასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კრებული წარმოადგენს ჩვენს მიერ გამოცემულ პირველ ნამუშევარს და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში შევძლებთ მრავალი კრებულისა და სახელმძღვანელოს გამოცემას და ამით მცირეოდენ წვლილს შევიტანთ სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და აკადემიური წერის კულტურის ამაღლებაში.

ნიკა დუდაშვილი

ნიკა დუდაშვილი

„კონსტიტუცია და მისი დამცველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების
გამიჯვნაში“

„განათლებას ადამიანები უზიარებენ

ერთმანეთს და არა კედლები“

შესავალი

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ ჰოლმსი ამბობს : -
„ზოგი, თვლის რომ კონსტიტუცია ეს არის ფრატინა ქარალადი, მაგრამ
მილიონ დოლარიანი ჩეკი, ესეც ხომ ფრატინა ქალადია იქამდე სანამ,
მას ბანკში გასანაღდებლად არ მივიტანთ?“.

კონსტიტუციური სამართლის სუბიექტები, ანუ ადამიანები
ხშირად ვერ სწვდებიან კონსტიტუციის არსსა და მიზნებს, ამიტომ
ხშირად აკრიტიკებენ მას, ეჭვებში აყენებენ მისი არსებობის
აუცილებლობას, რადგან თვლიან, რომ მათ რეალურად არ აქვთ იმ
ნორმების იმდაგვარად გამოყენების უფლება, როგორ ლამაზადაც არის
გაწერილი ისინი უზენაეს კანონში.

ამიტომაც, კონსტიტუცია და მასთან დაკავშირებული საკითხები,
სამართალში მუდამ ყურადღების ცენტრშია და განსაკუთრებულ
ადგილს იკავებს. კონსტიტუცია აარონ ბარაკის თქმით, ერთდროულად
წარმოადგენს: ფილოსოფიას, პოლიტიკას, საზოგადოებასა და
სამართალს¹, ასევე დასძენს, რომ კონსტიტუციის ტექსტის მიზანია
მომავალი თაობებისათვის ძირითადი მიმართულებების მიცემა,
უმრავლესობის კონტროლი და ინდივიდუალურ ღირებულებათა და
თავისუფლებათა დაცვა². კონსტიტუცია უდიდესი სოციალური და

¹ Barak A., Purposive Interpretation in Law, translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 371; ციტირებულია გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი; სტატია; ხელნაწერზე უფლებით; გვ 1.

² Barak A., Hermeneutics and Constitutional interpretation, Cardozo law review, Vol. 14, 1992-1993, 772

პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია, ხშირად სოციალური ინტეგრაციის ფუნქციასაც ასრულებს და ერის, საზოგადოების ერთიანობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სწორედ კონსტიტუციამ გააერთიანა ინგლისის ბატონობისაგან გათავისუფლებული 13 პროვინცია³ და შექმნა ერი⁴.

კონსტიტუცია არის ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის საწყისი პუნქტიც და ბოლო, გადამწყვეტი საბუთიც, რომელიც არ არეგულირებს ვიწრო ჭრილში ერთეულ საკითხებს, მას როგორც ეროვნული კანონმდებლობის ფუნდამენტსა და მწვერვალს ესაჭიროება მუდამ დაცვა. მის დამცველ ინსტიტუტად კი სხვადასხვა ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის თუ ზედამხედველობის ორგანოები გვევლინებიან.

ხელისუფლების დანაწილება ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა, რომ პოლისში სახელმწიფო მმართველობა უნდა ემყარებოდეს დანაწილების პრინციპს.⁵ შემდეგ კი ეს იდეა ლოკმა და მონტესკიემ განავითარა და საკუთარი მოსაზრება ჩამოაყალიბეს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ხელისუფლება დანაწილებული (ძალაუფლება გამიჯნული), მიზანი კი ერთი იყო, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება - გაწონასწორების დამყარება.

³Токвиль А. Д., Демократия в Америке, Перевод В.П. Олейника, Е. П. Орловой, И. А. Малаховой, И. Э. Иванян, Б. Н. Ворожцова, Москва, 1992, 101. ციტირებულია გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი; სტატია; ხელნაწერზე უფლებით; გვ 3.

⁴Pollack Sh. D., Constitutional Interpretation as Political Choice, University of Pittsburgh Law Review, Vol. 48, 1987, 1000; ix. citireba: Missouri v. Holland, 252, U.S. 416 (1920). ციტირებულია გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი; სტატია; ხელნაწერზე უფლებით; გვ 3.

⁵კონსტიტუციური სამართალი; რედაქტორი დემეტრაშვილი ა., თბილისი , 2005, 262

ბლანკენაგელის განმარტებით, „საკონსტიტუციო კონტროლი, ეს არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ“.⁶

კონსტიტუციის დამცველი ორგანოები, დღეის მდგომარეობით დიდ გავლენას ახდენენ ქვეყანაში დემოკრატიულობის დამყარების თვალსაზრისით, რომელიც კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და კანონის ნორმის განმარტებაში გამოიხატება.

თავი I მცირე ისტორიული ექსკურსი

1. კონსტიტუციის კონტროლის ისტორიული განვითარება

საკონსტიტუციო კონტროლის პრეცედენტი პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ რესპუბლიკაში შეიქმნა.

1803 წლის საქმე "მერბერი მედისონის წინააღმდეგ" გახდა პირველი მნიშვნელოვანი სასამართლო პრეცედენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც ე.წ. "იურიდიული გადახედვის" პრინციპი დააფუძნა.⁷

აშშ-ში ერთ-ერთი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი ფედერალისტი ჯონ ადმსი და მისი მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი ტომას ჯეფერსონი, რომელმაც ახალ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. ჯონ ადამსმა საკუთარი ვადის დარჩენილი დროს განმავლობაში დაიწყო ფედერალისტი მოსამართლეების დანიშვნა სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, სწორედ ასეთი მოსამართლე გახლდათ უილიამ მერბერი, ვისი დანიშვნის ბრძანებამაც არეულობის გამო

⁶გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", №1 1998, 24. დაწვრილებით იხ. გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, გვ.12

⁷მერბერი მედისონის წინააღმდეგ; ნიკოლოზ რურუა; ქართული პრესის ელექტრონული არქივი; 24 საათი; 2002; <http://www.open.ge/index.php?m=21&y=2002&art=15537>

სასამართლომდე ვერ მიაღწია, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ უმნიშვნელო ტექნიკური დეტალის გარეშე მოსამართლეს საკუთარი მოვალეობის შესრულების უფლება არ ჰქონდა, ანუ მისი დანიშვნა ფიქტიური იყო.

იმ დროისათვის ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის კოაბიტაცია ვერ მოხერხდა და მუდამ ებრძოდა ჯეფერსონი ფედერალისტ მოსამართლეებს. როდესაც მან პრეზიდენტის ოფისი დაიკავა, ადამსის მიერ ხელმოწერილ მოსამართლეთა ბრძანებებს მიაგნო რომელთა შორისაც უილიამ მერბერისაც ერია. მან სახელმწიფო მდივანს ჯეიმს მედისონს უბრძანა, რომ ეს ბრძანებები დანიშნულებისმამებრ არ გაეგზავნა. ამ ამბის შემდეგ მარბერმა დახმარებისათვის უზენაეს სასამართლოს მიმართა, იმ დროისათვის სასამართლოს სათავეში ფედერალისტი, ადამსისა და მერბერის მოკავშირე ჯონ მარშალი იდგა. ერთი შეხედვით საქმე იმგვარად იყო, რომ ერთ მხარეს რესპუბლიკელები მედისონი და ჯეფერსონი იდგნენ ხოლო მეორე მხარეს ფედერალისტები მერბერი და ჯონ მარშალი, რომელსაც უნდა ეთქვა საბოლოო სიტყვა ამ საქმესთან დაკავშირებით. სასამართლო თუ გაამტყუნებდა მედისონს და შეეცდებოდა ჯეფერსონის იძულებას ბრძანება დანიშნულებისამებრ გაეგზავნა, გონივრული ეჭვი არსებობდა, რომ პრეზიდენტი არ დაემორჩილებოდა სასამართლოს განაჩენს და ეს კი გამოიწვევდა "კონსტიტუციურ კრიზისს"⁸

ჯონ მარშალმა ეს საკითხი ადვილად გადაწყვიტა მან საჭიროდ სცნო პასუხის გაცემა შემდეგ სამ კითხვაზე:

1. გააჩნია თუ არა მერბერს საკუთარი დანიშვნის მოთხოვნის კანონიერი უფლება?
2. თუ აქვს ეს უფლება, სთავაზობს თუ არა კანონი ამ უფლების დაცვის გარანტიას?
3. თუ კანონი აძლევს მას ასეთ გარანტიას, არის თუ არა უზენაესი სასამართლო შესაფერისი იურისდიქციის მქონე ინსტანცია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად?

⁸მერბერი მედისონის წინააღმდეგ; ნიკოლოზ რურუა; ქართული პრესის ელექტრონული არქივი; 24 საათი; 2002; <http://www.open.ge/index.php?m=21&y=2002&art=15537>

პირველ შეკითხვაზე სასამართლომ პასუხი იოლადა გასცა, ვინაიდან მერბერი ჯერ კიდევ კანონიერი პრეზიდენტის ბრძანებით იყო დანიშნული, მერბერს საკუთარი დანიშვნის მოთხოვნის უფლება კანონიერად ჰქონდა. მეორე კითხვაზეც სასამართლომ დადებითი პასუხი გასცა, მან განაცხადა რომ კანონზე უზენაესი არაფერია და ყველანი უნდა ვემორჩილებოდეთ კანონს, ის კი ჩვენი უფლებების დაცვის გარანტიაა.

მეორე კითხვაზეც სასამართლოს მხრიდან პასუხი დადებითად იქნა გაცემული. ხოლო მესამე შეკითხვაზე ჰქონდა თუ არა უზენაეს სასამართლოს შესაფერისი უფლებამოსილება ბრძანების გამოსაშვებად, სასამართლომ დაასკვნა: ვინაიდან მერბერი ეყრდნობოდა კონგრესის 1789 წლის კანონს, რომელიც უზენაეს სასამართლოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ იურისდიქციის საზღვრებს უფართოვებდა, სასამართლომ საჭიროდ სცნო ამ აქტის ხასიათის, ანუ მისი კონსტიტუციურობის განხილვა. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, ჰქონდა თუ არა მას კონსტიტუციის ტექსტის შეუსაბამო კანონის უკანონოდ (არაკონსტიტუციურად) გამოცხადების უფლება.

მოსამართლე მარშალმა პასუხი თვით კონსტიტუციის სტრუქტურაში იპოვა და დაასკვნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციით ხელისუფლება მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში იყო მოქცეული ამგვარი ლიმიტირება ყოველგვარ აზრსა და ფუნქციას კარავდა თუ ხელისუფლების რომელიმე განშტოებას მისი დაცვის უფლებამოსილება ჩამოერთმეოდა ასეთი განშტოებად კი სასამართლო იგულისხმებოდა. ".გამორჩეულად და განსაკუთრებულად იურიდიული დეპარტამენტის მოვალეობაა, რომ ითქვას რა არის კანონი, რომელიც არ ეთანხმებოდა კონსტიტუციას. სასამართლომ 1789 წლის აქტი ასეთად გამოაცხადა და მერბერს, სააპელაციო სასამართლოსკენ მიუთითა, კონსტიტუცია რომ არა დარღვეულიყო, უზენაესი სასამართლო ამ საქმეს მეორედ საფეხურზე ანუ ქვემდგომი სასამართლოს განხილვის შემდეგ მოისმენდა.

1803 წელს ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ, პირველად ჩათვალა თავი უფლებამოსილად, შეემოწმებინა კანონის კონსტიტუციურობა და კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში იგი ბათილად გამოეცხადებინა. ეს პრეცედენტი ძირითად უფლებებთან მიმართებით ახალ პრაქტიკას უყრიდა დასაბამს, რითაც მოქალაქის ინიციატივით,

კანონმდებლის მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის განხილვა იყო შესაძლებელი.⁹

2. საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ინსტიტუტის გამოვლენის ეტაპები

იურიდიულ დოქტრინაში კონსტიტუციებს მათი მიღების დროის მიხედვით ყოფენ. არსებობს პირველი ტალღის კონსტიტუციები: აშშ-ს 1787 წლის, ბელგიის 1831 წლის, ნორვეგიის 1814 წლის, შვეიცარიის 1874 წლის, ავსტრალიის 1900 წლის და სხვა, რომელთა შექმნაც უკავშირდება ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქასა და ამ წყობილების გამტკიცების პერიოდს. ამ დროის კონსტიტუციებისათვის ძირითადად დამახასიათებელია რეგულირების ვიწრო წრე, წინა პლანზე სახელმწიფო ორგანოთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოწყობის საკითხების წამოწევა. ადამიანის ძირითად უფლებებს, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა.

საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინაც სწორედ, რომ საჭირო იყო ასეთი კონსტიტუციებისათვის, მაგრამ მისი აღმოცენება მაინც დროში გაიწელა, პირველი კონტროლის ინსტიტუტი დაინერგა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1803 წელს, ეს კარგა ხანს იყო ერთადერთი პრეცედენტი სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, სადაც ჯერ კიდევ კონსტიტუციის კონტროლის ან ზედამხედველობის ინსტიტუტის არსებობა არ შეინიშნებოდა. შემდეგი ქვეყანა რომელმაც შემოიღო კონტროლის ინსტიტუტი ეს იყო შვეიცარია, რომელმაც 1848 წელს აამოქმედა საკონსტიტუციო კონტროლი. ამის შემდეგ 1853 წელს არგენტინამ. ამ მოსაზრებას ბევრი მეცნიერი არ ეთანხმება და ასახელებენ 1803 წელზე უფრო ძველ ისტორიულ მოვლენებსაც, სადაც მიზანდასახულად თუ გაუცნობიერებლად კანონთა კონტროლს ადგილი ჰქონდა, მაგალითად ასეთ ფაქტებად შეიძლება ჩაითვალოს „ძვ.წ. 585 წელს ათენში შემოღებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ჰელაია, რომელიც სასამართლო საქმეების განხილვის გარდა უფლებამოსილი იყო მიეცა დასკვნები კანონპროექტებზე, რომლებიც წარედგინებოდა

⁹იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია; თბილისი, 2009; გვ 194

სახალხო კრებას.¹⁰ ასევე ესპანეთში 1163 წელს არგონის სამეფოში არსებობდა სპეციალური კომისია, რომლის უფლებამოსილებაც იყო თვალყური ედევნებინა ახლად მიღებული კანონებისათვის, რათა არ დარღვეულიყო მეფის ხელმოწერით დადასტურებული წესები, რომლებიც განიხილებოდა ქვეყნის ძირითად კანონებად. სპეციალური საბჭოს არსებობას ადგილი ჰქონდა პოლონეთშიც 1775 წელს, რომელსაც ირჩევდა საკანონმდებლო ორგანო და მისი ძირითადი საქმიანობაც კანონების განმარტებას წარმოადგენდა, რომლებიც სავალდებულო იყო ყველა სასამართლოსათვის.

ყველაზე ხშირად კი სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებული არის "დიდ ბრიტანეთში XVII საუკუნეში მონარქთან არსებული "საიდუმლო საბჭო", რომელიც უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა და ძალადაკარგულად ეცნო სამეფოს კოლონიების საკანონმდებლო ორგანოების ლეგისლაციურების მიერ გამოცემული კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ან საერთო სამართალს."¹¹

თვითონ ამერიკაშიც მერბერის გახმაურებულ საქმემდე, არსებობდა რამოდენიმე საქმე, სადაც შეინიშნებოდა კონტროლის ნიშნები მაგალითად 1789 წელს ოლმეს V. ჭალტონ-ის საქმეზე სასამართლომ პირველად მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც, შტატის კანონი ბათილად იქნა ცნობილი შტატის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო. ასევე 1786 წელს თრევეტტ V. ჭეედენ-ის საქმეზე ასევე კანონი იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი.

ჩემი აზრით, იმ დროისათვის ნათლად არ იყო გაანალიზებული ის ქმედება თუ რას წარმოადგენდა კონტროლისა თუ ზედამხედველობის განხორციელება, მემაჩნია, რომ პირველი პრეცედენტი, რომელიც თავისი სამართლიანობით და დემოკრატიის ნიშნებით იყო გაჯერებული შეიქმნა 1803 წელს მერბერი მედისონის წინააღმდეგ საქმეზე, რომელიც ნაშრომის წინა თავშია მიმოხილული.

¹⁰ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია; I ნაწილი; თბილისი 1995; გვ 62 დაწვრილებით იხ. კოჭლამაზაშვილი ბადრი; კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა; თბილისი, 2009; გვ14

¹¹ კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა; თბილისი, 2009; გვ15

მეორე ტალღის კონსტიტუციების წარმოშობა დაკავშირებულია კაპიტალისტური ეკონომიკის კრიზისთან, მეორე მსოფლიო ომის შედეგებთან, სოციალისტური ბანაკის არარსებობასთან, ასეთი კონსტიტუციებია: საფრანგეთის 1946 და 1958 წლის კონსტიტუციები, იაპონიისა და იტალიის 1947 წლის, გერმანიის 1949 წლის, საბერძნეთის 1975 წლის, პორტუგალიის 1976 წლისა და ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციები ასევე ამ დროისათვის სხვა პატარა სახელმწიფოების კონსტიტუციებიც.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიღებულ კონსტიტუციებში მოიკიდა ფეხი კონტროლის ინსტიტუტმა და ამის შემდგომ გავრცელდა სხვა სახელმწიფოებშიც, ახალი კონსტიტუციებისის ამოქმედებასთან ერთად და მას მერე ვითარდება უსწრაფესად.

საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი, რომელსაც სხვაგვარად ავსტრიულსაც უწოდებენ, პირველად ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს კელზენის იდეების საფუძველზე აღმოცენდა,¹² რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხელისუფლების არც ერთ შტოს არ განეკუთვნება და ფუნქციები კი მიმართულია ხელისუფლების შტოებს შორის წონასწოების შენარჩუნებისაკენ და მათ მიერ კონსტიტუციის ნორმებისა და სამართლის საერთო პრინციპების განუხრელ შესრულებაზე. ჰანს კელზენი თვლიდა, რომ კონსტიტუცია უზენაესი ნორმაა, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ და იგი უნდა აღსრულდეს.¹³ მისი იდეები ემყარებოდა ამერიკულ გამოცდილებასა და ევროპულ აზროვნებას.¹⁴ ჯერ კიდევ მე-

¹² კონსტიტუციონალიზმი; მელქაძე ო., თბილისი; 2008; გვ 372

¹³ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა; კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ.ნიინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ; 56; დაწვრილებით იხ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დიმიტრი გეგენავა; გიორგი კვერენჩხილაძის რედაქტორობით; თბილისი, 2012; გვ;14

¹⁴ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დიმიტრი

19 საუკუნეში აბატი სიესი ემხრობოდა საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბებასა და ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, ვინაიდან მისი აზრით, "კონსტიტუცია ან სავალდებულო კანონების კრებულია, ან – არაფერი"¹⁵ მისი თქმით "თუ კონსტიტუცია ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობაა, ისმის კითხვა – სად არის მისი დამცველი ინსტიტუტი?.." ¹⁶

საკონსტიტუციო კონტროლის დამოუკუდებელი ინსტიტუტი, სასამართლოს სახით, პირველი ავსტრიაში 1920 წლის კონსტიტუციით, შემდეგ ჩეხეთსა და ესპანეთში შეიქმნა.

თავი II. საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ინსტიტუტი, ტერმინოლოგიური სხვაობა

1. კონსტიტუციური კონტროლი, საკონსტიტუციო კონტროლი

როდესაც საკონსტიტუციო იუსტიციის საკითხს ვეხებით, პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ საკონსტიტუციო კონტროლის, კონსტიტუციური კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის ცნებები.

"საკონსტიტუციო კონტროლი" და "კონსტიტუციური კონტროლი" ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.¹⁷

გეგენავა; გიორგი კვერენჩხილამის რედაქტორობით; თბილისი, 2012; გვ:14

¹⁵შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა; კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურამის თარგმანი, თ.ნიინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ; 54

¹⁶კვერენჩხილამე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია" №3, 2005, 44; იხ. ციტირება: Pasquino P., Sieyes et l' invention de la Constitution en France, Paris, 1998, 193-196.

¹⁷კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი; ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", №4, 2005; 11;

ბატონი ოთარ მელქაძე წერს, რომ კონსტიტუციური კონტროლი არის: კონსტიტუციით დაფუძნებული სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო კონტროლი, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლი – საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ხელისუფლების ორგანოების ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენას ითვალისწინებს.¹⁸ ე.ი "საკონსტიტუციო კონტროლი" კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოები.¹⁹ შესაბამისად დაუშვებელია მათი იდენტური მნიშვნელობით გაიგივება.²⁰

1.2. საკონსტიტუციო ზედამხედველობა

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ "საკონსტიტუციო კონტროლისა" და "საკონსტიტუციო ზედამხედველობის" ტერმინებიც. ამ ორ პოლიტიკურ-სამართლებრივ ტერმინს სხვადასხვა მეცნიერები სხვადასხვანაირად განმარტავენ. ლინგვისტური თვალსაზრისით, "ზედამხედველობა" და "კონტროლი" სრულიად იდენტური ცნებებია,²¹ რომელთაც საერთო მიზანი გააჩნიათ.²²

კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009; 2;

¹⁸ კონსტიტუციონალიზმი; მელქაძე ო., თბილისი; 2008; გვ 372 ასევე იხ., მელქაძე ო., "საკონსტიტუციო კონტროლი" – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", №1, 1998, 19

¹⁹ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დიმიტრი გეგენავა; გიორგი კვერენჩხილაძის რედაქტორობით; თბილისი, 2012; გვ;16

²⁰ ბატონი დიმიტრი გეგენავას აზრით: ტერმინოლოგიური განსხვავება გამოწვეულია ქართული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, რომელიც საშუალებას იძლევა "საკონსტიტუციო" და "კონსტიტუციური" სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელ ცნებებად მივიჩნიოთ. ინგლისურსა და რუსულში ხსენებული ინსტიტუტი თითო ცნებით აღინიშნება: Constitutional Control (ინგლ.) და Конституционный Контроль (რუს.)

²¹ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი; ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", №4, 2005; 12; იხ. ციტირება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას

ბატონი ოთარ მელქაძის აზრით: საკონსტიტუციო კონტროლსა და საკონსტიტუციო ზედამხედველობას შორის სხვაობა არსებითია. ზედამხედველობის ორგანოს, შემდგომი შემოწმების შედეგად ძალუძს შეაჩეროს არაკონსტიტუციური აქტის მოქმედება, ხოლო კონტროლის ორგანოს წინასწარი შემოწმების შედეგად, შეუძლია მსვლელობა არ მისცეს არაკონსტიტუციურ კანონპროექტს. ზედამხედველობისგან განსხვავებით საკონსტიტუციო კონტროლი, კანონპროექტის წინასწარი ექსპერტიზის გზით, კანონშემოქმედებით პროცესში ჩართვასაც გულისხმობს, როგორც ეს საფრანგეთშია.²³

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც მაგალითად, პროფესორები. ი. ილინსკი და ბ. შჩეტინინი თვლიან, რომ "საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის ცნებები შეესატყვისებიან ერთმანეთს და მათი გამოიჯენა, მით უმეტეს ერთი-მეორეს დაპირისპირება არ შეიძლება ცნობილ იქნეს წარმატებულ მცდელობად"²⁴ თუმცა ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები.

საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს დარღვევის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის, _ დადგენას, შემოწმებას, გამოვლენას და რეაგირების მოხდენას, ხოლო საკონსტიტუციო ზედამხედველობის დროს რეაგირების მოხდენა სავალდებულო არ არის.

ამ ორ ინსტიტუციას შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებს დარღვევებზე რეაგირების განსხვავებული

რედაქტორობით, 268; ასევე იხ., კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 2; დაწვრილებით იხ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დიმიტრი გეგენავა; გიორგი კვერენჩხილაძის რედაქტორობით; თბილისი, 2012; გვ:16

²² ცნობილადე პ., კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა; ჟურნ. "სამართალი", №1, 1992, 24

²³ კონსტიტუციონალიზმი; მელქაძე ო., თბილისი; 2008; გვ 373

²⁴ Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах. „Советское государство и право,, 1969, 42 ასევე იხ. კოჭლამაზაშვილი ბადრი; კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა; თბილისი, 2009; გვ2

უფლებამოსილებები აქვთ. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებს არ აქვთ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტის გაუქმების უფლება, მათ შეუძლიათ მხოლოდ შეაჩერონ ამ აქტის მოქმედება, ან აქტის მიმღებ ორგანოს მიმართონ შეუსაბამობის აღმოფხვრის მოთხოვნით, შეუძლიათ ასევე, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება ამგვარი შეუსაბამობის არსებობის შესახებ და ა.შ. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს კი აქვთ ზემოქმედების ეფექტური საშუალებები, უპირველეს ყოვლისა, უფლება – გააუქმონ კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტები.²⁵

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების (იუსტიციის) ტერმინებიც. კონსტიტუციური მართლმსაჯულება სპეციალიზებული ორგანოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან სხვა ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საქმიანობას გულისხმობს, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც შეუძლიათ განახორციელონ.

თანამედროვე სახელმწიფოებში ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო თავის ფუნქციების განხორციელების მიხედვით გვხვდება ან საკონსტიტუციო ზედამხედველობის სახით ან საკონსტიტუციო კონტროლის სახით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს ყველა სასამართლო, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლს უზენაესი სასამართლო. ამერიკული მოდელი ემყარება იმას, რომ კანონის ანტიკონსტიტუციურობა შეიძლება განსაზღვროს ნებისმიერმა მოსამართლემ, თუ იგი განიხილავს ამა თუ იმ საქმეს და ეს კანონი მოცემულ საქმეში უნდა გამოიყენოს. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სხვადასხვა ინსტანციაში, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით. ამ უკანასკნელს უფლება აქვს განიხილოს ეს საქმე ან უარი თქვას განხილვაზე. ეს უარი გულისხმობს კონსტიტუციის ქვემდგომი სასამართლოსეული ინტერპრეტაციის მხარდაჭერას, მაგრამ ეს ნაგულისხმები მხარდაჭერა არ წარმოადგენს პრეცედენტს უზენაესი სასამართლოსთვის. თუ საქმის განხილვისას უზენაესი სასამართლო ამა

²⁵საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; გიორგი კახიანი; თბილისი, 2006; გვ18

თუ იმ კანონს ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს, ეს კანონი მომავალში არ გამოიყენება.²⁶

შესაბამისად, აშშ-ის სისტემა დაკავშირებულია კონკრეტულ საქმეებთან, რომელთა განხილვის პროცესშიც კანონების კონსტიტუციურობის ზედამხედველობას საერთო სასამართლოები ახორციელებენ.

თავი III. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი ობიექტი არის, კანონის ან ქმედების კონსტიტუციურობა, ასამართლებრივი აქტისა და ქმედების კონსტიტუციურობის დადგენა კი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ორგანოს ევალება, მაგალითად საერთო სასამართლოებს, უმაღლეს სასამართლოს, სპეციალიზებულ სასამართლოს, საკანონმდებლო ორგანოს, სპეციალიზებულ საკონსტიტუციო საბჭოს, რელიგიური ნიშნით დაკომპლექტებულ საბჭოს, ზოგიერთი ქვეყნის მეთაურის ირიბი ფორმით და ა.შ.

1. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს სახეები

თანამედროვე სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის თუ ზედამხედველობის ოთხი ფორმა არსებობს:

1. პირველი ეს არის, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს საერთო სასამართლოები.

2. მეორე არის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს უმაღლესი ინსტანციის სასამართლო (უზენაესი სასამართლო).

3. მესამე არის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალიზებული სასამართლო რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ჰქვია. მაგალითად საქართველო, რუსეთი და ასე შემდეგ.

²⁶ შაიო ა., ხელისუფლების თვითმეზღვრვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003წ. 278

4. მეოთხე არის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს თუ ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალურად ამისათვის შექმნილი საბჭო, მაგალითად საფრანგეთი.

1.2. ამერიკული მოდელი

1.2.1. საკონსტიტუციო სასამართლო

აღნიშნულ მოდელს ამერიკული იმიტომ ეწოდა, რადგან იგი ასეთი სახით აშშ-ში ჩამოყალიბდა, საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინის ჩამოყალიბების შედეგად. ამ მოდელის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ, კერძოდ კი აშშ-ში სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოს არ არსებობის გამო საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს უზენაესი სასამართლო, ხოლო საკონსტიტუციო ზედამხედველობას საერთო სასამართლოები.

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი ხასიათდება ოთხი ძირითადი ნიშნით:²⁷

ა) საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს უნივერსალურ ხასიათს. იგი ვრცელდება არა მხოლოდ კანონებზე, არამედ ყველა ნორმატიულ აქტზე.

ბ) საკონსტიტუციო კონტროლი არასისტემატიზებულ ხასიათს ატარებს. იგი ხორციელდება დროგამოშვებით, აქვს კონკრეტული ხასიათი და შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი დონის საერთო სასამართლოს მიერ ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

გ) საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს კაზუალურ ხასიათს. მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის

²⁷ კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი). დაწვრილებით იხ. ციტირება თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი; სტატიათა კრებული; წიგნი I; გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით; თბილისი, 2012. გვ67

განხილვის პროცესში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მოთხოვნა ეფუძნება კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმას.

დ) საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს შედარებით ხასიათს. სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისათვის, არ ვრცელდება სხვა სუბიექტებზე და არ შეიძლება მისი შემდგომი გამოყენება ანალოგიური საქმეების გამოყენებისას.²⁸

მსგავს მოდელს წარმოადგენს გერმანული მოდელიც, სადაც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ქვეყნის უმაღლესი სასამართლოა `ჰიბრიდული ბუნებისაა, იგი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა და სასამართლოც.²⁹ გერმანიის საკონსტიტუციო მართლმსაჯულება კელზენის მოდელს ერთი ნაბიჯით წინ სწევს. G გარკვეულ სახელმწიფო ორგანოებს (მთავრობას, წევრ-მხარეებს, პარლამენტის ერთ-ერთ პალატასა და კანონში ცვლილებების შტანის შემდეგ, დელეგატთა ერთ მესამედს) კონკრეტული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნა შეუძლიათ.³⁰

1.3 ევროპული (ავსტრიული) მოდელი

ევროპული მოდელი, როელსაც ხშირად ავტრიულსაც უწოდებენ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კელზენის იდეების საფუძველზე აღმოცენდა. მაგრამ ამ მოდელს `გაცილებით უფრო ადრე მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. 1949 წელს გერმანიის ლიბერალმა რეფორმატორმა ფრანზურგის ასამბლეაზე წარმოადგინეს კონსტიტუცია, რომელიც შეიცავდა არა მარტო უფლებათა ბილს, არმედ ითვალისწინებდა სპეციალური სასამართლოს შექმნას, რომელსაც ფედერალური და ლანდების საკანონმდებლო და აღმასრულებელი

²⁸კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი). დაწვრილებით იხ. ციტირება თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი; სტატიათა კრებული; წიგნი I; გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით; თბილისი, 2012. გვ68

²⁹ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, გვ15

³⁰შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 288

ხელისუფლების საკონსტიტუციო კონტროლის ექსკლუზიური უფლებამოსილება ექნებოდა. მეტიც, წარდგენილი პროექტი კერძო პირებსაც ანიჭებდა უფლებას, გაესაჩივრებინათ ხელისუფლების წარმომადგენელთა არაკონსტიტუციური ან უსამართლო ქმედებები. თუმცა ეს ნორმა გაცილებით გვიან, ერთი საუკუნის შემდეგ ამოქმედდა.³¹

კელზენის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება, თავისი ფუნქციების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, არ განეკუთვნება ხელისუფლების არცერთ შტოს, ის უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობას, თითოეულის მიერ კონსტიტუციისა და სამართლის პრინციპების უპირობო შესრულებას.³²

ამ მოდელის მიზანიც სწორედ ის არის, რომ საკონსტიტუციო კონტროლი უნდა განახორციელოს სპეციალიზებულმა სასამართლომ. ქვეყანაში უნდა არსებობდეს, საერთო სასამართლოების სისტემიდან გამოყოფილი განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ორგანო, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისაგან დამოუკიდებლად განახორციელებს სამართლებრივ აქტებზე კონტროლს, რათა ისინი მუდამ შესაბამისობაში მოდიოდნენ ქვეყნის უზენაეს კანონთან.

1.4. საკონსტიტუციო კონტროლის სხვა მოდელები;

საკონსტიტუციო კონტროლს ზოგიერთ ქვეყანაში საბჭოები ახორციელებენ. მაგალითად საფრანგეთში კონსტიტუციის დაცვის ინსტიტუტად საკონსტიტუციო საბჭო გვევლინება რომელიც შედგება 9 წევრისაგან, რომელთაგანაც 3 ნიშნავს პრეზიდენტი, 3 სენატის თავჯდომარე, 3 ეროვნული კრების თავჯდომარე. საბჭო მუდამ ყურადღების ცენტრში ექცევა, რადგან მისი საქმიანობა სხვა ქვეყნების

³¹ შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიდის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კულაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003 გვ 52

³² კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი). დაწვრილებით იხ. ციტირება თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი; სტატიათა კრებული; წიგნი I; გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით; თბილისი, 2012. გვ70

საკონსტიტუციო სასამართლოების ფუნქციებისაგან რადიკალურად განსხვავდება.

ევროპის ქვეყნებს შორის კანონის უზენაესობისა და კანონების გადასინჯვის შეუძლებლობის ტრადიციული კონცეფცია ყველაზე ძლიერი საფრანგეთში იყო, რასაც ისტორიული მიზეზი განაპირობებდა. საბოლოოდ 1958 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრულწილად დაუშვა კანონმდებლობის კონსტიტუციური გადამოწმება, მაგრამ პრინციპული წინააღმდეგობებისა და ტრადიციული შიშის გამო საკონსტიტუციო საბჭოს კომპეტენცია ერთობ თავისებურად ჩამოყალიბდა. პრეზიდენტი დე გოლი საკონსტიტუციო საბჭოს დაარსებით ეროვნული კრების ძალაუფლების შეზღუდვას ცდილობდა. საკონსტიტუციო საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია პარლამენტის იმ სფეროებში შეღწევის შეზღუდვაა, სადაც პირველადი სამართალშემოქმედება მთავრობის კონსტიტუციური პრეროგატივაა. გარდა ამისა, საბჭოს ოფიციალური მოვალეობა არის ორგანული კანონების წინასწარი კონტროლი. საკონსტიტუციო საბჭო აკონტროლებს მიღებული კანონების კონსტიტუციურობასაც. საამისოდ საბჭოს აქვს ერთობ შეზღუდული ვადა – 30 დღე სარჩელის მიღებიდან.³³

A

პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ `1958 წლის საფრანგეთის კონსტიტუციით საკონსტიტუციო საბჭო პარლამენტის ზემდგომ ორგანოდ ჩამოყალიბდა.³⁴

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ანალოგი მოდელი მოქმედებს ირანში საკონსტიტუციო საბჭოს სახით, რომელსაც ანალოგიური ფუნქცია აკისრია და პარალელურად, აქტების ყურანთან შესაბამისობასაც განიხილავს.³⁵ ირანის საკონსტიტუციო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, 6 ნიშნავს ირანის სულიერი ლიდერი, რომელმაც რელიგიურ საკითხებში განსწავლულნი უნდა იყვნენ, ხოლო 6 ირანის საკანონმდებლო ორგანო.

³³ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 289

³⁴ კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჯურნ. `ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 1997, გვ.135

³⁵ მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბილისი, 1996, გვ.67

2. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები;

სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე შესაძლებელია გამოვყოთ კონტროლის შემდეგი სახეები:

1. ფორმის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს – კონკრეტული და აფსტრაქტული.

A აბსტრაქტული ანუ პირდაპირი კონტროლის დროს, საჩივრის საგანს წარმოადგენს კანონი, რომელიც გასაჩივრებული უნდა იყოს კანონის მიღებიდან გარკვეული დროის მონაკვეთში.

აბსტრაქტული კონტროლი ბევრი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებში შედის, თუმცა მისი გამოყენების შემთხვევები არც თუ ისე ხშირია.³⁶

"აბსტრაქტული კონტროლი ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენლებს ყოველთვის აძლევს საშუალებას, მოითხოვოს ხელისუფლების მეორე შტოს წარმომადგენელი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა". ფედერალურ სახელმწიფოში აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმი ფედერალური და მიწის მთავრობებს შორის საკონსტიტუციო დავის შემთხვევაში გვევლინება, როცა ფედერალურ მთავრობას მიაჩნია მიწის კანონი ან პირიქით, მიწის მთავრობას – ფედერალური კანონი არაკონსტიტუციურად.³⁷

კონკრეტული ანუ არაპირდაპირი კონტროლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საჩივრდება არა კანონი, არამედ მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, ამის გასაჩივრებაც გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული.

³⁶ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; თბილისი, 2007; გვ 59

³⁷Feber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol.1, 2008, 50 დაწვრილებით იხ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დიმიტრი გეგენავა; გიორგი კვერენჩილაძის რედაქტორობით; თბილისი, 2012; გვ; 30

კონკრეტული კონტროლი ცალკეულ შემთხვევების მიღებასა და განხილვას გულისხმობს. კონკრეტული კონტროლის მექანიზმის კლასიკურ მაგალითად აშშ მოიაზრება.³⁸

1. დროში მოქმედების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს - პრევენციული ანუ წინასწარი და რეპრესიული.

პრევენციული ანუ წინასწარი კონტროლი, ეს ისეთი კონტროლია როცა მაკონტროლებელი ორგანო ანუ საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს სამართლებრივ აქტის ძალაში შესვლამდე და მის შემდგომაც. აღნიშნულ კონტროლს ზოგიერთი მეცნიერი "აპრიორ" კონტროლს უწოდებს.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების აღნიშნულ ფორმას მუდამ იყავდა და დღეს მდგომარეობითაც ჰყავს კრიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პრევენციული კონტროლის განხორციელება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს პოლიტიზებას იწვევს. მაგალითად იტალიელი პროფესორის ჩეზარე პინელის აზრით "რაც უფრო მეტია საკონსტიტუციო კონტროლი, რომელიც წინ უსწრებს კანონის ძალაში შესვლას, მით უფრო ახლო რჩება საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ საკითხებთან".³⁹

ჰერმან შვარცის თქმით "პრევენციული კონტროლი ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზებულობას. იგი უფრო ადვილად ააშკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი პოლიტიკურ მიდგომას".⁴⁰ ამოსავალი წერტილი კი ამ ყველაფრისა რაც შეიძლება იყოს მიზეზი აპრიორი კონტროლისა არის ძალაუფლების გამიჯვნის (ხელისუფლების დანაწილების) პრინციპის

³⁸ Sadurski W., The Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No.11/15, 2011, 5

³⁹ პინელი ჩ., საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები; მოსამართლეების არჩევა, ჟურ. "ადამიანი და კონსტიტუცია". 1997წ. №1, გვ34

⁴⁰ შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიდის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი. 2003 გვ70

დარღვევის პარადიგმა, რადგან ძალაში შესული კანონის უარყოფით, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ ხდება ზემოქმედება კანონმდებელზე. აპრიორი კონტროლის მოწინააღმდეგეთა აზრით, ასეთ დროს ირღვევა საკანონმდებლო პროცესისაგან სასამართლოს იზოლირების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო იქცევა მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ, ისინი მიიჩნევენ, რომ აუმოქმედებელი კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა, საკანონმდებლო ორგანოსთვის ფაქტობრივად კანონმდებლობის შეცვლის ბრძანებაა.

აპრიორი კონტროლის დამკვიდრება საქართველოში ჩემი აზრით: მთლად არ არის მიზანშეწონილი. პრევენციული ანუ წინასწარი კონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლოს ხშირად უწევს ისეთი კანონების (სამართლებრივი აქტების) შემოწმება რომლებიც ჯერ მიღებული (ძალაში შესულიც) არ არიან, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ ახალბედაა და ვერ დავიკვებნით განხილულ საქმეთა სიმრავლით (ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა მუხლების ნახევარზე მეტი ჯერ არ გამოუყენებია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაციისთვის) ამიტომ მას ჯერ ესაჭიროება შესაბამისი გამოცდილებისა დაგროვება, რომ შეძლოს კანონმდებლობის აპრიორი ანუ წინასწარი კონტროლის მეშვეობით კონსტიტუციურობის დადგენა და შესაბამისობაში მოსაყვანად შესაბამისი დასკვნის წარდგენა. მაგრამ მინდა დიდი ყურადღება გავამახვილო იმ საკითხზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს პრევენციული (წინასწარი) კონტროლის მეშვეობით, საკონსტიტუციო ცვლილება-დამატებების შესახებ კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის დადგენის უფლება, რომელიც დადებითი დასკვნის შემთხვევაში პრეზიდენტს უნდა გადაეცეს პრომულგაციისათვის, ხოლო შენიშვნებისა და უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს დაუბრუნდეს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციაში ავიცილებეთ ისეთი მუხლების არსებობას, რომლებიც ერთ სამართლებრივ აქტში უზენაეს კანონში არიან თავმოყრილნი და პრეტიკულად ისინი წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან.

აპრიორ (წინასწარ) კონტროლს კონსტიტუციით აღიარებს საფრანგეთი, სადაც საკონსტიტუციო საბჭოს აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს წინასწარი კონტროლის გზით სამართლებრივი აქტები

ძალაში შესვლამდე. ირლანდიაში წინასწარ კონტროლს ახორციელებს უზენაესი სასამართლო, რომელიც პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიღებულ კანონმდებლობის კონსტიტუციურობას ადგენს პრეზიდენტის პრომულგაციამდე. უნგრეთში კი ტრიბუნალია უფლებამოსილი, შემოწმოს ჯერ კიდევ ძალაში შესასვლელი კანონები. აღნიშნული კონტროლი მოქმედებს: მაროკოში, ბოლივიაში, კოლუმბიაში, ვენესუელაში, კოსტა-რიკაში, პანამაში, ნიკარაგუაში და ა.შ.

2. განხორციელების ადგილის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს - შინაგანი და გარეგანი.

შინაგან და გარეგან კონტროლს შორის განსხვავება არის ის რომ, შინაგან კონტროლს ახორციელებს სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო, ხოლო გარეგანი კონტროლის დროს შესაბამისი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო.

3. განხორციელების საჭიროების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს - სავალდებულო და ფაკულტატური.

სავალდებულო კონტროლი გულისხმობს რომ გარკვეულწილად სანამ აქტი ძალაში შევა უნდა შემოწმდეს მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა, ეს პროცედურა ცოტათი პრევენციულ ანუ წინასწარ კონტროლს გავს.

F ფაკულტატური კონტროლის განხორციელება პირის ანუ გარკვეული სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული ანუ ამისათვის საჭიროა მაკონტროლებელ ორგანოს სუბიექტმა მიმართოს, ეს ნიშანი საკონსტიტუციო სასამართლოს სისუსტის მაჩვენებელია.

4. შედეგების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს - საკონსულტაციო და დამდგენი.

საკონსულტაციო და დამდგენი კონტროლი ეს ისეთი კონტროლის ფორმებია რომლების დროსაც ხდება სამართლებრივი აქტების ჩვეულებრივ კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება, განსხვავებაა ის რომ საკონსულტაციო კონტროლის დროს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არ აქვს, რაც წააგავს საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელებას.

დამდგენი კონტროლის დროს დგინდება აქტის შეუსაბამობა ან არაკონსტიტუციურობა და შესაბამისად შედეგიც დგება, თუ კანონი არის არაკონსტიტუციური შესაბამისად იგი კარგავს შესასრულებლად სავალდებულო ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს დამდგენი კონტროლის ფორმის განხორციელების შემდგომ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე.

5. შინაარსის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს - ფორმალური და მატერიალური.

ფორმალურია კონტროლი, როდესაც მოწმდება ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღებისთვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი პროცედურული წესების დაცვა, ხოლო მატერიალურია კონტროლი, როდესაც ადგილი აქვს ამა თუ იმ აქტის ან მისი ცალკეული

დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შინაარსობრივ შემოწმებას.⁴¹

3. საკონსტიტუციო სასამართლოს სახეები

საკონსტიტუციო სასამართლოები არსებობს ორი სახის – ძლიერი და სუსტი. ძლიერია ისეთი საკონსტიტუციო სასამართლო რომელსაც, საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის გარეშე საკუთარი ინიციატივით აქვს უფლება გადახედოს ამა თუ იმ კანონს და უზუსტობის შემთხვევაში გააუქმოს იგი, "მაგალითად საკონსტიტუციო სასამართლო პოლონეთსა და იუგოსლავიაში უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით წამოიწყოს საკონსტიტუციო პროცესი.⁴² ხოლო სუსტია ისეთი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც ნორმის გადახედვისათვის და უზუსტობის აღმოჩენისათვის ესაჭიროება სპეციალურად ამისათვის კანონით დაწესებულ პირთაგან სარჩელის წარდგენა.

⁴¹კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში; კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, გვ31.

⁴² მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში; თბილისი, 2000 გვ287

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი ბევრ თანამედროვე სახელმწიფოში არ არსებობს, მაგალითად დიდ ბრიტანეთში და ისრაელში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ სახელმწიფოებს დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნიათ, ასევე შვედეთში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი თუ ზედამხედველობა შეზღუდულია და ამ მიზეზის გამო აქაც განსაკუთრებული სტატუსის სასამართლოს არსებობა გამორიცხულია.

სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ საკონსტიტუციო სასამართლოებს, მაგალითად ზოგს ტრიბუნალის სახელით, საბჭოს, და ა.შ.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საგანი პოლიტიკურია. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო, გარკვეული აზრით, არის პოლიტიკური ორგანო. კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება, თავისი არსით პოლიტიკური კონტროლია და თუ ასეთი კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა სუბიექტის მიმართ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებაა. ზემოაღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მთლიანად პოლიტიკური ორგანოა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური საქმიანობა რამდენადმე ობიექტური ფორმით ხორციელდება და მიმდინარეობს სასამართლო პროცესის სახით, ხოლო მისი შეფასების მასშტაბები ასევე დადგენილია სამართლის ნორმებით. სასამართლოს პოლიტიკურ ნეიტრალობას ბევრად განსაზღვრავს მოსამართლეების დამოუკიდებლობა და მათზე პოლიტიკური ზემოქმედების აკრძალვის გარანტიები. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის პოლიტიკური ფუნქციები და თვითონ ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ხასიათი აღიარა თანამედროვე დასავლეთის მთელმა რიგმა თეორიულმა მიმდინარეობებმა. ასე მაგალითად, აშშ-ში გავრცელებული სოციოლოგიური თეორია აშკარად აღიარებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოლიტიკურ ფუნქციას.⁴³

მოწინაარმდეგეების მიუხედავად, ფაქტი ფაქტად რჩება საკონსტიტუციო ორგანოს არსებობა ქვეყანაში, ქვეყნის დემოკრატიულობის, კანონის უზენაესობისა და ამ კანონის დაცვის ერთ-

⁴³ზუბუა გ., ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი; თბილისი, 2000. გვ 439

ერთი გაარანტიაა, რომელსაც საბედნიეროდ მრავალი ქვეყანა აღიარებს და ამკვიდრებს, სხვადასხვა ფორმებითა და უფლებამოსილებების ფართო სპექტრით.

4. საკონსტიტუციო ზედამხედველობის პარადიგმა საქართველოში

როგორც უკვე ავლინშნეთ საკონსტიტუციო ზედამხედველობა, სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის განხორციელებას ნიშნავს, რომელსაც არ აქვს ფართო უფლებამოსილება რეაგირების მოხდენასთან დაკავშირებით, ამ დროს ზედამხედველობის ინსტიტუცია მხოლოდ სამართლებრივი აქტის შეჩერებით შემოიფარგლება და არა არაკონსტიტუციურად გამოცხადებით და გაუქმებით.

საქართველოში ისტორიულად არსებობდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის უფლებამოსილებით აღჭურვილი ინსტიტუცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც „ცაკ-ის პრეზდიუმი უფლებამოსილი იყო, შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი“.

საზედამხედველო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზირებული ორგანოს საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა გაითავლისწნა საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციამ, მასში 1989 წლის 18 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ. კომიტეტის ძირითადი საქმიანობა იყო, რომ თვალყური ედევნებინა ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე, რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარებული ქალაქების საკრებულოების გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან შესაბამისობა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საზედამხედველო კომიტეტი აქტის გამომცემ ორგანოს წინააღმდეგობის დასაძლევად უზრუნველყოფდა თავის დასკვნას. ასეთი დასკვნის გამოტანა ავტონომიურად აჩერებდა არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ცალკეული დებულების მოქმედებას.

დღეის მდგომარეობით საქართველოს კონსტიტუცია საკონსტიტუციო ზედამხედველობაზე არაფერს ამბობს, მაგრამ პრაქტიკულად მისი ნიშნები შეინეიშნება სახელმწიფო მეთაურის ფუნქციებში, კერძოდ ბატონი გიორგი კახიანი თავის სადიცერტაციო ნაშრომში წერს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს ვეტოს უფლებით, ანუ მას შეუძლია, კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს საქართველოს პარლამენტს.“ გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტს თეორიულად კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლია და შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ვეტოს უფლების გამოყენებაც არაკონსტიტუციურობის მოტივით. მაგრამ პრეზიდენტის ვეტო პარლამენტისთვის სავალდებულო ხასიათისა არ არის და მას ხმათა უმრავლესობით შეუძლია მისი დაძლევა და კანონპროექტის ისეთი სახით გამოქვეყნება, როგორც მას სურს. იმდენად, ვინაიდან პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს გამოყენება კანონპროექტის მიღებას მხოლოდ გარკვეული ვადით აჩერებს, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმება ამ შემთხვევაში არაა საკონტროლო, არამედ საზედამხედველო ბუნების მატარებელი პროცედურაა.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმირების თვალსაზრისით, დღეს საქართველოში საზგადოებრივი განვითარების მთავარი გამოწვევა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსკენ მისწრაფებაა. ისეთი სახელმწიფოები კი რომლებიც მიისწრაფიან ევროპული მიდრეკილებებისაკენ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერდებიან, ასეთ დროს უზენაესი კანონი კონსტიტუცია დინამიურად ცვალებადი აქტი ხდება, რადგან მუდამ კონსტიტუცია ქვეყანაში არსებული პირობების მიხედვით იცვლება და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობის შესაბამისობაში მოდის, სწორედ ამ დროს ესაჭიროება კონსტიტუციას დაცვა.

ბლანკენაგელის განმარტებით, "საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ.⁴⁴

საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებს ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისგან იცავს.

ანზორ კოპალიეშვილი

სიცოცხლის უფლების დილემა

„სიცოცხლე ერთი პატარა სანთელია, რომელიც ღმერთმა აანთო და ღმერთსავე აქვს მისი ჩაქრობის უფლება“

სიცოცხლის უფლების განმარტებამდე, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით⁴⁵ და ზოგადად სახელმწიფოს როლზე მის დაცვასა თუ ხელყოფაში, აუცილებელია გავიგოთ თუ როგორი შეიძლება იყოს სამართლებრივი სახელმწიფო, უნდა აღვნიშნოთ რომ სამართლიანობის გარეშე სახელმწიფო არაფერია თუარა, არადემოკრატიული, დიქტატორული წარმონაქმნი, სადაც უგულვებელყოფილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ხდება პირის ეთნიკური, რასობრივი, ენობრივი, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით გარჩევა, დევნა დისკრიმინაცია, უფლებების შელახვა.

⁴⁴ გეწაბე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. "ადამიანი დ აკონსტიტუცია" №1 1998. გვ 24 დაწვრილებით იხ. გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები. თბილისი, 2012 გვ12

⁴⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მე-15 მუხლი ,საქართველოს საპარლამენტო უწყებანი,1995, N31-33, N 786-რს

„რა არის სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე, თუ არა - ყაჩაღთა დიდი ბანდა“⁴⁶სამართლიანობის გარეშე სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს, ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და შეუძლებელია მათი გამიჯვნა, სახელმწიფოს სამართლებრივად აფორმებს სამართალი, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანობის აღსრულებას.

ვფიქრობ არადემოკრატიულ დიქტატორულ წარმონაქმნს არ შეიძლება სახელმწიფო ვუწოდოთ, ვინაიდან სახელმწიფოს არსი, მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ხალხი, ხალხი არის მთავარი წყარო სახელმწიფოსა იგი სწორედ იმიტომ არსებობს რომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, უზრუნველყოს უმრავლესობის ნება, განსაზღვროს პირის სამართლებრივი მდგომარეობა და დაიცვას იგი. ხალხი საარჩევნო სისტემის წყალობით უშუალოდ ირჩევს იმ იდეოლოგიას რომელსაც წარმოადგენს კონკრეტული პირები, ისინი დებენ პირობას განახორციელონ ის ვალდებულებები რომელიც ხალხმა დააკისრა, კონკრეტული პირები კონკრეტული იდეოლოგიის წყალობით რომელსაც წარმოადგენენ ისინი, აირჩევინ ხალხის მიერ მაშასადამე ისინი უნდა ემსახურონ ქვეყანას, უზრუნველყონ წესრიგის დაცვა, განახორციელონ საჯარო ხელისუფლება, დაამკვიდრონ დემოკრატიული წესწყობილება, სწორედ იქედან გამომდინარე, რომ კონკრეტული პირები კონკრეტული იდეოლოგიის გამო აირჩევინ კონკრეტულ საარჩევნო ოლქში ხალხის წარმომადგენლად, ვემზრობი იმპერატიულ მანდატს, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი⁴⁷ აღიარებს თავისუფალ მანდატს , თუმცა იმპერატიული მანდატის დაკანონების შემთხვევაში მკაცრი კონტროლია საჭირო რათა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება, ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ამიტომ ერიდება ამ სახეობის მანდატს.

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საარჩევნო სისტემა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა: მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები,

⁴⁶ ავგუსტინე ნეტარი - (დ. 13 ნოემბერი, 354, ტაგასტი, ჩრდილოეთი აფრიკა — გ. 28 აგვისტო, 430, ჰიპონი, ჩრდილოეთი აფრიკა) — ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.

⁴⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 57-ე მუხლი პუნქტი პირველი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი, 1995, N31-33, N 786-რს

რომელთა ერთობლივი ანუ შერეული საარჩევნო სისტემა მაქსიმალურად ამცირებს დაკარგულ ხმათა რაოდენობას, მაშასადამე ხდება ხალხის, უმრავლესობის ნების გამოვლენა, აქედან გამომდინარე ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, შესაბამისად მყარდება დემოკრატიული წესწყობილება, რეჟიმი რომელიც სწორედ საარჩევნო სისტემით, სამართლიანად ჩატარებული არჩევნების შედეგად ასარჩევთა და ამომრჩეველთა ძალისხმევით, ყველა პროცედურის დაცვით დამკვიდრდა.

სახელმწიფო უნდა იცავდეს უფლებების დარღვევისაგან სხვათა უფლებებს. დღესდღეობით კაცობრიობა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა და შესაბამისად არ უნდა არსებობდეს ისეთი რეჟიმი სადაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები გარანტირებული არ არის, მაგრამ თუ ასეთი დიქტატორული, ტირანული წარმონაქმნი ჯერკიდევ არსებობს არ შეიძლება მას სახელმწიფო ეწოდოს, დიქტატურა და ტირანია საბოლოოდ მაინც თავისას მიიღებს და თავისივე თავს გაინადგურებს. „ხიშტი კარგი იარაღია ბევრი რამისთვის, მაგრამ ერთი რაღაცისთვის არ ვარგა, - მასზე დიდხანს ჯდომა შეუძლებელია“⁴⁸ აქედან გამომდინარე არასამართლებრივი იძულებითი ფორმებით დიდხანს ვერანაირი წარმონაქმნი ვერ იარსებებს, მიუხედავად იმისა მას სახელმწიფოს ქვეყანას თუ რამე სხვას ვუწოდებთ, ამ ყველაფერს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ისტორიულ-სამართლებრივი წყაროებიც მოწმობს.

უკვე განვსაზღვრეთ სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებები ადამიანისადმი. ჩვენ საქართველოს მოქალაქეებმა ავირჩიეთ გზა დემოკრატიისკენ, შესაბამისად გზა რომელიც იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, თითოეული კანონის თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას, ამ თემასთან და არამარტო ამ თემასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერის ენობრივი, ეთნიკური, ისტორიულ-ტრადიციული, რელიგიური შეხედულებები თუ თავისებურებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ხალხის დაცინვა და შეურაწყოფა, ხოლო კანონი იქნება უმოქმედო მკვდარი პრეროგატივა,

⁴⁸ შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორი (ფრანგ. Charles Maurice de Talleyrand-Périgord), (1754 - 1838) — ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელსაც ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა სხვადასხვა რეჟიმის დროს

უმოქმედო კანონების სიმრავლე კი ქვეყანაში სამართლებრივ დონეს და სამართლიანი კანონის შერქმევას მეტად დააკნინებს, დაამყარებს სამართლებრივ ნიჰილიზმს.

სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების უფლება არის ადამიანის ძირითადი უფლებები. ზოგადად უფლება გულისხმობს შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებისა, მაგრამ სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილ ფარგლებში. შესაბამისად როდესაც გვაქვს უფლება გვაქვს არჩევნის თავისუფლებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება კანონით ან ხელშეკრულების დადების შედეგად სახელმწიფოს მიერ თუ ორმხრივი შეთანხმების შედეგად, პირთა ნების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება, მოვალეობა. მარტივად რომ ვთქვათ უფლებას გააჩნია პლიუსი და მინუსი მოქმედების სფერო სადაც ფიზიკური პირი თავად იღებს გადაწყვეტილებას, თავისივე შეხედულებისამებრ, ზოგადად უფლების განმარტების შემდეგ ვისაუბროთ სიცოცხლის უფლებაზე და მასთან დაკავშირებულ გადაუჭრელ პრობლემებზე, სიცოცხლის უფლების დილემებზე.

როდესაც ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა განვიხილოთ სიცოცხლის უფლება რადგან იგი თანამედროვე, სამართლებრივ სახელმწიფოთა უმრავლესობაში აღიარებულია როგორც აბსოლუტური ხელშეუვალი უფლება, სწორედ სიცოცხლისა და სიცოცხლის უფლებისგან წარმოიშვება სხვა უფლებები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კონსტიტუციის მიხედვით ყველა უმაღლესი ძალისაა, თითოეული თანაბარია მაგრამ ამას ვერ ვიტყვით წინასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან მიმართებაში, საზოგადოების თანაცხოვრების სხვა ფორმებში როგორებიც იყო: ჯოჯი, ტომი, თემი. სიცოცხლის უფლება სულაც არ იყო აბსოლუტური უფლება და თავისუფლად შეიძლებოდა მისი შელახვა ძალაუფლების მოპოვებისა თუ სხვა მიზნით, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ დროს მაინც არსებობდა გარკვეული სახის უფლებები მაგალითად: ნანადირევს ისინი შესრულებული სამუშაოს პროპორციულად ინაწილებდნენ, ან თავისი ადგილისა და მდგომარეობის მიხედვით და ეს იყო თითოეულის უფლება. უფრო მაღალ საფეხურზე გაჩნდა ტალიონის პრინციპი: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხოლო უფრო მოგვიანებით იგი შეცვალა კომპოზიციის პრინციპმა რომელიც ითვალისწინებდა საზღაურის გადახდას ეს პრინციპები იყო თითოეულის უფლება-მოვალეობა და ამავდროს სამართლიანობის აღსრულების საშუალება.

განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ფეოდალურ ხანაში არსებობდა ასეთი უცნაური უფლება სახელად: **პირველი ღამის უფლება** — მემამულის უფლება, რომლითაც მას შეეძლო მისი ყმების ქალწული შვილებისთვის წაერთმია ქალიშვილობა.⁴⁹

თუ სიცოცხლე ადამიანის უფლებაა მაშინ სახელმწიფო რატომ ცდილობს ადამიანის გადარჩენას თუნდაც სუიციდის მცელობის დროს? მაშველების საპატრულო ეკიპაჟებით თუ სახელმწიფოს დაქვემდებარებული სხვა ორგანოებით, ისინი ცდილობენ პიროვნებას უარი ათქმევინონ თავის არჩევანზე, მაშინ არის თუ არა ეს ჩემი ანუ პიროვნების, სამართლის სუბიექტის კანონიერ გადაწყვეტილებაში ჩარევა და ხელის შეშლა, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ამბობს : სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა,⁵⁰ თუ ეს მართლაც ასეა და კონსტიტუციას აქვს უზენაესი ძალა და არ არის მხოლოდ ფარატინა ფურცელზე ნაბეჭდი ტექსტი, რატომ გვიზღუდავს სახელმწიფო თავისუფლად მოქმედების საშუალებას იმ უფლების სფეროში რომელიც კონსტიტუციის დონეზეა აღიარებული?

სიცოცხლე ადამიანის უფლებად შეგვიძლია ჩავთვალოთ თუნდაც იმიტომ რომ სუიციდის მცდელობა არ არის დასჯადი და სახელმწიფო აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირ სანქციას არ აწესებს. სუიციდის მცდელობა და ზოგადად სუიციდი კაცობრიობის ზოგად ზნეობრივ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ეს ქმედება არის ადამიანის ფსიქიკურად, სულიერად გაუწონასწორებელი მდგომარეობის შედეგი, აფექტის მდგომარეობა, აღნიშნული გადაწყვეტილება ინდივიდს ერთადერთ გზად მიაჩნია, იმ მომენტისათვის ჰგონია რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ თუ იგი ამ შემთხვევის დროს გადარჩა, ალბათობა იმისა რომ აღნიშნული ქმედება კვლავ განმეორდება მინიმუმამდე მცირდება, აქედან გამომდინარე თვითმკვლელობის მცდელობა არის ფსიქიურად გაუწონასწორებელი მდგომარეობის

⁴⁹ჰეროდოტეს მიერ ნახსენებ ერთ-ერთი ტომს, რომელსაც ახლანდელი ლიბიის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა, მსგავსი წესი ჰქონდა. „ისინი არიან ერთადერთი ტომი, რომელიც თავისი ადათის მიხედვით ქალებს გზავნიან მეფესთან და ის ირჩევს სასურველს.“ (ჰეროდოტე)

⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მე-15 მუხლი ,საქართველოს საპარლამენტო უწყებანი,1995, N31-33, N 786-რს

შედეგი, რომლის დროსაც ვფიქრობ სახელმწიფო სამართლის სუბიექტს მიიჩნევს შეზღუდულ ქმედუნარიანად, ექსტრემალური მდგომარეობის გათვალისწინებით ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილებისა და სხვადასხვა გამოკვლევათა გარეშე. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შეასრულოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე. აღნიშნული ქმედების შემდეგ თუ პირი გადარჩა სიკვდილს ვფიქრობ სახელმწიფოს მხრიდან მას უნდა ეკისრებოდეს გარკვეული ვალდებულება, კერძოდ რეაბილიტაციისთვის, რესოციალიზაციისთვის რამდენიმე კვირიანი ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

თუმცა ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ფსიქოლოგიის როგორც სახელმწიფოს მთავარი წყაროს ხალხის, ადამიანის სულის მეცნიერების და ასევე სასწავლო დისციპლინის განვითარებას, ასევე ხალხის ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლას, განსაკუთრებით მაშინ როცა ქართულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ სახელი გაითქვა დიმიტრი უზნაზის განწყობის ფსიქოლოგიით⁵¹, იგი ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია...

არის რიგი შემთხვევებისა როდესაც სახელმწიფოს ცალსახად უწევს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შელახვა, სხვათა უფლებების დასაცავად, ანუ იგი იცავს პირის სიცოცხლის უფლებას თუმცა გამოუვალი სიტუაციის გამო მას უწევს მესამე პირისათვის სიცოცხლის წართმევა, მაგრამ აღნიშნული ქმედება უნდა განვასხვავოთ წამებისაგან, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის არაერთი ნორმა კრძალავს დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე კრძალავს აღნიშნულს, წამება დაუშვებელია მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს "კეთილშობილური"

⁵¹დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე - ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი (1918) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1918).

მიზნისთვის. ამის მკაფიო მაგალითია 2002 წელს მომხდარი შემთხვევა, რომელიც შემდგომ ფართო დიკუსიის საგანი გახდა "საქმის გარემოება შემდეგია: 2002 წლის 27 სექტემბერს მაინის ფრანკფურტში მცხოვრებმა მაგნუს გეფგენმა მოტყუებით გაიტაცა ერთ-ერთი ბანკირის 11 წლის შვილი იაკობ ფონ მეტცლერი და ბავშვის გათავისუფლების სანაცვლოდ მისი მშობლებისგან ერთი მილიონი ევროს გადახდა მოითხოვა"⁵² რამდენიმე დღიანი ძებნის შემდეგ იგი დაკავებულ იქნა, იმისათვის რომ მისგან საჭირო ინფორმაცია მიეღოთ პოლიციის მიერ განხორციელდა წამების მუქარა, რათა აღიარება მიეღოთ ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ, აღნიშნულმა შედეგი გამოიღო თუმცა ადგილზე მისვლის შემდგომ ბავშვი გარდაცვლილი დახვდათ, აღმოჩნდა რომ იგი გამტაცებელს მანამდე მოეკლა სანამ დაიჭერდნენ. ამ საქმემ გამოიწვია აზრთა დიდი სხვადასხვაობა და ფართო განხილვის საგანი გახდა, უნდა ეწამებინათ თუ არა პირი ბავშვის გადასარჩენად, საზოგადოების აზრი ორად იყოფოდა ერთნი ფიქრობდნენ რომ ამ ადამიანის წამება, წამების მუქარა განხორციელდა "კეთილშობლური" მიზნით ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ არ არსებობს "კეთილშობლური" წამება. "საერთაშორისო და ეროვნული სამართალი შეიცავს არაერთ ნორმას, რომლის მიხედვით, აკრძალულია დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მიმართ ფსიქიკური ან ფიზიკური იძულების განხორციელება მათგან ჩვენების გამოძალვის ან მათი ნების საწინააღმდეგოდ ინფორმაციის ან აღიარების მიღების მიზნით. ასეთი ზემოქმედება ითვლება ადამიანის ღირსების შელახვად. წამებისა და წამების მუქარის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი გამომდინარეობს საერთაშორისოსამართლებრივი აქტებიდან, როგორებიცაა: გაეროს 1984 წლისა და ევროპის საბჭოს 1987 წლის წამების საწინააღმდეგო კონვენციები, ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 და მე-15 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი."⁵³ ხოლო რაც შეეხება მძევლად აყვანის შემთხვევას და სახელმწიფოს მხრიდან ექსტრემალურ

⁵²ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო; კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით; თბილისი, 2011, გვ 195

⁵³ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო; კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით; თბილისი, 2011, გვ 196-197

სიტუაციაში სიცოცხლის შეზღუდვას. ეს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს უაღრესი სიფრთხილით, ვინაიდან საქმე ეხება სიცოცხლის მოსპობას, ფიზიკურ განადგურებას, შესაბამისად ჩამორთმეული სიცოცხლის უფლების აღდგენა ვერ მოხერხდება, ვინაიდან სახელმწიფოს მხოლოდ მისი დაცვა ძალუძს, მაგრამ თუ ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ამგვარად არეგულირებს სიტუაციას მაშინ რას გააკეთებს იგი თუ მთელი ქალაქის ბედი ერთ უდანაშაულო ადამიანზე იქნება დამოკიდებული, სამართლიანი იქნება ერთი ადამიანის უფლებების შელახვისა და ტანჯვის ხარჯზე მთელი ქვეყნის ბედნიერების მიღება? გავიხსენოთ მითი ქალაქზე სადაც ცხოვრობდნენ სრულიად ბედნიერად, არ აწუხებდათ არავითარი ავადმყოფობა, შიმშილი, და იყვნენ ასე ჰარმონიულად, მაგრამ ეს ყველაფერი ერთი ბიჭუნას ხარჯზე, რომელიც სარდაფში ჰყავთ ჩაკეტილი თუ მას გამოუშვებდნენ იქნებოდა სნეულება, შიმშილი, ყველა ვერ იქნებოდა ბედნიერი, ღირს თუ არა ბიჭუნას უბედურება და ასეთი ტანჯული სიცოცხლე სხვათა ანუ მთელი ქალაქის ბედნიერებად?

მოდით მითი მივუახლოვოთ რეალობას ვთქვათ ტერორისტს აქვს შესაძლებლობა გაანადგუროს მთელი ქვეყანა, რომელიმე ძლიერმოქმედი ქიმიური იარაღის საშუალებით და იგი ითხოვს ერთი ადამიანის სიკვდილს იმისათვის რომ გადაწყვეტილება შეიცვალოს, მაშინ ისმის კითხვა რას გააკეთებს სახელმწიფო ამ შემთხვევაში? იქნება ეს სამართლიანი გადაწყვეტილება? ვფიქრობ საკმაოდ რთული კითხვაა და პასუხის გაცემაც არ არის ადვილი, იმის გათვალისწინებით რომ ჩვენი თითოეული სიტყვა უნდა იყოს არგუმენტირებული კარგად დასაბუთებული, თუ რატომ უნდა შეეზღუდოს ერთს მაგრამ უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს მხრიდან, ტერორისტის მოთხოვნის საფუძველზე, ან რატომ უნდა დაილუპოს ან მძიმედ დაინფიცირდეს მთელი ქვეყანა. ამ საკითხზე პოზიციებიც საკმაოდ განსხვავებული იქნება, თუმცა ვფიქრობ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს გაუჭირდება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და ზოგადად რა იქნება სამართლიანი მოცემულ ვითარებაში? იცოცხლოს მთელმა ქვეყანამ თუ იცოცხლოს ერთმა და დაილუპოს სხვა ყველა. გათვალისწინებით იმისა, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაიცვას მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი თითოეული ადამიანის სიცოცხლე, თითოეული თავისი მოქალაქის სიცოცხლე ქვეყნის შიგნით თუ საზღვრებს გარეთ, ამ შემთხვევაში იმის თქმაც რთულია თუ რა არის სახელმწიფოს მოვალეობა და რა როგორ უნდა დაიცვას მან.

თუ მივყვებით საკითხის გადაჭრის ეთიკურ თეორიას, რომელსაც უტილიტარიზმი⁵⁴ მიეკუთვნება, მისი მორალი აყვანილია პროპორციულობის ხარჯზე ანუ უტილიტარიზმი პიროვნების ინდივიდუალურ უფლებებს არ ითვალისწინებს, მთავარია ბედნიერების ჯამი, აქედან გამომდინარე ამ თეორიის მიხედვით რამოდენიმე ადამიანის სიკვდილი სხვა ყველას გადასარჩენად იქნებოდა სრულიად ნორმალური, ჯონ სტიუარდ მილი ცდილობდა დაეძლია უტილიტარიზმისთვის დამახასიათებელი დეჰუმანიზაცია, მან თქვა: შემოდია გავაკეთო ყველაფერი რაც სხვას არ ავნებს, ეს სიტყვები სრულიად ცვლის უტილიტარიზმის პრინციპს და იგი დაჰყავს თითოეული ადამიანის უფლებების გათვალისწინებამდე, თითოეული ადამიანის ბედნიერებამდე.

თუ ისტორიას გადავხედავთ მრავლად გვაქვს შემთხვევები, უამრავი გვყავს ისეთი გმირი რომელთაც თავისი ნებით სამშობლოს, რწმენას, იდეოლოგიას შესწირეს თავი, მაგრამ არანაირ კანონს, არანაირ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ წარმონაქმნს არ აქვს უფლება პირს, თავისუფალ ადამიანს, სახელმწიფოში სადაც აღიარებულია ადამიანთა უფლებრივი თანასწორობა განურჩევლად ეთნიკური, რასობრივი ნიშნითა, რელიგიისა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, მოთხოვოს ადამიანს რომლის უპირველესი ღირებულებაც სიცოცხლე და სიცოცხლის უფლებაც, შეიზღუდოს მოისპოს ეს უფლება სხვათა გადასარჩენად, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ინდივიდზეა დამოკიდებული და მის მორალურ, ზნეობრივ შეხედულებებსა და ღირებულებებზე.

უკვე განვიხილეთ სიცოცხლის ხელყოფისა თუ კანონიერ გადაწყვეტილებაში სახელმწიფოს ჩარევის შემთხვევები და მაინც რა არის სამართლიანობა? ვფიქრობ ეს ცნება შეფარდებითია, სამართლიანობა სამართალი თითოეულ ინდივიდზეა დამოკიდებული,

⁵⁴ უტილიტარიზმი — ეთიკური თეორია, რომლის მიხედვითაც მოქმედებების სწორი კურსის არჩევა მაქსიმალურს ხდის შესაძლებლობას, რომ ეს მოქმედება საერთო „სიკეთის“ მომტანი იქნება. ეს არის კონსეკვენციალიზმის ფორმა და გულისხმობს, რომ მოქმედების მორალური ღირებულება მისი შედეგით განისაზღვრება. ამ თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჯერემი ბენტემმა და ჯონ სტიუარტ მილმა.

თუ რა გარემოში იზრდება და რას ხედავს იგი მის გარშემო აქედან უყალიბდება სამართლიანობის გრძნობა, იგი ყველა ადამიანში განსხვავებულ დეფინიციას იძენს, ანუ სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირად ესმის სამართლიანობა. მაგ: სვანეთში ტრადიციების თანახმად სამართლიანად, სამართლიანობის აღსრულების საშუალებად ითვლებოდა სისხლის აღება თუმცა სხვა კუთხის წარმომადგენლებისთვის და ზოგად სამართლებრივ ჭრილში ეს მიუღებელია. ადამიანი, რომელიც ასეთ გარემოში იზრდება მისთვის ეს სამართლიანია. ასე რომ სამართლიანობა და სამართლიანობის აღსრულება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული სხვადასხვა ხალხის მიერ.

ვფიქრობ იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას სამართლის და სამართლიანობის შესახებ აუცილებელია სამართლის იგივე ადამიანის უფლებების ბაზისების შესწავლა სკოლებსა თუ უფრო ადრეულ ასაკში, განვითარების ამ ეტაპზე რათქმაუნდა ეს ვერ მოხერხდება იმ ენით, ტერმინოლოგიით, რომელსაც შეიცავს "სმართლი", ეს უნდა მოხდეს კონკრეტული ასაკისათვის სპეციალურად განსაზღვრული პროგრამით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფსიქოლოგები და ფსიქოლოგიური გამოცდილება. ადრეულ სასკოლო ასაკში აუცილებელია ბავშვს ინფორმაცია მიეწოდოს თამაშის სახით, იგი აღიქვამს ამ ყველაფერს როგორც გართობის საგანს, თუმცა დროთა განმავლობაში მისი ტვინი, გონება გამოთქვამს მზაობას უფრო რთული და ინფორმაციულად დატვირთული მასალის ათვისებაზე. თუ ასეთი სისტემა დამკვიდრდება ბავშვებს ზოგადი წარმოდგენა ექნებათ თავის უფლებებსა და მოვალეობებზე, ეცოდინებათ თავისი ძირითადი უფლებები, ხოლო საბოლოოდ ამ სისტემის, იმ ტრადიციებისა და ადათის, რელიგიური შეხედულებების შეჯერებით ჩამოყალიბდება სამართლიანობისადმი ბევრად უფრო ჯანსაღი დამოკიდებულება, გაცილებით შემცირდება კრიმინალის დონე და საზოგადოებას ერთმანეთისადმი ბევრად უფრო ჯანსაღი დამოკიდებულება ექნება. ასევე კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ სამართლის განვითარების კუთხით ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს გერმანიის გამოცდილებას, კერძოდ საკითხი შეეხება მასმედიას, რომელიც გავრცელებული აზრის თანახმად და მისი როლის გათვალისწინებით სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ჰორიზონტალში მეოთხე შტოდაც კი მიიჩნევა და საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლო აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებს შორის დავებს კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით,

აწესრიგებს ასევე კანონთა შესაბამისობას კონსტიტუციასთან, შესაბამისად საზოგადოება ამ ყველაფერს აქტიურად უნდა ადევნებდეს თავალს, აქედან გამომდინარე კარგი იქნება თუ გერმანიის გამოცდილებიდან ავიღებთ მაგალითს, კერძოდ საკითხი შეეხება იურისტი-ჟურნალისტების ინსტიტუტის შემოღებას, რომლებსაც მაქსიმალურად გაუადვილებათ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ურთიერთობა ამავე დროს საზოგადოების ფართო მასებთან ურთიერთობა, ვინაიდან იურისტობა გულისხმობს კანონის რთული ენის ცოდნას ხოლო ჟურნალისტობა თავის მხრივ არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე კონკრეტული სფეროთი მისი მთავარი ამოცანაა საზოგადოების ფართო მასებს მიაწოდოს მაქსიმალურად მარტივი ენით უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად იურისტი-ჟურნალისტები იქნება "ოქროს შუალედი" საკონსტიტუციო სასამართლოსა და საზოგადოების ფართო მასებს შორის, რათა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო უმარლეს ორგანოთა შესახებ და მათ შორის წარმოშობილ კომპეტენციურ დავებზე

საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა დანაშაულისათვის სხვადასხვა სასჯელი მაგ: ძველ რომში სასჯელის ერთ-ერთი ფორმა იყო მონად გაყიდვა, რომის სახელმწიფოს წარმოშობისთანავე გაჩნდა ორი კლასი: მონათმფლობელები და მონები, მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს, სამოქალაქო სამართლის მიხედვით სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი რომელიც თავად იყენებს, მოიხმარს, სარგებლობაში აქვს სამართლის ობიექტი, ხოლო ძველ რომში მონა წარმოადგენდა სამართლის ობიექტს და არა სუბიექტს აქედან გამომდინარე იმ დროისათვის გაბატონებული აზრის თანახმად მონა არ იყო ადამიანი არამედ იგი იყო მსგავსი ადამიანისა და მიაჩნდათ რომ სრულიად დასაშვებია იყო მათი გაყიდვა, გაცვლა, გაქირავება, მზითვებში გატანება⁵⁵ და ა.შ ასევე მონის მიერ მიყენებული ზარალი უნდა აენაზღაურებინა მის მფლობელს, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მახსენდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1003-მე მუხლი⁵⁶ რომელიც ეხება ცხოველის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და წერია: ცხოველის მიერ მიყენებული ზარალის

⁵⁵ მეტრეველი ვ., რომის სამართალი; თბილისი 2013, გვ 55,56

⁵⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1003- მე, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 N786

ანაზღაურება ეკისრება მის მფლობელს, ანუ საქართველოს დღევანდელი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ცხოველის მდგომარეობა უთანაბრდება იმ დროის მონად გაყიდულ ადამიანთა სამართლებრივ სტატუსს, ერთიც და მეორეც წარმოადგენდა და წარმოადგენს მფლობელობის ობიექტს, ხოლო თუ მონას ან ცხოველს ვინმე ზიანს მიაყენებდა XII ტაბულის კანონების⁵⁷ მიხედვით ზიანის მიმყენებელს ზარალი უნდა აენაზღაურებინა მისი მფლობელისათვის, როგორც ვხედავთ ძველ რომში სასჯელის ერთ-ერთი მძიმე ფორმა იყო მონად გაყიდვა, თუმცა ასევე გამოიყენებოდა სასჯელის უმაღლესი ფორმა სიკვდილით დასჯაც, ძველ რომში სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი ფორმა იყო კლდიდან გადაგდება მაგრამ განაჩენი აღსრულების ანუ კლდიდან გადაგდების შემდეგ თუ ის ადამიანი გადაარჩებოდა მაშინ მას აღარ კლავდნენ რადგან მას თვლიდნენ უბრალოდ.

სასჯელის უცნაურ ფორმას ვხვდებით ასევე ძველ ინდოეთში, ექვმიტანილს გახურებული შანთით ხელში უნდა შემოეველო ცხრა ცეცხლით მოხაზული წრე და შემდეგ შანთი უნდა დაეგდო თივაზე თუ თივას ცეცხლი წაეკიდებოდა და ამავე დროს შანთი ექვმიტანილს ხელს არ დასწავდა

მაშინ იგი უდანაშაულოდ ითლებოდა,⁵⁸ თუმცა ვფიქრობ პირის უდანაშაულობის დამტკიცების ასეთი ფორმა თავისმხრივ სასჯელიცაა რადგან ამ დროს ინდივიდი დამწვრობით მიყენებულ მძიმე ფიზიკურ ტკივილს განიცდის, მსგავს სასჯელსა თუ დანაშაულში მხილების მეთოდს იცნობს ქართული სამართლის იტორიაც და მას მდუღარით გამოცდას უწოდებდნენ,⁵⁹ თუმცა განვითარების უფრო მაღალ

⁵⁷ თორმეტი ტაბულის კანონები (*Lex Duodecim Tabularum*) წარმოადგენს რომაული სამართლის საფუძველს. ტაბულების შინაარსი: პირველი ორი ტაბულა მოიცავს სამოქალაქო სამართლის ნორმებს. მესამე ეხება ვალებს. მეოთხე - ოჯახური ურთიერთობები მეხუთე - მემკვიდრეობა მეექვსე და მეშვიდე - ქონება მერვე - მოქალაქეთა უფლებების დარღვევა მეცხრე - კონსტიტუციური პრინციპები მეათე - დასაფლავების წესები მეთერთმეტე - ქორწინება მეთორმეტე - კრიმინალი

⁵⁸ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბილისი 2005, გვ 78

⁵⁹ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბილისი 2005, გვ 80

საფეხურზე საქართველოში სულ უფრო ნაკლებ გვხვდება სასჯელის ასეთი ფორმები. ინგლისი ითვლება სიკვდილით დასჯის კლასიკურ ქვეყნად, ხოლო რუსეთი იყო სხეულებრივი სასჯელის გამოყენებით სანიმუშო სახელმწიფო. აღსანიშნავია ისიც რომ თამარ მეფის ეპოქაში არც ერთი ფაქტი არ არსებობს იმის დამამტკიცებელი რომ გამოყენებულ იყო ისეთი სასჯელები როგორცაა მათრახით ცემა თუ სხვა ფიზიკური ზიანის მიმყენებელი სასჯელი მითუმეტეს სიკვდილით დასჯა.

X საუკუნის ჩინეთის სამართლის, მუს კოდექსში იყო სიკვდილით დასჯა და სასჯელის სხვა მძიმე ფორმები: კასტრაცია, დადაღვა, ფეხების მოკვეთა და სხვა,⁶⁰ რასაც იმავე დროის ქართული სამართლის ისტორიაში არ ვხვდებით, სიკვდილით დასჯა სასჯელის უმაღლეს ფორმად ითვლებოდა და ითვლება, თუმცა საქართველომ თამარ მეფის ეპოქაში როდესაც ქვეყანა იმყოფებოდა განვითარების უმაღლეს საფეხურზე უარი თქვა სასჯელის ამ ფორმაზე, მიუხედავად ამისა საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდში სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა ქვეყნისათვის „საშიში ადამიანებისაგან“ განწმენდის საშუალებას, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე თუ ვინ ითვლებოდა ქვეყნისათვის საშიშ პიროვნებად, სიკვდილით დასჯა უფრო იმ ადამიანებს ემუქრებოდათ ვინც გამოვიდოდა იმ პერიოდში გაბატონებული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, აქედან გამომდინარე საბჭოთა კავშირში რეალურად არასოდეს ყოფილა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ამას ამტკიცებს ისიც რომ „ფედერაციაში“ იყო ერთპარტიული სისტემა, განსხვავებული აზრი არავის გააჩნდა, ან ეშინოდათ მისი გამოთქმის რადგან ქვეყნის მტრად არ გამოეცხადებნათ და სიკვდილით არ დაესაჯათ, აღსანიშნავია ისიც რომ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი პარტია, რომელიც (და დამატებული ბრძოლის შედეგად) ყოველთვის აბსოლუტური უმრავლესობით იმარჯვებდა, მაგრამ თუ მოხდებოდა სასწაული და პარტია ვერ აიღებდა აბსოლუტურ უმრავლესობას ანუ მინიმუმ 51% რა მოხდებოდა მაშინ? უნდა დანიშნულიყო ფარდობითი უმრავლესობის საარჩევნები მაგრამ ერთპარტიულ სახელმწიფოში ვისზე მეტი ხმა უნდა მოეპოვებინა პარტიას?

⁶⁰ ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბილისი 2008, გვ 32, 33

ქვეყანაში სადაც სიკვდილთ დასჯა კანონიერია და სასჯელის ერთ ფორმას წარმოადგენს თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს უდანაშაულო ადამიანთა წინააღმდეგ, გამოთქმული აზრისა თუ იმის გამო რომ ინდივიდი მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს, გარდა ამისა 90-იანი წლების საზოგადოების მხოლოდ 10-20% პროცენტი იყო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ან უბრალოდ თავისი აზრის გამოთქმის შიშით არ აფიქსირებდა იმას რასაც ფიქრობდა, თუმცა 2 წლიანი სიკვდილით დასჯის ანტიპროპაგანდული მუშაობის შემდეგ მოსახლეობის 50-55% სასჯელის ამ ფორმის წინააღმდეგი იყო, საქართველოში სიკვდილით დასჯის უკანასკნელი განაჩენი გამოტანილ იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ სულ რაღაც 16 წლის წინათ, ყოველწლიურად უამრავი ადამიანი ისჯება უსამართლოდ სხვადასხვა მიზეზთა გამო მაგ: საქმეში ახალი გარემოებების პოვნის შემთხვევაში ვერ მოხერხდება სიკვდილით დასჯილის გაცოცხლება. აქედან გამომდინარე სახელმწიფომ არ უნდა გადაწყვიტოს ადამიანის ბედი სიკვდილით დასჯით, რადგან მას არ შეუძლია სიცოცხლის მინიჭება არც უნდა ართმევდეს მას, სახელმწიფო უნდა იცავდეს სიცოცხლეს მას მხოლოდ ამის ძალა შესწევს და სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაც ეს იყო.

მსოფლიოში არსებობდა სამართლიანობის აღსრულების უამრავი უსასტიკესი ფორმა, რომლის არსებობაც შეიძლება ვერცკი წარმოგვედგინა, მასალების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი რომ ჩვენი წინაპარი გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი იყო, მეტიც ეს მათ სიამოვნებას ანიჭებდათ და სიკვდილით დასჯის ისეთი ფორმები როგორცაა: სკაფიზმი, გილიოტინა, რესპუბლიკური ქორწილი, ცოცხლად გატყავება, გახერხვა და ა.შ რომლებიც ხორციელდებოდა საჯარო ადგილებში, რათა ყველას შეძლებოდა მისი ყურება, ხოლო შეკრებილი ბრზო ამით სიამოვნებას იღებდა.

ვეფრობ სიკვდილით დასჯა ყველაზე არაჰუმანური გადაწყვეტილებაა რაცკი შეიძლება მიიღოს თანამედროვე სამართლებრივმა სახელმწიფომ, სიკვდილით დასჯა შეიზლება შეეცვალოს სამუდამო პატიმრობით, ან დანაშაულისთვის დადგენილი პატიმრობის უმაღლესი ვადით. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და არამარტო, აღსანიშნავია პირველი ქართული კონსტიტუცია რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს მასზე მუშაობა დაიწყო 1918 წელს და მასზე მუშაობდა 2 საკონსტიტუციო კომისია."1921

წლის კონსტიტუცია წარმოადგენს გარკვეულ სიმბოლოს იმდროინდელი ქართული მისწრაფებებისა ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბებისკენ ⁶¹ 1921 წლის კონსტიტუციაში დაცულია ისეთი უფლებები, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, დებულებები როგორცაა "საპარლამენტო მმართველობის სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება, სიკვდილით დასჯის გაუქმება, სიტყვისა და რწმენის თავისუფლების, საყოველთაო საარჩევნო უფლების დაცვა[...]" 1921 წლის კონსტიტუცია ითვლება მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, სრულყოფილი და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ უზენაეს საკანონმდებლო აქტად" 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლით გაქმნა სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, თუმცა სამწუხაროდ 1921 წლის კონსტიტუციას დიდხანს არ უარსებია, რელურად მან მხოლოდ ოთხი დღე იმოქმედა შემდგომ საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და მოხდა იმ დროისთვის მოწინავე, პროგრესული კონსტიტუციის გაუქმება რომელშიც ადამიანის ძირითადი უფლებები შეიძლება ითქვას საუკეთესოდ იყო დაცული და გამტკიცებული ხოლო ამის შემდგომ მოდის უკვე საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდი და მიღებული ოთხი კონსტიტუცია 1922, 1927, 1937, 1978 წლების რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნაკლებად იყო ორიენტირებული. როგორც უკვე ვთქვით საბჭოთა კონსტიტუცია ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ქვეყნისათვის "საშიშ ადამიანთაგან" განსაწმენდად. საბჭოთა კონსტიტუციების შემდგომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა სცადეს თუმცა მას რეალურად არც ამ შემთხვევაში უმოქმედია, მალე საქართველო კონსტიტუციის გარეშე რჩება ამის გამო 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს პარლამენტის მიერ, ეს აქტი კონსტიტუციის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში ძირითად უზენაესი კანონის , კონსტიტუციის მაგივრობას წევდა თუმცა "მასში არსებითად არაფერი იყო ნათქვამი კლასიკური კონსტიტუციის ისეთ ორგანულ ნაწილზე როგორცაა

⁶¹ საქართველოს 1921 წლის თებერვლის კონსტიტუცია, საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, 2013

ძირითადი უფლებები ⁶² შემდგომ ეტაპზე იწყება მუშაობა ახალი კონსტიტუციის შემუშავებაზე რომელიც მოცემულ სიტუაციას დაარეგულირებდა და სახელმწიფო მოხელეებს მისცემდა სიტუაციის ადეკვატურად, მოკლე დროში გადაჭრის შესაძლებლობას, ამიტომ განიხილებოდა, მიმდინარეობდა მსჯელობა ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნაზე, იმედოვნებდნენ, რომ იგი მოცემულ სიტუაციას გამოასწორებდა უმოკლეს დროში, გარდამავალი პერიოდისთვის საუკეთესო იქნებოდა. "არგუმენტები, რომ კონსტიტუცია არა 10 წლის, არამედ საუკუნეებისთვის შეიქმნა, არ გამოდგება რადგან 10 წელი გარდამავალ პერიოდში ეს უფე საკმაოდ დიდ დროს ნიშნავს. ამის შემდეგ არსებული გარემოების შესაბამისად, კონსტიტუცია შესაძლოა კიდევ შეიცვალოს" ⁶³

ხოლო 1992 წელს იქმნება საკონსტიტუციო კომისია, რომლის შექმნას ბიძგი მისცეს დემეტრაშვილმა და ხმალაძემ, კომისია დაკომპლექტდა 118 წევრით, თავჯდომარედ აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე, მნიშვნელოვანი შეფერხებების მიუხედავად მიიღეს კონსტიტუციის პირველი მუხლები, თავი რომელიც შეეხებოდა ადამიანის უფლებებს. მუხლები ასევე ითვალისწინებდა სახალხო დამცველის ინსტიტუტს. საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, იგი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს განცხადებების, საჩივრისა და საკუთარი ინიციატივის საფუძველზეც. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია ეყრდნობა ეყრდნობა 1921 წლის კონსტიტუციას, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

ევანაზიის მომხრეები ამბობენ რომ ადამიანს აქვს არჩევნის უფლება თუ ის სიცოცხლით დაიღალა, მაშინ მას ექიმები უნდა „დაეხმარონ“ უმტკივნეულოდ მოკვდეს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ადამიანი არ შეიძლება დაიღალოს სიცოცხლით რადგან თითოეულის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ყველას გვიყვარს სიცოცხლე, თუმცა ზოგჯერ მოცემული სიტუაციის გამო ვერ ვაანალიზებთ ამას, თუ უფრო ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, ზოგადად როდესაც ადამიანი ცდილობს

⁶² დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი; თბილისი 2011, გვ 59

⁶³ ბაბევი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქ (1993-1995) გვ 167

გამოეთხოვოს სიცოცხლეს ევთანაზიის ან სუიციდის საშუალებით, მას ძლიერ ტანჯავს სწეულებით თუ სხვა მიზეზთა გამო გამოწვეული ტკივილი, ცხოვრებისეულ ურთიერთობებში კრახი, დეპრესია რაც შიშდება გამოწვეულ იქნეს იმ სოციუმით, იმ საზოგადოებით რომელთა წრეშიც იგი იმყოფება, შესაძლოა ეს უქმნიდეს მძიმე სტრესულ მდგომარეობას რითაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს სუიციდის მცდელობა, აქედან გამომდინარე ეს ადამიანები თვითმკვლელობითა თუ ევთანაზიით ცდილობენ მდგომარეობა გაიუმჯობესონ, მიისწრაფვიან ისეთი ყოფისკენ სადაც არსებული პრობლემები არ ექნებათ, ევთანაზიის მოთხოვნის საფუძველი ხდება ძლიერი ფიზიკური ტკივილი, რაც შეიძლება გაუსაძლისი იყოს ადამიანისთვის თუმცა მას სულაც არ სურს სიკვდილი, არამედ სურს აღარ აწუხებდეს, აღარ იტანჯებოდეს სწორედ ამიტომ იგი მოითხოვს ევთანაზიას, მაგრამ იმავდროულად ქვეცნობიერად მას სურს იცოცხლოს, ტკივილების გაქრობის შემთხვევაში იგი არ შეეცდება თავის მოკვლას, არც თავის მოკვას შეეცდება რადგან იქნება ბედნიერი იმით რომ ეს საშინელი ტანჯვა შეწყდა, აღარ არსებობს, აქედან გამომდინარე ვიქრობ პაციენტს აქვს მუდმივი ტკივილით გამოწვეული აფექტის მდგომარეობა შესაბამისად ამ დროს ადამიანის გონება დაბინდულია და ობიექტური განსჯის უნარი დაკარგული აქვს ასე, რომ სახელმწიფო უნდა იღებდეს სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას, თუმცა იმ შემთხვევაში თუ იგი შესაბამის მდგომარეობაში არ იმყოფება, ან არ იმყოფება საღ გონებაზე და მას ექსპერტიზა სულიერად გაუწონასწორებლად ჩათვლის.

ევთანაზიის ორი მთავარი ფორმა არსებობს აქტიური და პასიური. პასიური ევთანაზია გულისხმობს, რომ ჩვენ ხელოვნურად კიარ ვერევით სიცოცხლის შეჩერებაში უბრალოდ უკანასკნელ სტადიაზე მყოფ ავადმყოფის მკურნალობას აღარ ვაგრძელებთ ვწყვეტთ მედიკამენტების მიწოდებას, ან როდესაც ადამიანი სუნთქვის აპარატზეა მიერთებული გამორთავთ რადგან მისი გადარჩენის შანსი აღარ არსებობს. აქტიური ევთანაზია როდესაც ექიმის მიერ ხდება სიცოცხლის შეზღუდვა, თუმცა ცოტა გაუგებარია თუ ადამიანს, პაციენტს აქვს პასიური ევთანაზიის უფლება რომელიც მკურნალობის შეწყვეტას გულისხმობს, ან აპარატის გათიშვას მაშინ რატომ არ აქვს აქტიური ევთანაზიის უფლება? ჩვენ უკვე ვთქვით რომ ეს არის სასოწარკვეთის გონების დაბინდვის შედეგი, თუმცა თუ ამ მიმართულებით წავალთ მაშინ პასიური ევთანაზიაც აკრძალული

უნდა იყოს რადგან პაციენტი წყვეტს მკურნალობას და ირიბად უარს ამბობს სიცოცხლეზე, მას შემდეგ რაც იგი გაიგებს მძიმე დაავადების შესახებ, რომელიც განუკურნებელია და რამოდენიმე კვირაში მოკვდება განა არ დაებინდება გონება და აზრს არ დაკარგავს ყველაფერი? ანუ სახელმწიფო აძლევს თავის ერთადერთ წყაროს სიკვდილის უფლებას მკურნალობაზე უარის თქმით, თუმცა იმავდროულად უკრძალავს ინდივიდს უშფოთველად სიკვდილს, მას იმეტებს ამქვეყნიური ტანჯვისა და ღირსების შემლახველი მდგომარეობისათვის, მაშინ როცა უზენაესი კანონის დონეზე აკრძალულია, ღირსების შელახვა თუმცა სახელმწიფო ამას ირიბად მაინც აკეთებს, როდესაც სასიკვდილოდ, ტკივილისათვის განწირული ადამიანს რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ღირსების შემლახველ მდგომარეობაში არ აძლევს უფლებას ეს დამამცირებელი მდგომარეობა თავიდან აიცილოს, თუმცა თუ გავიხსენებთ კანონის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ერის ეთნიკური, ზნეობრივი, რელიგიური შეხედულებები იმისათვის რომ კანონმა იმოქმედოს, მაგრამ ვფიქრობ სახელმწიფოს მხრიდან მაინც არაპუმანურია ევთანაზიის აკრძალვა, ევთანაზიაზე უარის თქმა ან თანხმობა გადასაწყვეტი უნდა იყოს თითოეული ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანის, მის რწმენასა და რწმენაში ყოფნაზე, თუ შეუძლია ადამიანს უარი თქვას თავისი რწმენისა თუ რელიგიური შეხედულებების საფუძველზე, რწმენიდან და რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე იგი თავად უნდა წყვეტდეს გამოიყენოს თუ არა ეს უფლება. მოიკლას თავი ევთანაზიის გამოყენებით უკიდურეს შემთხვევაში და გადავიდეს ნირვანაში ანუ სამოთხეში ბუდისტური რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობის მიხედვით, თუ აირჩიოს ამქვეყნიური ტანჯვა-ვაება, ტკივილი სულის ცოდვებისაგან განწმენდისათვის და შემდეგ წარსდგეს უფლის წინაშე, რწმენის თავისუფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით⁶⁴ ასევე გერმანიის ძირითადი კანონით ... ამიტომ განვიხილოთ გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება "მომჩივანი გახლავთ პროტესტანტული სამოს რელიგიური გაერთიანების წევრი. მისი მეუღლეც აღნიშნული გაერთიანების წევრი იყო. მომჩივნის მეუღლემ, რომელსაც მეოთხე მშობიარობის შემდეგ აღენიშნებოდა სისხლნაკლებობა, ექიმის

⁶⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მე-19 მუხლი საქართველოს საპარლამენტო უწყებანი, 1995, N 31 -33 N 786 რს

რეკომენდაციის მიუხედავად უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციასა და განსაკუთრებით სისხლის გადასხმაზე. აავადმყოფის მეუღლემ არ მოახდინა მასზე რაიმე ზეგავლენა, რათა დაეყოლიებინა იგი, გაეთვალისწინებინა ექიმის რჩევები.

შესაბამისად პაციენტს არ უმჯურნალეს რის შედეგადაც იგი ბოლომდე საღ გონებაზე მყოფი გარდაიცვალა ... ლანდტის სასამართლომ მომჩივანს დახმარების აღმოუჩენლობის დანაშაულის გამო , 1965 წლის 14 იანვრის განაჩენით შეუფარდა ფულადი ჯარიმა 200 გერმანული მარკის ოდენობით, რასაც შეიძლებოდა ჩანაცვლებოდა 10 დღიანი პატიმრობა[...] გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ მოხდა მომჩივნის რწმენისა და აღმსარებლობის ძირითად უფლებებში დაუშვებელი ჩარევა[...] რელიგიის თავისუფლება თითოეულ პირს მიაკუთვნებს ყოველგვარი სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალ სამართლებრივ სივრცეს, სადაც მას აქვს შესაძლებლობა მოიწყოს საკუთარი ცხოვრება ისე , როგორც ეს მისი შეხედულებებს შეესაბამება [...] აღნიშნული პრინციპის განხილვისა და გამოყენების შემდეგ დადგინდა[...] რომ მომჩივანს არ შეიძლება დაბრალდეს, რომ მან თავისი რელიგიური მრწამსის წინააღმდეგ არ გადაარწმუნა თავისი მეუღლე იმავე რელიგიური შეხედულებების დათმობაში "65 აღნიშნული საქმის ამოსავალი პრინციპიდან და სახელმწიფოს მიერ აღიარებული რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებიდან გამომდინარე დაუშვებია ადამიანს მოსთხოვო წავიდეს საკუთარი რწმენის წინააღმდეგ შესაბამისად თუ ინდივიდის რწმენა და აღმსარებლობა ამლევეს უფლებას შესაბამის სიტუაციაში გამოიყენოს აქტიური თუ პასიური ევთანაზია და თუ იგი ფიქრობს რომ მისი რწმენით, აღმსარებლობით მოიპოვებს სამუდამო სასუფვეველს სახელმწიფო არ უნდა უკერძალავდეს მათ აღნისნულს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რწმენაში მყოფ ადამიანს მოსთხოვს წავიდეს საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ, რათქმაუნდა პირის რწმენა და ქმედება არ უნდა ლახავდეს სხვათა უფლებებს ასევე სუბიექტი გარდაცვალებამდე უნდა იყოს საღგონებაზე, რათა გარკვეულ გარემოებათა გამო არ მიიღოს არასწორი გადაწყვეტილება. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოხდება

⁶⁵ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანით, გვ 59

ევთანაზიის დაკანონება მკაცრად იმპერატიულად უნდა იყოს ევთანაზიის არსი გარკვეული რათა ბოროტად არ იქნეს იგი გამოყენებული სახელმწიფოსა თუ სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ, ყველასთვის კარგად ცნობილია სახელმწიფოსაგან მისი ბოროტად გამოყენების ფაქტებიც.

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ ერიდება სახელმწიფოთა უმრავლესობა ევთანაზიის დაკანონებას. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად ევთანაზიის აკრძალვა კარგია რადგან მედიცინა მუდმივ განვითარებადია და არსებობს პრეზუმცია იმისა რომ მედიცინა თავისი წინ გადადგმული ნაბიჯით დაეხმარება ამ ადამიანებს თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც რომ მედიცინის მიღწევების მოლოდინში უამრავი ადამიანი საშინელ ტკივლს განცდის, იმავდროულად ევთანაზიის დაკანონებით შესაძლოა შეწყდეს ან ნაკლებ აქტუალურ პრობლემად ჩაითვალოს იმ დაავადებათა განკურნების გზების ძიება რომლით დაავადებულნიც ევთანაზიას იყენებენ.

რიგ ქვეყნებში სადაც ევთანაზია კანონიერია ოთხი პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული აქტიური ევთანაზიის დროს.

1. პაციენტი გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილით უნდა იტანჯებოდეს.

2. სიკვდილი უნდა იყოს გარდაუვალი და ახლოვდებოდეს.

3. პაციენტმა უნდა მისცეს თანხმობა

4. ექიმმა უმედეგოდ უნდა ამოწუროს ტკივილისაგან განსათავისუფლებელი ყველა სხვა საშუალება.

როგორც ვხედავთ აღნიშნული პირობები მაქსიმალურად ამცირებს გადაწყვეტილების შეცდომით მიღებისა და მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, შესაბამისად ვფიქრობ სრულიად ნორმალური იქნება აღნიშნული პირობებით აქტიური ევთანაზიის დაკანონება. ხოლო რაც შეეხება რელიგიის პოზიციას ეს იქნება ინდივიდზე დამოკიდებული მის რწმენაზე, რწმენაში ყოფნაზე და მისი რწმენის სიძლიერეზე.

ამერიკის შეერთებული შტატების უმეტეს ნაწილში ევთანაზია უკანონოა მაგრამ ჩემთვის ცოტა გაუგებარია როგორ შეიძლება სიკვდილით დასჯა იყოს კანონიერი ხოლო ევთანაზია აკრძალული

ისეთი პირობების არსებობისას რომლებიც უკვე ჩამოვთვალეთ, თუმცა ამერიკის მოსახლეობის 60 პროცენტი მომხრეა ევთანაზიის.

აქტიური ევთანაზიის მოწინააღმდეგეა მსოფლიოს სამი უდიდესი რელიგიიდან სამივე

1.ქრისტიანული ეკლესია

2.კათოლიკური ეკლესია

3.ბუდიზმის თერავადის მიმდინარეობა

ჩამოთვლილ რელიგიათა პოზიცია, ვფიქრობ შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ აქტიური ევთანაზიის დროს ხდება ადამიანის მიერ უშუალოდ ადამიანის შექმნილი მედიკამენტით სიცოცხლის წართმევა,მაშინ როცა ჩამოთვლილ რელიგიათაგან აღიარებულია რომ ადამიანი ამქვეყნად მოდის ღმერთის ნებით და მისივე ნებით ტოვებს სული სხეულს და გადადის სამუდამო სასუფეველში ნირვანაში, ანუ სამოთხეში ხოლო რაც შეეხება პასიურ ევთანაზიას ანუ როდესაც ავადმყოფი უარს ამბობს მკურნალობაზე შეიძლება ახსნილ იქნეს იმით რომ რწმენაში მყოფი ადამიანს მიაჩნია, რომ ღმერთის მიერ ნაბოძებ სიცოცხლეში, მის ხანგრძლივობაში არ უნდა ჩაერიოს ადამიანი და მის მიერ შექმნილი მედიკამენტები, შეიძლება ამ შემთხვევაში ინდივიდს მიაჩდეს რომ ეს არის ღმერთის ნებისათვის წინააღმდეგობის გაწევაა, მედიკამენტების საშუალებით გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს თუმცა ამ შემთხვევაში წავა განგების წინააღმდეგ და უფლის წინაშე ვერ წარსდგება იმ დროში რაც მის მიერ იყო დადგენილი (უხეშად რომ ვთქვათ), უკურნებელი დაავადება და ტკივილები ღმერთის მიერ იყო მოვლენილი ინდივიდის სულის ცოდვებისაგან განწმენდისათვის მას შემდეგ რაც იგი განიწმინდება სული დატოვებს სხეულს...

ნამუშევარში განხილულ იქნა სიცოცხლის უფლების დილემები გადაუჭრელი პრობლემები, ავტორისეული ხედვა ამ ყველაფერში, სახელმწიფოს როლი სიცოცხლის უფლების მის დაცვასა და ხელყოფაში, განსაზღვრულ იქნა სამართლებრივი სახელმწიფოს არსი მისი როლი სიცოცხლისა და ადამიანის სხვა უფლებათა დაცვაში, ხალხის ნების გამოვლენა უშუალო დემოკრატიის საშუალებით კერძოდ არჩევნებით და შემდეგ არჩევნებით დაკანონებული სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებები, განხილულ იქნა სახელმწიფოს მიერ

ბოროტად გამოყენებული უფლებები რამაც გამოიწვია მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა გენოციდი, სიტყვისა და აზრის თავისუფლების გამოხატვის ფორმები სიცოცხლის უფლებასთან და სამართლებრივ სახელმწიფოსთან მიმართებაში, ასევე განხილულ იქნა ეკლესიისა და ადამიანის პოზიციები სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით. ჩვენამდე გამოყენებული სიკვდილთ დასჯის უამრავი შემადრწუნებელი ფორმა, პირველი უფლებები საზოგადოების თანაცხოვრების პირველ ფორმებში, ასევე გავიარეთ მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოსა და საბჭოთა კონსტიტუციათა, განვიხილეთ მათში აღიარებული თუ უგულვებელყოფილი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ თავად კონსტიტუცია და მათში მოთავსებული დებულებები უბრალოდ მაკულატურაა, ფარატინა ქაღალდზე ნაბეჭდი ტექსტი თუ იგი თანაბრად არ აღიარა და გაითავისა ყველა მოქალაქემ . "თავად კონსტიტუცია მხოლოდ ქაღალდის უბრალო ფურცელია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონსტიტუცია დღესაც და მომავალშიც თანაბრად აღიაროს ყველა მოქალაქემ"⁶⁶ხოლო რაც შეეხება სიცოცხლის უფლებას იგი არის ხელშეუვალი აბსოლუტური უფლება, ისეთი რამ რის შელახვაშიც არ შეიძლება ვრცელდებოდეს სახელმწიფოს ძალა, სახელმწიფო შეიქმნა იმისთვის რომ დაიცვას სიცოცხლე, დაიცვას ადამიანი, დაიცვას მისი უფლებები და თავისუფლებები, იგი არის საზოგადოების თანაცხოვრების დღესდღეობით მიღწეული უმაღლესი ფორმა რომლის მოვალეობაცაა მკაცრად დაიცვას და გაუფრთხილდეს მის მთავარ წყაროს ადამიანს.

"სიცოცხლე ერთი პატარა სანთელია რომელიც ღმერთმა აანთო და ღმერთსავე აქვს მისი ჩაქრობის უფლება"

მაია ყუშიტაშვილი

ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში

ნორმატიული თეორია გაბატონებული მოძღვრებაა ბრალთან მიმართებაში, ქართული სისხლის სამართალიც სწორედ ნორმატიულ მოძღვრებას აღიარებს, რომლის მიხედვითაც ბრალი აღიქმება როგორც გასაკიცხაობა, რომელსაც ადგენს მოსამართლე. ქართული სისხლის

⁶⁶ საქართველოს პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე 2000 წ

სამართლის კოდექსში ზუსტად არ არის მოცემული ბრალი ცნება, მაგრამ თუ ზოგადად განვმარტავთ, ეს არის შეფასებითი ანუ ნორმატიული კატეგორია. ბრალი როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტი და დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი, ასევე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, წარმოადგენს ქვეყნის სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

ზოგადად ბრალისა და ბრალეული პასუხისმგებლობის იდეა წარმოადგენს ცივილიზაციის უმთავრეს ღირებულებას, სამწუხაროდ ისტორიას ახსოვს პერიოდები როდესაც არ იყო დახვეწილი ბრალეულობის იდეა და ძალიან არამყარი და აბსტრაქტული კავშირის დადგენაც საკმარისი იყო პირის ბრალდებისათვის, თანდათან გაჩნდა საჭიროება შეგნებული და არგუმენტირებული რეგულირების აუცილებლობის.

ბრალის არსის საკითხი არ კარგავს აქტუალურობას და მისდამი დამოკიდებულება საკმაოდ არაერთგვაროვანია. მრავალი მეცნიერი საკმაოდ საინტერესო განმარტებებს აკეთებდნენ ბრალის შესახებ და სწორედ ბრალი გახლდათ ის საკითხი რაზეც დღესაც საუბრობენ და არანაკლებ საინტერესო განმარტებებს გვთავაზობენ თანამედროვენი. ზუსტად რა უნდა ვიგულისხმოთ ბრალში როგორც პასუხისმგებლობის საფუძველში, უპირველესად უნდა აღინიშნოს რომ ქართული სისხლის სამართლის დამოკიდებულება ბრალთან მიმართებაში, არც ისე დიდი ხნის წინ შეიცვალა და ე.წ ფსიქოლოგიურ თეორიას ჩაენაცვლა ნორმატიული თეორია. ნამდვილად დიდ ინტერეს იწვევს თუ რა სახის ცვლილებები შემოვიდა სიახლის სახით, რა დადებითი და უარყოფითი გარემოებებით ხასიათდებოდა ძველი მიდგომა და რას გვთავაზობს დღევანდელი გაგება. სასამართლო ხელისუფლებს სრულყოფისათვის და თითოეული სისხლისამართლებრივი სუბიექტისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ზუტი ცოდნა ბრალის არსის, თუ რა ადგილი აქვს სამართლის სისტემაში, როგორია მისი სტრუქტურა და როგორ იღებს პრაქტიკულ მნიშვნელობას. ბრალის ცნება არის საკმაოდ რთული საკითხი, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს თავისებური მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ვერ ხდება მისი ცნების ჩამოყალიბება, შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს სისხლის სამართლის ინსტიტუტებს შორის, ერთნი რასაც მიიჩნევენ მაგალითად მის ფორმებად განზრახვას და გაუფრთხილებლობას, მეორენი საკმაოდ

ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს და სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ. მაგალითისთვის სწორედ ჩვენთან, სანამ ბრალი ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად აღიქმებოდა როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედება და შედეგს შორის ამჯერად სრულიან განხვავებული მიდგომით ხასიათდება ბრალის არსი, კერძოდ ბრალი შეფასდა როგორც მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივი გაკიცვა, ისმის მთავარი კითხვა როგორ ადგენენ ქართულ სინამდვილეში პირის ბრალეულობას, ის ხომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტია. ასევე უფრო ზოგადი კუთხით თუ მიუდგებით, ბრალი სისხლისამართლებრივი მნიშვნელობით ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და არ მოიცავს მხოლოდ იმას თუ ესა თუ ის მოძღვრება როგორ განმარტავს. ბრალი კავშირშია დანაშაულის სისტემის ყველა ელემენტთან, პირველ რიგში განხორციელებული ქმედება, როგორც აქტიური ისე პასიური ფორმით, ქმედების ობიექტური და სუბიექტურ შემადგენლობასთან, მართწინააღმდეგობასთან და საბოლოო ჯამში იქმნება სისხლისამართლებრივი საფუძველი რითაც უნდა მოხდეს პირის მიმართ კონკრეტული ქმედების ბრალად შერაცხვა.

ყოველივეს გათვალისწინებით ჩემს მიერ არჩეულ თემას როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით დიდი მნიშვნელობის მატარებელია, სისხლის სამართალი კი ზოგადად სამართლის უმიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სისხლის სამართალი წარმოადგენს ქმედების სამართალს ანუ ადამიანი პასუხს აგებს სწორედ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის, სწორედ აღნიშნული ქმედებაა დანაშაული, რომელიც მოიაზრება პასუხისმგებლობის ობიექტად. ჯერ უნდა იქნეს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და სწორედ ამ მომენტის შემდეგ დაისმევა ბრალის საკითხი, ანუ ბრალი გამოხატულებას პოულობს ქმედების ჩადენაში და ასევე ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობის დროსაც.

გერმანელი კრიმინალისტიკის ე. მეცგერის შეხედულების თანახმად "ბრალი უპირველეს ყოვლისა არის შეფასებითი მსჯელობა, ადამიანის შინაგანი ქცევის განსაზღვრულ ხასიათზე და რომ ბრალის ნორმატიული გაგება ანუ ქცევის გასაკიცხაობა", იგივე აზრს იზიარებს გერმანელი კრიმინალისტი რიჰარდ ლანგე "ის ამბობს, ბრალი თავისი არსით არ არის

ქცევის განსაზღვრული ფსიქიკური მხარე რომელიც შეიძლება კონსტანტირებული იქნეს, არამედ წარმოადგენს სოციალურ –ეთიკური სწრაფვის უქონლობის გასაკიცხაობას". ასევე გერმანელი კრიმინალისტიკის ი.ლექშასის თანხმად "ბრალმა დამნაშავის თავიდან გადაინაცვლა მოსამართლის თავში და ამიერიდან ბრალი არსებობს მხოლოდ იმდენად რამდენადაც მოსამართლემ გაკიცხა იგი, ამით მოსამართლის თვითნებობას საკმაოდ დიდი გასაქანი ეძლევა".

თავიდანვე ნათელი იყო რომ ბრალის ცნება საკმაოდ მრავლისმომცველია და საჭიროებს მაქსიმალური სიზუსტით განმარტებას. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში უარყოფილია ე.წ კოლექტიური ბრალის პრინციპი და თანამედროვე სამყარომ აღიარა რომ ეს არის აუცილებლად ინდივიდუალური კატეგორია და ეხება უშუალოდ კონკრეტულ პიროვნებას და კონკრეტულ შემთხვევას. რატომ ვერ შემუშავდა ერთიანი ცნება? რა არის მთავარი საკამათო საკითხი ამ განსხვავებულ დამოკიდებულებებს შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრალი ფსიქოლოგიურად თუ ნორმატიულად უნდა განიმარტოს, ეს კითხვა საკმაოდ ხშირად იჩენს თავს და ამაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ, ასევე პრობლემური საკითხია განზრახვის და გაუფრთხილებლობის ადგილი ბრალთან მიმართებაში. აღსანიშნავია თეორიტიკოსების მიდგომა ასევე ერთ საკითხზე, ბრალის და ბრალეულობის ცნებათა არსი, მათი ურთიერთმიმართება. ბრალი ესაა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო პირის გაკიცხვა, ანუ გაკიცხვის პროცესია ხოლო ბრალეულობა კი ეს არის თვისება რის გამოც ინდივიდუალურად უნდა გაიკიცხოს ქმედების ჩამდენი სუბიექტი, გაკიცხვის მიზეზია გასაკიცხაობა, ხოლო გაკიცხვა გასაკიცხაობის შედეგი ესაა მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. "ბრალის არსებობა ყოველთვის დაკავშირებულია დამნაშავის მსჯავრდებასთან" ამბობს ტ.სერგეევა, რომ ბრალის ცნება ორი ნიშნით ხასიათდება, პირველი ეს არის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და ამ შედეგისადმი, მეორე ბრალის შეფასებითი მომენტი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან და მიგვანიშნებს მის გასაკიცხაობის ხასიათზე.

ადრეულ პერიოდში, კაპიტალიზმამდე ბრალი აღიქმებოდა როგორც ქმედებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ფსიქიკურ დამოკიდებულებას, ფართო გავრცელებას პოვენს ე.წ ნორმატიულ შეფასებით თეორიაში.

გვაროვნული წყობილების პირობებში ინდივიდი განუყოფლად ერწყმოდა თავის გვარს და ადენად მის მიერ განხორციელებული საზიანო ქმედება ვერ აღიქმებოდა როგორც საკუთრივ მისი, არამედ ის უნდა შერაცხვოდა შესაბამის გვარს როგორც ერთ მთლიან სუბიექტს. ლოგიკურად სუბიექტს შეეძლო თავისი ქმედებით ზიანი მიეყენებინა იმავე გვარის წარმომადგენლის ინტერესებისათვის, რომელსაც ის თავადვე განეკუთვნებოდა და ამჯერად ინდივიდს უშუალოდ უნდა ეგო პასუხი მის მიერ გამოწვეული შედეგისათვის, აქ უკვე ბრალი არ შეადგენს განხილვის საგანს სამწუხაროდ. ასევე იყო პერიოდი როდესაც მცირერიცხოვანი ფენა გახლდათ გაბატონებული და უმრავლესობა მათ მორჩილებაში, ამ ეტაპზე რა თქმა უნდა ნამდვილად წარმოუდგენელი იყო ადამიანზე როგორც სამართლის სუბიექტზე მსჯელობა, ბრალი გაჩნდა სწორედ ინდივიდის სუბიექტად ჩამოყალიბების შემდეგ და თან სდევს გააზრებულ ურთიერთობებს. ბრალის ცნების შესახებ საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებია, მაგალითად ე.შმიტდის აზრით "ბრალი არ არის არც თვისება, არც მხოლოდ შეფასებითი მსჯელობა, ესაა შინაგან და გარეგან მომენტებს შორისარსებული ურთიერთობა, ანუ ბრალი ესაა ფაქტობრივი ურთიერთობა სუბიექტურ ქცევასა და სისხლისამართლებრივ ნორმას შორის". არანაკლებ საყურადღებო განმარტებას აკეთებს ბრალის შესახებ არისტოტელე რომლის აზრითაც "შესარაცხია ისეთი ქმნილება რომელიც მეტად თუ ნაკლებად უკავშირდება სუბიექტის ზნეობრივ განწყობას (der sittliche habitus), ანუ არანებაყოფლობითი მოქმედება საერთოდ არ უნდა შეფასდეს არც უარყოფითად და არც დადებითად, იმიტომ რომ არ არის არავითარი კავშირი სუბიექტის გარეგან ქცევასა და მის ზნეობრივ განწყობას შორის". ამის მიხედვით მაგალითად დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამდენმა პირმა არ უნდა აგოს პასუხი.

უდაოა ერთი გარემოება, ბრალის არსებობიდან დღემდე, მისი არსი და ცნება საკმაოდ განსხვავებულ ჭრილში განიხილებოდა, რეალობიდან გამომდინარე მისი ინტერპრეტაციის საშვალეზაც საკმაოდ ფართოა, უდაო გახდა ის რომ თუ სუბიექტი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, არ არის კონკრეტული კანონმდებლობით ვალდებული რომ იმოქმედოს აქტიურად ან თუნდაც პასიურად, ანუ თავი შეიკავოს რაიმე ანტისაზოგადოებრივი ქმედებისაგან, როგორ მოვიკიდება ამ საკითხს სუბიექტი? თუ რეალურად არ ჩადის რაიმე ქმედებას რომელიც აღიქმება მისდამი დადგენილი ვალდებულებების დარღვევად, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალის

საკითხი საერთოდ არ დაისმევა. მოკლედ რომ ვთქვათ გარკვეული ვალდებულება და მისი არსებობის პარალელურად ადამიანი, მთელი თავისი უფლებებით და თავისუფლებებით.

საინტერესოა ედუარდ კოლრაუშის სიტყვები, "ბრალი არის სახელმწიფოებრივად აუცილებელი ფიქცია", სხვანი ამტიკიცებენ ბრალი არის "ხასიათის პროდუქტი," "დამნაშავის ცხოვრების წესის შედეგი", "სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა" ან როგორც "სამართლებრივად გასაკიცხი განწყობა", ასევე "სუბიექტური შემადგენლობის შეფასება", "მოვალეობის საწინააღმდეგოდ ნების ფორმირება" ფროიდენტალის აზრით ნორმატიული ელემენტები შეიძლება ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანდეს სახელწოდებით "სხვაგვარად მოქმედების მოთხოვნის შესაძლებლობა", შესაბამისად ბრალი არსებობს მაშინ როცა პირს ჰქონდა ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.

ბრალის სამართლებრივ მნიშვნელობაზე არავიან არ დაობს მაგრამ ერთი შეხედვით ცოტა გაურკვეველია ერთმნიშვნელოვანი მიდგომა თუ რა არის მთავარი ბრალის არსში. ნორმატიულმა თეორიამ მთავარ თეზისად ჩამოაყალიბა რომ ეს არის გასაკიცხაობა, ანუ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებისასდმი შინაგანი დამოკიდებულების გასაკიცხაობა, რომელიც აუცილებლად გასაკიცხი იმიტომ რომ ეწინააღმდეგება სამართლით დაცულ სიკეთეს, წესრიგს და საერთო ჯამში კანონს. სხვადასხვა თეორიების ფუნდამენტური მოხაზულობები ბრალთან მიმართებაში, თითქოსდა ერთიანდება ა. კაუფმანის მოსაზრებაში, კერძოდ " მთავარია რა საფუძველი გვევლინება გასაკიცხად? ბრალის შინაარს ქმნის უმართლობის ცოდნაც და სურვილიც და ასევე ქმედების განხორციელება, ანუ ბრალი მოიცავს დანაშაულის ცნებით მიცემულ ყველა სუბიექტურ-ობიექტურ კომპონენტებს და უარყოფს შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დასჯადობას."

ნორმატივისტთა უმრავლესობა ბრალს განმარტავს როგორც გასაკიცხაობას, რაც ქართული სისხლის სამართალსიც აღიარებულია მაგრამ არტ კაუფმანი აღნიშნავს "რომ ბრალის გაიგივება გასაკიცხაობასთან არ არის სწორი, გასაკიცხაობა არის ბრალის შედეგი, ბრალი არის ის რომ სუბიექტი შეიძლება დაფუქვემდებაროთ გაკიცხვას, რამდენადაც ბრალეულია". ლენქნერი და როქსინი განავრცობენ ამ შეხედულებას "გასაკიცხაობა არის გარკვეულ რამეზე შეფასებითი მსჯელობა და არა თვით ეს გარკვეული რამ". ლაშა-გიორგი კუტალია

ამბობს "გასაკიცხაობა როგორც ტერმინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბრალის ადგილზე დანაშაულის სიტყვაში, მაგრამ ბევრს არაფერს გვთავაზობს ბრალის შესაცნობად, გაკიცხვის შესაძლებლობა მოგვეპოვება მაშინაც როცა ბრალი არ არის მოცემული და არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის ან მართლწინააღმდეგობის საფეხურზე, გასაკიცხაობა ნიშნავს არა შეფასებას არამედ შეფასებითობას, ხოლო შეფასებას გაკიცხვა წარმოადგენს , მოკლედ რომ ითქვას გასაკიცხაობას როგორც შეფასებითობას არ შეიძლება გააჩნდეს შეფასების ობიექტი ".ჰანს ველცელი გასაკიცხაობის შესახებ ამბობს " სუბიექტის გაკიცხვა არ მიდის დამნაშავის ფსიქიკაში, არამედ სასამართლო ორგანოთა საქმიანობის გამოხატულებათა, ნორმატიული გაკიცხვა ასახავს იმას რომ ველცელის თქმით ბრალი მოსამართლის თავში ვეძებოთ, ჰანს ველცელს აინტერესებს თუ ფსიქიკურად რა კავშირი აქვს მოსამართლის მიერ განსახილველ დანაშაულებრივ მოქმედება–უმოქმედობასთან იმის სრული იგნორირებით თუ რაში მდგომარეობს თვით განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ანუ ფაქტიურად ბრალი არის მოსამართლეთა უარყოფითი დამოკიდებულება განსასჯელის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი".

თ.წერეთელი ამბობს "ბრალის ნორმატიული ცნება მიუღებელია, არა იმიტომ რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შემოიტანა, არამედ იმიტომ რომ ბრალის ცნება მთლინად შეფასებით მსჯელობად აქცია და დამნაშავის ფსიქიკიდან მოსამართლის ფსიქიკაში გადაიტანა, ნორმატიულმა თეორიან გაწყვიტა კავშირი დამნაშავის შინაგანი ფსიქიკური ცხოვრების პროცესებსა და შეფასებით მსჯელობას შორის". ქალბატონი თინათინ წერეთელი ასევე დასძენს, "ბრალი ზუსტად არის პირის ფსიქიკური კავშირი მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, რომელიც ზნეობისა და მართლწესრიგის პოზიციებიდან მორალურ–პოლიტიკურ გაკიცხვას იმსახურებს, ბრალის შესახებ მოძღვრების განვითარება ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში იმ მიმართულებით წავიდა რომ ბრალის ფორმები განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალზე ნორმატიული მსჯელობის საგნად გადაიქცნენ, შემდგომ კი სულ გამკვეთულ იქნენ ბრალის ცნებიდან და ბრალის ცნებაში დარჩა მარტოოდენ წმინდად ნორმატიული მომენტი გასაკიცხაობა.

არანაკლებ საინტერესო მოსაზრება აქვს ვ.მაყაშვილს "ბრალის ცნება რომელიც მოწყვიტეს თავის რეალურ საფუძველს ანუ ფსიქოლოგიურ შინაარსს, გადაქცეულია იურიდიულ გარკვეულობას მოკლებულ შეფასებით მსჯელობად, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა მსოფლმხედველობაზე, მათ პოლიტიკურ და მორალურ რწმენასთან, გემოვნებასთან".

ფსიქოლოგიაში ბრალის ცნება არ არსებობს, მაგრამ ფსიქოლოგიური თეორია პირდაპირ აქცენტს ამ საკითხზე აკეთებს, აი ნორმატიული თეორია სწორად უთითებს ბრალის გასაკიცხ ბუნებაზე, მაგრამ ბრალი როგორც გაკიცხვის ობიექტი ცნების სახით ლოგიკურ ფორმაში დღესაც არ არის მოპოვებული. აღნიშნულმა შერეულმა თეორიამ ბრალის ცნებაში შემოიტანა შეფასების მომენტი და განსაზღვრა ბრალი როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი. აღნიშნულმა თეორიამ ჩემი აზრით გაითვალისწინა როგორც ფსიქოლოგიური თეორიის ასევე ნორმატიული თეორიის როგორც დადებითი ისე უარყოფითი გარემოები და შესაბამისად მოგვცა შედარებით უფრო სრულყოფილი დეფინიციები. თავდაპირველად ყველაზე კარგად ფრანკმა შეძლო დაესაბუთებინა რომ ფსიქოლოგიურ თეორიას არ შეეძლო დაესაბუთებინა ბრალის შემამსუბუქებელი და გამომრიცხველი გარემოებების არსებობა, მაგალითად: თუ პირი რეალური მუქარით აიძულეს რომ ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ სიკეთეს, ამ დროს სახეზეა მისი ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, მაგრამ ვინაიდან საფრთხეში იყო ამიტომ გამორიცხება ბრალი. ანუ ბრალი არის ფსიქოლოგიური ელემენტი, ასევე შეფასებითი ნორმატიული ელემენტს უნდა შეიცავდეს, შემოდის შეფასების მომენტი და განსაზღვრა, როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარ შედეგს შორის. საინტერესოა პროფესორ თ.წერეთლისა და მაყაშვილის კონცეფცია, რომელშიც ბრალის ფსიქოლოგიური თეორია უარყოფილი არ არის, მაგრამ მასში შეტანილია არსებითი კორექტივები, კერძოდ მიჩნეულია რომ ბრალი გასაკიცხია, ხოლო ამ პოზიციიდან ბრალი უბრალო ფსიქიკური დამოკიდებულება კი არაა, არამედ საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი სუბიექტის ასოციალური დამოკიდებულება, ანუ ბრალი გასაკიცხია და არ გაიყვანება ქმედებისა და შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებად.

ბრალი როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტი და დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი, ასევე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, წარმოადგენს ქვეყნის სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ზოგადად ბრალისა და ბრალეული პასუხისმგებლობის იდეა წარმოადგენს ცივილიზაციის უმთავრეს ღირებულებას. მრავალი მეცნიერი საკმაოდ საინტერესო განმარტებებს აკეთებდნენ ბრალის შესახებამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ქართული სისხლის სამართლის დამოკიდებულება ბრალთან მიმართებაში, არც ისე დიდი ხნის წინ შეიცვალა და ე.წ ფსიქოლოგიურ თეორიას ჩაენაცვლა ნორმატიული თეორია, მნიშვნელობას. ბრალის ცნება და არსი არის საკმაოდ რთული საკითხი, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს თავისებური მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ვერ ხდება მისი ცნების ჩამოყალიბება, შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს სისხლის სამართლის ინსტიტუტებს შორის, ერთნი რასაც მიიჩნევენ მაგალითად მის ფორმებად განზრახვას და გაუფრთხილებლობას, მეორენი საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს და სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ. ბრალი სისხლისამართლებრივი მნიშვნელობით ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და არ მოიცავს მხოლოდ იმას თუ ესა თუ ის მოძღვრება როგორ განმარტავს. ბრალი კავშირშია დანაშაულის სისტემის ყველა ელემენტთან, პირველ რიგში განხორციელებული ქმედება, როგორც აქტიური ისე პასიური ფორმით, ქმედების ობიექტური და სუბიექტურ შემადგენლობასთან, მართწინააღმდეგობასთან და საბოლოო ჯამში იქმნება სისხლისამართლებრივი საფუძველი რითაც უნდა მოხდეს პირის მიმართ კონკრეტული ქმედების ბრალად შერაცხვა. ბრალი სოციალური კატეგორიაა, მასში აისახება დანაშაული ჩამდენის დამოკიდებულება სოციალური ფასეულობებისადმი, უფრო ზუსტად მისი სოციალური არსი ისაა რომ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას ვლინდება დამახინჯებული დამოკიდებულება საზოგადოებრივ წესრიგთან და საერთო სამართლებრივ ღირებულებებთან.

ბრალის ცნებასთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანი მოდგომაა, მრავალი დისკუსიები გამართულა აღნიშნულ საკითხზე და არ კარგავს ინტერესს არც დღეს. იმართებოდა განხილვები ბრალის არსის, მისი ცნების მნიშვნელობასა და მის პრობლემურ საკითხებზე, ასევე მთავარი ორი თეორიის მომხრეებს შორის როგორცაა ე.წ ფსიქოლოგიური და ნორმატიული თეორიის მომხრე და

მოწინააღმდეგებს შორის, თუ რა არის ბრალის არსში მთავარი, გერმანელი კრიმინალისტიკის ი.ლექშასის თანხმად "ბრალმა დამნაშავეს თავიდან გადაინაცვლა მოსამართლის თავში და ამიერიდან ბრალი არსებობს მხოლოდ იმდენად რამდენადაც მოსამართლემ გაკიცხა იგი, ამით მოსამართლის თვითნებობას საკმაოდ დიდი გასაქანი ეძლევა". აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ თვითონ ნორმატივისტებს შორისაც მრავალფეროვანი დამოკიდებულება არის ბრალის ცნებასთან მიმართებაში, ზოგადად კი ასოცირდება გასაკიცხაობასთან მაგრამ გასაკიცხაობის შინაარსი და ბრალის ცნების მიმართება უფრო საინტერესო მიდგომებით ხასიათდება, სიმპტომატიზმის თეორია, განზრახვის თეორიას ვის მიერ უნდა მოხდეს პირის გაკიცხვა? მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ, მაგრამ ბრალი როგორც გასაკიცხაობის ობიექტი გაკიცხვამდე უნდა არსებობდეს, რა თქმა უნდა რაც არ აუნდა მოინდომოს მოსამართლეს და შეფასება მოახდინოს თვითონ ვერ შექმნის თუ არ არის შესაბამისი საფუძველი.

უდაოა ერთი გარემოება, ბრალის არსებობიდან დღემდე, მისი არსი და ცნება საკმაოდ განსხვავებულ ჭრილში განიხილებოდა, რეალობიდან გამომდინარე მისი ინტერპრეტაციის საშვალეც საკმაოდ ფართოა, საინტერესოა 1 ედუარდ კოლრაუშის სიტყვები, "ბრალი არის სახელმწიფოებრივად აუცილებელი ფიქცია", სხვანი ამტიკიცებენ ბრალი არის "ხასიათის პროდუქტი," "დამნაშავეს ცხოვრების წესის შედეგი", "სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა" ან როგორც "სამართლებრივად გასაკიცხი განწყობა", ასევე "სუბიექტური შემადგენლობის შეფასება", "მოვალეობის საწინააღმდეგოდ ნების ფორმირება".

მ.უგრეხელიძის მიხედვით " ბრალი წმინდა ფსიქოლოგიური ცნება კი არ არის, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც თავის განუყოფელ ნიშნად გულისხმობს საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხაობას ", ასევე განმარტავს რომ ბრალი მორალურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა საზოგადოებაში აღიარებული ინტერესებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. 2 გ.ნაჭყებია ამბობს ბრალი არის "მართლზომიერი ქმედების ვალდებულებებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც არაა მოწყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ ბრალი მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულებაზე არ დაიყვარება, განზრახვა და გაუფრთხილებლობა

ამ უპასუხისმგებლობის ფორმებია. " ქართული სისხლის სამართლის კოდექსში ზუსტად არ არის მოცემული ბრალი ცნება, მაგრამ თუ ზოგადად განვმარტავთ, ეს არის შეფასებითი ანუ ნორმატიული კატეგორია,თ.წერეთელი ამბობს "ბრალის ნორმატიული ცნება მიუღებელია, არა იმიტომ რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შემოიტანა, არამედ იმიტომ რომ ბრალის ცნება მთლინად შეფასებით მსჯელობად აქცია და დამნაშავეს ფსიქიკიდან მოსამართლის ფსიქიკაში გადაიტანა, ნორმატიულმა თეორიან გაწყვიტა კავშირი დამნაშავეს შინაგანი ფსიქიკური ცხოვრების პროცესებსა და შეფასებით მსჯელობას შორის".არანაკლებ საინტერესო მოსაზრება აქვს ვ.მაყაშვილს "ბრალის ცნება რომელიც მოწყვიტეს თავის რეალურ საფუძველს ანუ ფსიქოლოგიურ შინაარსს, გადაქცეულია იურიდიულ გარკვეულობას მოკლებულ შეფასებით მსჯელობად, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა მსოფლმხედველობაზე, მათ პოლიტიკურ და მორალურ რწმენასთან, გემოვნებასთან".როგორც ვნახეთ ქართულ სისხლის სამართალშიც საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომაა.

დასკვნის სახით რომ ვთქვათ რა არის ბრალი, უნდა მოვიშველიოთ როგორც ზოგადი სისხლის სამართლის პრინციპები, ჩავწვდეთ ასევე პროცესის არსს და გავანალიზოთ როგორც ძველი შეხედულებები ისე თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებები. ბრალი როგორც ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით ვლინდება და სწორედ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს გაკიცხვის ობიექტს.

ანუ ბრალი არის გაკიცხვის ობიექტი, მოსამართლის შეფასების ობიექტი, სისხლის სამართლის სუბიექტის მიერ დანაშაულის შემადგელობის განხორციელებისას, ეს სუბიექტი გაჰყავს სახელმწიფოსთან სისხლისამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ და გადადის საპროცესო ურთიერთობებში, რომლის ფორმაში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და განხილვა, გამოძიებისას ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენა, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად სამართალი შინაარსობრივად ახალ დონეზე უნდა გადავიდეს, ანუ განსასჯელს შეეძლო ემოქმედა მართლზომიერად? ანუ ჰქონდა პასუხისმგებლური დამოკიდებულება? მოკლედ რომ ვთქვათ სუბიექტის ბრალს სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის კვალიფიკაციას ანიჭებს და

სახელმწიფოს სახელით გაკიცხავს მას. განხორციელებული ქმედება არის ობიექტური შერაცხვის კრიტერიუმი, ხოლო სუბიექტური შერაცხვის პრინციპია ბრალი, რომელიც გამოხატულია მართლზომიერი ქმედების ვალდებულებებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, ეს ინდივიდუალურად მოქმედის მიმართ და ასევე ჯგუფური დანაშაულის დროსაც და თითოეული პასუხს აგებს საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად, ანუ ბრალი განისაზღვრება ინდივიდუალურად.

აუცილებლად უნდა შემუშავდეს ბრალის ცნების ერთიანი ტერმინი რომ ზუსტად იქნეს ჩამოყალიბებული ბრალის არსის მნიშვნელობა და ამით თავიდან ავიცილებთ სხვადასხვა ინტერპრეტაციას. ყველაზე მარტივად რომ ბრალი ეს არის სისხლისამართლებრივი კატეგორია რომელშიც ზოგადად სისხლისამართლებრივი მოვალეობის დარღვევა შეერაცხება პირს, ეს მოვალეობა მოცემულია იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა სუბიექტს მოცემული მოვალეობა შეასრულოს, და მისი მოვალეობის დარღვევა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის დადგომის საფუძველი ან კონკრეტული საფრთხის მიზეზი.

ნინო ქისტაური

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები.

2008

წლის

ავგისტოში საერთაშორისო თანამეგობრობა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფის პრინციპების წინააღმდეგ განხორციელებული უპრეცედენტო შეიარაღებული თავდასხმის მოწმე გახდა. რუსეთის მხრიდან მრავალი თვის განმავლობაში განხორციელებული პროვოკაციების შემდეგ ამ ქვეყნის სამხედრო ძალებმა გადმოკვეთეს საქართველო- რუსეთის საზღვარი და გამოიყენეს ძალა საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე. 2008 წლის 7 ავგისტოს რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე, რომლის შედეგადაც უხეშად იქნა დარღვეული საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები.

რუსეთის მხრიდან შეიარაღებული ძალების გამოყენება უკანონო და ყოვლად გაუმართლებელი იყო, რასაც საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლება არ მოეძებნება. საქართველოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენებით, რუსეთმა აშკარად და უხეშად ხელყო საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში „გაერო“) წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად⁶⁷. ძალის გამოყენებით ასევე დაირღვა საერთაშორისო სამართალსა და ურთიერთობებში ჩაურევლობის პრინციპი, რაც თავისი მასშტაბებისა და ფარგლების გათვალისწინებით, წარმოადგენს აგრესიის აქტს, რაც ასევე აკრძალულია გაეროს წესდებითა და საერთაშორისო სამართლით და ამასთან, ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად არის მიჩნეული საერთაშორისო სამართალში.

შეიარაღებული კონფლიქტის პროვოკაცია რუსეთის მხრიდან აშკარა იყო, რასაც მოჰყვა წუთების განმავლობაში ათასობით ჯარისკაცისა და ტანკის, ასობით თვითმფრინავის მიერ საქართველოში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განხორციელება, რომლის დროსაც ანადგურებდნენ და წვავენ მშვიდობიანი, ქართველი მოსახლეობის სახლებს სოფლებსა თუ ქალაქებში, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ხოცავდნენ დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. 7 აგვისტოს საღამოს, საქართველოს მთავრობას ხელთ ჰქონდა მრავალი სადაზვერვო მონაცემი იმის თაობაზე, რომ დაახლოებით 150 ჯავშნიანი მანქანა და რუსი ჯარისკაცებით დატვირთული მანქანები მოემართებოდნენ როკის მიმართულებით. სწორედ ამ ესკალაციის საპასუხოდ და საქართველოს კონსტიტუციის 71 - ე მუხლზე დაყრდნობით⁶⁸, საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად, 7 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გასცა თავდაცვითი ოპერაციის

⁶⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (/შემდგომში - „გაერო“) წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის გამოყენების ან მისი მუქარისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით“.

⁶⁸ დაწვრილებით იხ. საქართველოს კონსტიტუციის 71- ე მუხლი.

დაწყების ბრძანება, რაც აბსოლიტურად გამართლებული ნაბიჯი იყო საქართველოს მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალის გამოყენება მოუხდა თავდაცვის მიზნით რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, რუსეთის მთავრობა არ წყვეტდა პროპაგანდას, რომ საქართველომ განახორციელა გენოციდი, ეთნიკური წმენდა ოსების მიმართ. ამ პროპაგანდას რათქმაუნდა თავისი მიზნები ჰქონდა: პირველი - რუსეთის უკანონო ქმედებების გამართლება; და მეორე - ოსეთის მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული ძალებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების წახალისება „გენოციდისა და მასობრივი მკვლელობების“ საპასუხოდ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სისასტიკის ჩასადენად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ეთნიკური წმენდა: სეპარატისტულმა რეჟიმებმა, რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით, განდევნეს ქართველი მოსახლეობა საკუთარი სახლებიდან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ფიზიკური შესაძლებლობა მოუსპონ.

რუსეთი ცდილობდა და დღესაც ცდილობს, საქართველოს დააკისროს სრული პასუხისმგებლობა ამ ტრაგედიაზე, ცდილობს საკუთარი ქმედებების იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევას, ცდილობს ახსნას, რომ იგი იძულებული იყო „ჩარეულიყო აფხაზებისა და ოსების დასაცავად“, რადგან რუსეთის მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე გენოციდისა და ეთნიკური წმენდის საფრთხეს განიცდიდა 1990-იანი წლებიდან. 2008 წლის 26 აგვისტოს⁶⁹ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრანებულებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთი საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) დამოუკიდებლობას ცნობს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა გაავრცელა საგანგებო მიმართვა და საზოგადოებას აუწყა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობისა და აუცილებლობის შესახებ. დიმიტრი მედვედევის აზრით, ბრძანებულების გამოცემისთვის არსებობდა რამდენიმე საფუძველი, კერძოდ:

1). საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია გაეროს წესდება, საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები და განაახლა შეარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, რომლის

⁶⁹ დაწვრილებით იხ. 2008 წლის ჯურნალი „მარტლმსაჯულება და კანონი“ სტატია „სამართალი რუსულად“ ავტ. ჯონი ხეცურიანი

მსხვერპლიც გახდა მშვიდობიანო მოსახლეობა, რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები. ასეთივე ბედი ელოდა აფხაზეთს. 8 აგვისტოს თბილისმა გააკეთა არჩევანი საკუთარი პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მან აირჩია გენოციდი, რითაც ყველა იმედი გადაუწურა ოსებს, აფხაზებისა და ქართველების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობისა.

2). აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხალხებმა არაერთხელ გამოავლინეს თავისუფალი ნება და მხარი დაუჭირეს თავიანთი რესპუბლიკების დამოუკიდებლობას რეფერენდუმის მეშვეობით, მათ უფლება აქვთ თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

3). გაეროს წესდება „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ გაეროს 1970 წლის დეკლარაცია, ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტი და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები უფლებას აძლევს რუსეთს, ცნოს სხვა სახელმწიფოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს.

ნატოს, ევროკავშირის, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერები სწორად აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ დაიწყო სამხედრო მოქმედებები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს იყო საქართველო, რომელიც საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედებდა, არამედ ქართულ-რუსულ კონფლიქტში მთავარი არის ის, რომ რუსეთი გავიდა კონფლიქტური ზონების ფარგლებს გარეთ და მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის თითქმის 1/3 - ის სამხედრო ოკუპაცია, ეს კი „ძალის არაპროპორციული გამოყენებაა“ რაც საერთაშორისო სამართლის უხემ დარღვევას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა სწორედ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტურ რეგიონებში ჩადენილი ადამიანის უფლებათა მასობრივი და მძიმე დარღვევის, გენოციდის ფაქტებზე და ამით გაამართლა რუსეთის სამხედრო ძალებისშე შეჭრა მეზობელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი, კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ბრძანებულების გამოცემა. ამასთან, დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის უმნიშვნელოვანეს

ნაწილს წარმოადგენს დებულება, რომელიც კრძალავს ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით უცხო სახელმწიფოში იძულებითი ზომების გამოყენებას. ეს დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს კომპეტენტური ორგანოები ჩათვლიან, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა სისტემატურ დარღვევას, რაც საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულად ითვლება.⁷⁰ ცნობილია, რომ გაეროს არცერთ კომპეტენტურ ორგანოს ამის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია და შესაბამისად, არც რუსეთისათვის მიუციათ უფლება, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ძალებით აღეკვეთა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, ასეც რომ არ იყოს, გაეროს წესდების მიღების შემდეგ დამკვიდრებული სამართლებრივი წესრიგი არ ცნობს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა დაცვის მოტივით, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი მცდელობა, რომ გაამართლოს ძალის გამოყენება „საზღვარგარეთ მოქალაქეთა დაცვის უფლებით“, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ასევე მოქალაქეთა დაცვის მიზნით ძალის გამოყენების არგუმენტს ასუსტებს ის ფაქტი, რომ საქართველომ თავდაცვითი ოპერაცია დაიწყო რუსეთის მიერ სამხედრო თავდასხმის განხორციელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მანამდე კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამშვიდობო ძალებს შორის არანაირი შეტაკება არ მომხდარა. საქართველოს სამხედრო ოპერაცია, რომელიც დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, იყო თავდაცვის უფლების განხორციელება საკუთარ ტერიტორიაზე. გაეროს წესდების 51-ე მუხლი ითვალისწინებს თავდაცვის „ხელშეუხებლობის“ უფლებას, როგორც გამონაკლისს ძალის გამოყენების აკრძალვიდან.⁷¹ თავდაცვის უფლების ფარგლებთან დაკავშირებით ყველა სახელმწიფო თანხმდება, რომ ამ უფლების ამოქმედების საფუძველია მეორე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა. შესაბამისად ისმის კითხვა, რა არის შეიარაღებული თავდასხმა? როგორც გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა ეს არის-„საერთაშორისო საზღვრის მეორე მხარეს სამხედრო შენაერთების ქმედება, თუ ეს უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე უბრალო სასაზღვრო ინციდენტი“.

⁷⁰ დაწვრილებით იხ. ლევან ალექსიდის „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, „ძალის გამოყენებაზე ან ძალის დამუქრებაზე უარის თქმა“. გვ 36- 41. 2010 წ.

⁷¹ იხ. გაეროს წესდება , 51- ე მუხლი.

- საქართველო მოქმედებდა საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების თავდასხმის წინააღმდეგ;
- საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შეიარაღებული თავდასხმა;
- საქართველოს ქმედებები მიმართული იყო საკუთარი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის , აგრეთვე საკუთაფრ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისაკენ.

საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება აუცილებელი და გარდაუვალი იყო რუსეთის მიმდინარე აგრესიის შესაჩერებლად. საქართველომ მიმართა ყველა ხელმისაწვდომ პოლიტიკურ და დიპლომატიურ საშუალებას სამხედრო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მისი ძალისხევა უშედეგო აღმოჩნდა. საქართველოს ძალები მოქმედებდნენ თავდაცვის მიზნით მშობლიურ მიწაზე. მათი ქმედებები იყო ლეგიტიმური და სრულიად კანონიერი გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის თანხმეირი.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი გენოციდის შესახებ, ეს მხოლოდ შიშველი ბრალდებაა მიღებული გადაწყვეტილების გასამართლებლად და არ არის დადასტურებული არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ რუსეთის განცხადება საქართველოს მიერ გენოციდის ჩადენის შესახებ არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით. აღნიშნულ ბრალდებას მხარი არ დაუჭირა არც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტმა „წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემის თაობაზე“, რომლის წარმომადგენლებმაც მოინახულეს საქართველო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის“ პრინციპის თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავს დაესხას მეორე სახელმწიფოს, რაგინდ სამართლიანიც უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა ძალითაც ასეთი პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობა იქნება ნაკარნახევი. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს უფლება, მიიღოს სათანადო ზომები, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, როდესაც ამას უშიშროების საბჭო დაადგენს, მაგრამ როგორც ჩანს, საერთაშორისო სამართლებრივ ამკრძალავ ნორმებს რუსეთისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც საერთაშორისო სამართლის ცნობილი ექსპერტი ანტონიო კასესე აღნიშნავს, რუსეთის ყველა მცდელობა, ბრალი დასდოს საქართველოს, კრიტიკას ვერ უძლებს იმ საკითხის ჩათვლით, რომ მან დაარღვია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, რადგან საკუთარი შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთში გაგზავნით საქართველომ, ექვგარეშეა, რომ პოლიტიკურად მართლაც გაუზრებელი ნაბიჯი გადაგა, თუმცა მას არ დაურღვევია არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, მიუხედავად იმისა, რამდენად ნომინალური იყო მისი სუვერენიტეტი (სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე). ამ ყოველივედან გამომდინარე, არ მომხდარა არც გენოციდი, არც ეთნიკური წმენდა; თუ სამხედრო დანაშაულები არის ჩადენილი, ეს მაინც ვერ გაამართლებს სამხედრო ინტერვენციას.

თუ თვალს გადავავლებთ 2008 წლის 8 აგვისტოდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ რუსეთის ქმედებებს, რომლებიც დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი და შევაფასებთ მათ საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება- რუსეთმა საქართველოს მიმართ განახორციელა სამხედრო აგრესია და მოახდინა მისი ტერიტორიების ოკუპაცია. ამასთანავე, რუსეთის სამხედრო აგრესიას და ოკუპაციას თან ახლდა ეთნიკური წმენდა, რომლის შედეგადაც ზემო აფხაზეთიდან განდევნილია 2500-მდე , ცხინვალის რეგიონიდან 30 000- მდე ქართველი მოსახლეობა, დაღუპულია მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე და განადურებულია მათი საცხოვრებელი სახლები. ამიტომ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ამ სამხედრო აგრესიის, ოკუპაციის და ეთნიკური წმენდის შედეგების იურიდიულად გაფორმების მცდელობაა მხოლოდ.

სამწუხაროდ, ქართულ- რუსული კონფლიქტების შედეგად ნათელი გახდა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებს სიტუაციაზე ეფექტიანად და სწრაფად რეაგირებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია ჩარეული. სწორედ ვეტოს უფლების გამო ვერ მოახერხა გაეროს უშიშროების საბჭომ ადეკვატური ზომების მიღება აგრესიის შესაჩერებლად; ეუთოს კი სწორედ იმ წესმა შეუშალა ხელი მასზე დაკისრებული მისიის

განხორციელებაში, რომელიც გადაწყვეტილების კონსენსუსის წესით მიღებას გულისხმობს, რადგან რუსეთმა დაბლოკა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ძალის გამოყენება, ამ ძალის მიმართვა გაერო სწევრი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსაყოფად, სეპარატისტული რეჟიმების DE JURE დამოუკიდებლობის აღიერება და მათ მიერ კონტროლირებული ტერიტორიების რუსეთის სამხედრო პლაცდარმებად ქცევა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მინიმალურ პრინციპებს.

საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური და ამავდროულად, პრობლემური და მტკივნეული საკითხია, რომლის გადაწყვეტაც დამოკიდებულია საერთაშორისო საზოგადოების მონდომებაზე, საერთო აზრისა და ერთიანი მიდგომის შემუშავებაზე. უკანონობამ კანონის ძალის დაკნინება ვერ უნდა მოახერხოს.

დასკვნა: რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმა საქართველოზე არის ძალის უკანონო გამოყენება, რაც ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს და მას ვერ ამართლებს ვერანაირი სამართლებრივი არგუმენტი. საქართველოს პასუხი რუსეთის სამხედრო თავდასხმაზე იყო პროპორციული, აუცილებელი დაა სრულიად გამართლებული განხორციელება თავდაცვის გამოყენების უფლებისა, რაც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლითა და გაეროს წესდებით.

მარი ბერუაშვილი

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში

“ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა, ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიისა თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო და კერძო წესით“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მე-18 მუხლი).

ყველა სახელმწიფო ამ უფლების განხორციელებას საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს და მისი დაცვა კონსტიტუციურ და საკანონმდებლო გარანტიებს ქმნის. ეს ისეთი უფლებაა რომელიც არამარტო ქვეყნის კანონმდებლობით არის დაცული, არამედ აღიარებულია საერთაშორისო დეკლარაციებითა და ხელშეკრულებებით. ეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლია, რომლითაც შეიქმნა მოდელი „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების“ შესახებ.

გვქონდეს ჩვენი აზრი, ეს იმას არ ნიშნავს რომ სხვას იგივე უფლება არ გააჩნია. ეს ის ზღვარია, რომლის დარღვევაც იწვევს ყველანაირ არეულობასა და დაპირისპირებას. ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი აზრი და ყველანი ვალდებული ვართ პატივი ვცეთ მას, აგრეთვე ჩვენი უფლებაა მოვითხოვოთ რომ სხვამაც სცეს პატივი ჩვენს შეხედულებებს, მიუხედავად იმისა ითვალისწინებენ თუ არა მას.

სინდისის თავისუფლება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე ცნებებისა და იდეების ერთობლიობას გულისხმობს. იგი ძირითადად მორალურ ღირებულებებს აყალიბებს, ხოლო რელიგიის თავისუფლება არამარტო შეხედულებებს გულისხმობს, არამედ რწმენასა და მრწამსს.

რელიგიურ თავისუფლებას ორი ასპექტი აქვს: ერთის მხრივ იგი იცავს რწმენის (თეიზმი) უფლებას, ხოლო მეორეს მხრივ მათ უფლებას ვისაც არ სწამს (ათეიზმი). რელიგიის თავისუფლება ადამიანის ყველა სხვა უფლების საფუძველია, არავის აქვს უფლება, რომ ვინმეს რწმენის დისკრიმინაცია მოახდინოს, რელიგიური თავისუფლება გულისხმობს ნებისმიერი პიროვნების რწმენის ხელშეუხებლობას.

რელიგიის, როგორც დამოუკიდებელი სოციალური სფეროს ჩამოყალიბებას, წინ რწმენისა და რიტუალების ფორმირებისა და განვითარების გრძელი გზა უძღვოდა. სიტყვა რელიგია ლათინური სიტყვაა და იგი შეიძლება განიმარტოს „როგორც „კავშირის აღდგენა“. რელიგია არის იდეათა და ქმედებათა სისტემა, რომელიც დფუძნებულია რწმენაზე, რომ არსებობენ ზებუნებრივი ძალები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ცხოვრებაზე და ცნობიერებაზე.

დღეს-დღეობით მსოფლიოში უამრავი რელიგია არსებობს. საქართველოში მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსისი კულტურა და რელიგია კვეთდა.

ადრეულ წარსულში სარწმუნოება მეტად მძიმე თემა იყო ქართველთათვის, რადგან ბევრი ადამიანი სწირავდა თავს მის გამო. იგი იყო მუდმივი დაპირისპირებებისა და მუდმივი ბძოლების საგანი, რამაც ასე გააპართახა საქართველო. სწორედ ასეთი ძალადობის მოსასპობად, ხალხთა ევოლუციის და გონებრივი განვითარების შემდგომ შეიქმნა ისეთი კანონები, რომლებიც განამტკიცებდნენ „რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას“. საზოგადოება მიხვდა, რომ აუცილებელია რელიგიური შემწყნარებლობა სხვა აღმსარებლობის მიმართ. ოდითგანვე რწმენა და აღმსარებლობა არა მარტო მრავალი სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების მიზეზი იყო, არამედ ქვეყნის შიგნითაც არსებობდა და არსებობს მუდმივი დავა ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომაც თითოეული სახელმწიფო ცდილობს მოაგვაროს ეს მრავალსაუკუნოვანი პრობლემა კანონების საშუალებით და საკუთარი ქვეყნის უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში განამტკიცებენ „რწმენის და აღმსარებლობის“ თავისუფლებას. რომელსაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც საქართველოში ასევე სხვა ქვეყნებშიც.

კერძოდ კი საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით :

„სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას“. კონსტიტუციის მე-19 მუხლით კი განმტკიცებულია შემდეგი უფლებები:

1. „ ყველა ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მის შესახებ.
3. დაუშვებელია ამ უფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

მე-19 მუხლი იცავს ადამიანის რელიგიურ და მორალურ გრძნობებს და შინაგან რწმენას, რელიგიურ და მსოფლმხედველობრივი აღმსარებლობის თავისუფლებას, აგრეთვე საკუთარი შინაგანი რწმენის და სინდისის კარნახით გადაწყვეტილებების იღების თავისუფლებას.⁷²

⁷² კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები. თბილისი, 2008. გვ 138

ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი რწმენა, მსოფლმხედველობა და სინდისი, იცხოვროს მათი მიხედვით და მათ საფუძველზე. კონკრეტულად რწმენის თავისუფლება კი ნიშნავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს თავისი რელიგიური და არარელიგიური რწმენა. აგრეთვე ადამიანის გარეგან თავისუფლებას, აღასრულოს, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს იგი და მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები. რწმენის თავისუფლების დაცვის ობიექტი ისევე, როგორც ყველა ძირითადი უფლებისა, არის კონსტიტუციის მიერ აღიარებული ადამიანი, როგორც საკუთარი პაუხისმგებლობის მქონე პიროვნება.⁷³

რწმენის თავისუფლება აღჭურავს მოქალაქეებს კონკრეტული უფლებებით სწამდეთ რომელიმე რელიგია. ჩამოაყალიბონ მათი აზრი მათივე რწმენის შეასახებ და გამოხატონ იგი საჯაროდ, ისე რომ არ შეზღუდონ სხვათა უფლებები. შექმნან რელიგიური გაერთიანებები მათი რწმენის გავრცელების მიზნით. მათ აქვთ უფლება მოაწყონ შეკრებები და მანიფესტაციები და გამოთქვან საკუთარი შეხედულებები თავიანთი რწმენისა თუ აღმსარებლობის შეასახებ.

შეკრებების და მანიფესტაციების უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში. აქედან გამომდინარე კი, თუ გარკვეული რელიგიურ მრწამსის გაერთიანებები გადაწყვეტენ გმოვიდნენ საჯაროდ და გამოთქვან საკუთარი აზრი მათ დაიცავს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, მიუხედავად იმისა მოსწონთ თუ არა ქვეყანაში მხცოვრებ სხვა სარწმუნოების მიმდევართ მათი რელიგიური მრწამსი. ეს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიზმზე მიუთითებს თუმცა, მხოლოდ ფორმალურად რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები კანონს არ ემორჩილებიან და ცდილობენ ძალადობით და აგრესიით განდევნონ ის ადამიანები, რომელთა შეხედულებები მათთვის მიუღებელია.

დღეს-დღეობით საქართველოში არ არსებობს ცნება „სახელმწიფო რელიგია“, თუმცა აღინიშნება მართმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი. ეს არის კონსტიტუციური შეთანხმება, რომელსაც კონკორდანტი ეწოდება და რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელით დებს შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლურ ეკლესიასთან.

⁷³ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი 2008წ (გვ 138)

კონკორდანტი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიას შორის დაიდო 2002 წელს. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.

„ენა, მამული, სარწმუნოება“- ამ დევიზის გამო სწირავდა თავს საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერი. თუმცა დროსთან ერთად ყველაფერი იცვლება და გასაკვირი არ არის რომ მცირედ მაგრამ მაინც შეიცვალა ქართველთა მტკიცე მენტალიტეტიც. განვითარების შედეგად ჩვენც მივხვდით რომ ქვეყანაში აუცილებელია დემოკრატიზმის არსებობა და მიუხედავად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებული როლისა და დიდი მნიშვნელობისა, ჩვენს ქვეყანაში არსებობს რამოდენიმე სარწმუნოება, რომელთაც პატივისცემას, როგორც კანონი აგრეთვე სარწმუნოებაც გვასწავლის. საკმაოდ ხშირია ქართველ მუსულმანებთან და ქართველ მართმადიდებელთა შორის დაპირისპირება. თუმცა მათი დევნა და შეზღუდვა დაუშვებელია, რაც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ნებისმიერ რელიგიურ აღმსარებლობაში ჩარევას, პიროვნების დევნას რელიგიური ნიშნით ან მისი აღმსარებლობის გამო. კრძალავს რელიგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის ხელის შეშლას. მიუხედავად ამ ყველაფრისა საქართველოში არსებული მრავალი განსხვავებული რელიგიური ორგანიზაციის უფლებები ხშირად იზღუდება. ამის მრავალი მაგალითია არსებობს:

2009 წელს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში, რომელიც მთლიანად აზერბაიჯანელი მუსულმანებითაა დასახლებული „მართმადიდებელ მშობელთა“ კავშირისა და სასულიერო პირების ხელმძღვანელობით შევიდა მართმადიდებელ მორწმინეთა აგრესიულად განწყობილი 50-70 კაციანი ჯგუფი, რომლებმაც სოფლის მოსახლეობისაგან ძველი მეჩეთის ნანგრევების რეკონსტრუქციის შეჩერება მოითხოვეს. სადავოა ამ ადამიანებს ვუწოდოთ „მორწმინენი“ რადგან ბიბლიიდან ცნობილია რომ აგრესია და სიძულვილი ადამიანს მკვეთრად აშორებს ღმერთისგან. აგრეთვე საეჭვოა ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანები თითქმის განკვეთილნი არიან საზოგადოებიდან და მათ მიმართ მიდის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლა, ვიწოდოთ დემოკრატიული ქვეყანა.

საზოგადოების არატოლერანტურობა რელიგიური უმცირესობების მიმართ არ შეიცვლება მხოლოდ კანონების მიღებით. მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ, არ მოსწონდეთ სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებები, მაგრამ თუ თავიანთ ანთიპატიას საჯაროდ გამოხატავენ და მორწმუნეების კონსტიტუციურ უფლებებს შელახავენ, სახელმწიფო ვალდებულია გამოექონიოს მათ და გაატაროს შესაბამისი სანქციები. თუმცა შესაძლებელია თავისი მისია ბოლომდე ვერ შეასრულოს, ვინაიდან საქართველოში დღეს–დღეობით შექმნილი ვითარებიდან საკმაოდ კარგად ჩანს, რომ მინიმალური ტოლერანტობაც კი არ შეინიშნება ხელისუფლებისა და ეკლესიის წევრებიდან არამართმადიდებლური რელიგიური გაერთიანებების მიმართ, მიუხედავად ამ ქმედების კანონით დაუშვებლობისა. ამის შესანიშნავი მაგალითი 2013 წლის 17 მაისის ორმხრივი აქცია გახლავთ. რომელიც მართალია არ იყო რელიგიურ გაერთიანებათა დაპირისპირება, მაგრამ იგი მეტნაკლებად რელიგიის თემასაც ეხებოდა, რადგან აქციის იმ მხარემ, რომლებიც ებრძოდნენ ჰომოფობიას ჩათვალეს, რომ იდენტობის მომხრეთა საჯაროდ გამოსვლამ შეურაცყო მართმადიდებლური სარწმუნოება, რადგან იგი სასტიკად კრძალავს მამათმავლობას. აქციაზე ერთის მხრივ საჯაროდ გამოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ ძალადობას ჰომოფობიის წინააღმდეგ, მათი აზრი ხმამაღლა გამოთქვას და გეგმავდნენ აღლუმის ჩატარებას, ხოლო მეორეს მხრივ გამოვიდნენ ის ადამიანები რომლებიც ებრძოდნენ მათ და აპროტესტებდნენ მათ მიერ დაგეგმილ აღლუმს. ისინი თვლიდნენ, რომ იმ ადამიანების თავისუფალმა აზრმა, რომლებიც თვლიდნენ რომ არ უნდა ებრძოლონ იდენტობას, ანუ ერთ სქესიანთა ურთიერთობას და ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც უნდა ყოფილიყო დასაშვები ასეთი ურთიერთობები და არ უნდა მომხდარიყო მათი დევნა და დისკრიმინაცია, ასეთმა აქციამ არამართო ქართველი მართმადიდებელთა ღირსება შებღალა, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა სარწმუნოების მიმდევართა ღირსებაც. სწორედ საზოგადოების ასეთმა აზრმა გამოიწვია საპროტესტო აქცია, რომელიც ძალადობაში და აგრესიაში გადაიზარდა და რომლის განტვირთვაც სახელმწიფომ ბოლომდე ვერ შეძლო. აგრესია გამოწვეული იყო იმით რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჰომოფობიას გარყვნილებად მიიჩნევს და მისი საჯაროდ გამოხატვა დაუშვებელია. თუმცა მიუხედავად საზოგადოების ასეთი აზრისა, თუკი დემოკრატიზმზე პრეტენზია გვაქვს არ უნდა გავწვდევნოთ და გავრიყოთ ის ადამიანები რომლებსაც

განსხვავებული ხედვა აქვთ, მიუხედავად იმისა მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს.

საქართველოს კონსტიტუცია სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის მხოლოდ ერთ კანონიერ მიზანს გამოჰყოფს, მე -19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია ჩამოთვლილ უფლებათა შეზღუდვა თუ მათი გამოვლენა არ ზღუდავს სხვათა უფლებებს“. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება არ გულისხმობს ადამიანის სრულ თავისუფლებას მის ქმედებაში, იგი იზღუდება კანონის უზენაესობით. ამის შემდგომ კი გასარკვევია ზემოდ ხსენებული აქციაში მონაწილე რომელმა მხარემ შეზღუდა ადამიანის ძირითადი უფლებები.

სიტყვის და აზრის თავისუფლება დემოკრატიული წესწყობილების საფუძველია, რომლის გარეშე სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება. განსხვავებულ შეხედულებათა მუდმივი ჭიდილი კი ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესის სასიცოცხლო ელემენტია.

რწმენა და რელიგია ადამიანის სუბიექტური და მკაცრი პიროვნული უფლებაა, რომელიც წინააღმდეგობაში არ უნდა მიდიოდეს საზოგადოების სხვა წევრებთან, არც მორალურად და არც კანონიერად. ერთი ადამიანის რწმენა ან ურწმუნოება არ უნდა ლახავდეს მეორე ადამიანის არც რწმენას და არც მის სამოქალაქო უფლებებს.

ქართველები ერთ-ერთი იმათგანი ვართ, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში მრავალი ტანჯვა განვლეთ ჩვენი სახელმწიფოს დასაცავად. ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებული სისასტიკის მიუხედავად არ გავტყდით და რწმენა მთელი თავისი სიწმინდით შევინარჩუნეთ. დღეს კი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება იმდენად არის ხაზგასმული, რომ ყველას საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია ცხოვრება, აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ რომ დღეს-დღეობის საქართველოში მეტნაკლებად მაინც არის დაცული რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

ოჯახური ძალადობის ბუნება

ოჯახური ძალადობის თემატიკა საქართველოში დიდხანს იყო ტაბუირებული, რადგან საზოგადოებას მიაჩნდა, რომ ის იყო ინდივიდის პირადი ცხოვრება, რომელშიც ჩარევა დაუშვებლად იყო მიჩნეული. ადამიანები დუმდნენ კანონის წინაშე, რის გამოც კიდევ უფრო მძლავრდებოდა აღნიშნული პრობლემა საზოგადოებაში. არსებობს კანონი, მაგრამ რიგ შემთხვევებში თვით საზოგადოების მიერ ხდება იმ სამართლებრივი ნორმების იგნორირება, რომელიც არის მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უმთავრესი გარანტი.

დროთა განმავლობაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში დამკვიდრდა აზრი, რომ გაუმართლებელია ოჯახური ძალადობის პრობლემაზე თვალის დახუჭვა, ვინაიდან ქალის უფლებების დარღვევა ეს არის საზოგადოების პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნის პიროვნების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ის ისეთივე დანაშაულია, როგორც სხვა ნებისმიერი კანონით აკრძალული ქმედება. მიუხედავად ყველაფრისა, რეალობა ერთია, რომ ოჯახური ძალადობის პრობლემა საქართველოში დღემდე ტაბუირებულია. ამ თემაზე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შედარებით ხმამაღლა საუბრობდნენ, კერძოდ ქალისა და ბავშვის უფლებათა დამცველ წრეებში. იკვლევენ და ებრძვიან, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის ის კვლავ ძნელად სამსჯელო თემად რჩება და საჯაროდ ამ პრობლემის წამოწევა ხშირ შემთხვევაში აგრესიას, ზოგჯერ ირონიასაც იწვევს. ეს და მსგავსი დამოკიდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, სადაც დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვეულებითი სამართლის ნორმები, შეიძლება ითქვას ე.წ. „წინაპართა დაუწერელი ადათ-წესები შესრულების სავალდებულო ხასიათით“, უფრო მეტიც, ძალიან ბევრ ქვეყანაში კანონზეც მაღლაც კი დგას მოცემული საკითხები. იგივე ირანის ისლამურ სახელმწიფოში ყურანი მიჩნეულია როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, რომელსაც პატივი უნდა სცეს ყველა მუსლიმანმა. მათთვის უმთავრესი მათი ღმერთისადმი მორჩილებაა, ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის სამართლებრივ ჭრილში განხილვა, ვინაიდან ამის აუცილებლობა განპირობებულია სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების

თვალსაზრისით, საზოგადოება მიხვდეს რომ ოთითგანვე დამკვიდრებულ ადათწესთა პატივისცემის პარალელურად ძალადობაზე დუმილი ეს არის საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის ან მის მცდელობაზე დუმილი .შედეგად მათ გონებაშივე კანონი,რომელიც რეალურად იცავს მათ უსაფრთხოებას, აღიქმება ამორალური, რადგან დაუშვებელია სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა ისევე როგორც ამ პირადი ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანა.

ოჯახური ძალადობის ბუნება

არსებობს მოსაზრება, რომ ოჯახურ ძალადობას წარმოადგენენ, როგორც ცალკეული სიტუაციიდან გამომდინარე კონფლიქტების ერთობლიობას, რომლებიც ძალადობით მთავრდება, მაგრამ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ის არის მორჩილებაზე აგებული ურთიერთობის მთლიანი კომპლექსი. ჩემი აზრით, არც ერთია მართებული და არც მეორე საკითხისადმი სწორად მიდგომის თვალსაზრისით. შეუძლებელია ყოველი ძალადობის მიზეზი იყოს ნებისმიერი სახის კონფლიქტი, თუნდაც სხვადასხვა თემაზე აგებული, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თვით პიროვნების დამოკიდებულება გარეული სახის კონფლიქტისადმი, მისი ცნობიერება და მოვლენის სწორად აღქმადობის უნარი ამა თუ იმ გარემოებისადმი, რამდენად თავდაჭერილი შეიძლება იყოს საკუთარ პარტნიორთან ურთიერთობისას კონფლიქტის მომენტში, აქვს თუ არა ზოგადად საქმისადმი სწორად მიდგომის ნიჭი და ა.შ. ადამიანის მიზანი ამგვარი ძალადობის განხორციელების პროცესში, შეიძლება, ასევე, იყოს არა მარტო მსხვერპლის მისადმი დამორჩილების და მასზე კონტროლის განხორციელების სურვილი, არამედ სხვა ბევრი ფაქტორი. მაგალითისთვის, ალკოჰოლისტი შეიძლება ძალადობას ახორციელებდეს მელლისადმი არამარტო მასზე კონტროლის მიზნით, არამედ ფინანსური თვალსაზრისითაც, ანუ როცა ყველანაირად დამოკიდებულია ქალზე. ამ შემთხვევაში, მეტი ალბათობით, მოძალადე კონცენტრირებულია მსხვერპლის არა ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებისკენ, არამედ საკუთარი სურვილების-ალკოჰოლის შედეგად მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ, რაშიც საკუთარი მეუღლე უნდა დაეხმაროს. ოჯახური ძალადობის ძირითადი მახასიათებელია მოძალადის მიერ მსხვერპლის ნივთად აღქმა და საკუთარი მანიპულირების ობიექტად ქცევა. ხშირად, ბუნებრივია, მოძალადის მიზანია მსხვერპლის დამორჩილება მასზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

მსხვერპლის როლში, ეს ძირითადად ქალები და ბავშვები გამოდიან. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამგვარ ძალადობას განიცდიან, მორჩილება, სხვის ნება სურვილზე ცხოვრება, ერთგვარად პიროვნული თავმოყვარობის შელახვაა. გარდა იმისა, რომ ამგვარი მოპყრობა ადამიანში იწვევს ფიზიკურ ტრამვას, საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, შესუსტებულია უსაფრთხოების ზომები. ამასთან მუდმივი კონტროლის ქვეშ ცხოვრებამ, მისი ნება სურვილების გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა არანაკლებ სახიფათო ფსიქოლოგიური ტრამვა გამოიწვიოს ადამიანში. მასში ყოველთვის შესუსტებული იქნება იმისი შეგრძნება, რომ არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ამასთან, ბევრად მძიმე შედეგამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, როცა ძალადობა გრძელდება თვეებისა და წლების მანძილზე, მსხვერპლს კი ეს ცხოვრების ჩვეულ წესად მიაჩნია, რადგან ზოგიერთისთვის მამაკაცი ეს არის მათი ბატონ-პატრონი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის უნდა დაემორჩილო.

ამ დუმილს, თმენის მიზეზად შეიძლება მოყვანილ იქნეს ისეთი მაგალითები, როგორცაა, მაგალითად, „მსხვერპლის გაორებული დამოკიდებულება მოძალადის მიმართ“. უფრო გასაგებად, მიუხედავად ძალადობისა, ქალსა და მამაკაცს შორის, ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა აგებული ძალადობაზე. ქალი განიცდის სიყვარულს, მისადმი აკავშირებს თბილი ურთიერთობა და სხვა რელობაში გადასვლა მისთვის დამაბნეველია, რასაც ხელს უწყობს ასევე თვით მოძალადის მოქმედება. ვთქვათ, მისი წამიერი შეცვლა, პატიების თხოვნა და ა.შ. ოჯახის შექმნის დროს ურთიერთობისას ძალადობის გამოვლენის ფორმები ნაკლებად აღქმადია, რადგან პარტნიორთა აზრები ორიენტირებულია სიმშვიდის შენარჩუნებისკენ, ურთიერთობის გამყარებისკენ, ისინი ხვდებიან რომ მცირედზე პრობლემების ჭამოჭრამ შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობის შეწყვეტა. თავდაპირველი პროცესები, ნერვული სტრესის მატებასთან ერთად, გამოიხატება სხვადასხვა მოქმედებებში: კარის მიჯახუნება, ჭურჭლის მტვრევა, ემოციური ფაქტორის მკვეთრი ფორმით ზრდა, რაც შემდგომში გადადის პარტნიორისადმი შეურაცხყოფაში, ყვირილში და სხვ. მოძალადე უმიზეზოდ ეჭვიანი ხდება და ცდილობს ყველანაირად კონტროლის ქვეშ ჰყავდეს მსახვერპლი, რაც შეიძლება გამოიხატოს მისი გარე სამყაროს მოწყვეტაში, ახლობლებთან ურთიერთობის აკრძალვაში, რომელიც იწვევს ურთიერთობის გამწვავებას, მაგრამ ძალადობის ფაქტების დადგენის შემდეგ ვითარება იცვლება, დგება სიმშვიდის ფაზა, როდესაც დამნაშავე, თითქოსდა, გულწრფელად ინანიებს თავის საქციელს, თავს აცოდებს

დაზარალებულს, ეუბნება რომ ეს არასოდეს არ განმეორდება. სწორედ აქ თუ ხდება მსხვერპლის არასწორი გადაწყვეტილების მიღება, დაცვის სხვადასხვა მექანიზმების გამოუყენებლობა, შეიძლება მივიღეთ უფრო მძიმე შედეგამდე, ვიდრე ეს დაზარალებულს წარმოუდგენია. ასეთ პერიოდულ ცვლილებებს უწოდებენ „მათრახისა და თაფლიანი კვერის“ პოლიტიკას, როდესაც ის გაურკვეველ მდგომარეობაშია. სხვა მესამე პირი შეიძლება ხედავდეს რომ ეს არის ერთგვარი იარაღი ურთიერთობის შენარჩუნებისა, მაგრამ მსხვერპლს დაკარგული აქ მოვლენების სწორად გაანალიზების უნარი მოძალადის მიმართ, რომლის სახეცვლილების პირობების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. შემდგომ პერიოდებში ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს უვითარდებათ ე.წ. „მძევლის სინდრომი“, რაც ნიშნავს დაზარალებულის მხრიდან დამნაშავესადმი სოლიდარობის გამოცხადებას, ამ სინდრომის წარმოშობას ხელს უწყობს : ხანგრძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, მსხვერპლის რწმენა იმისა, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, აჯილდოებს მას კარგი საქციელისათვის და სჯის ცუდისთვის, ამ დროს დაზარალებული ფიქრობს იმაზე, თუ რა საქციელი მოეწონება მოძალადეს, შესაბამისად ის საკუთარ თავს მოძალადის ადგილზე წარმოიდგენს ხოლმე და ცდილობს ამოიცნოს მისი სურვილები, რასაც საბოლოოდ მივყავართ მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებამდე.

რატომ რჩება ქალი მოძალადე მამაკაცთან?

როგორც უკვე ვთქვით, ოჯახური ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა. მას არ გააჩნია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ კლასობრივი საზღვრები. თუმცა ეს პრობლემა სიმწვავის მიუხედავად, მაინც საიდუმლო ხასიათს ატარებს საზოგადოებაში. ძალადობის მსხვერპლებს რცხვენიათ აღნიშნული პრობლემის საჯაროდ განცხადება, არ სურთ ოჯახის დალატი, ემინიათ შურისძიების, გამომდინარე აქედან, უფრთხილდებიან ახლობლების სიცოცხლეს, იცავენ გარშემო მოყოფთა უსაფრთხოებას. რა თქმა უნდა პრობლემა უნდა დაიდლოს, სახელმწიფოს განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, რადგან უმეტესად ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ვერც წარმოიდგენს რომ მას აქვს დაცვისა და დახმარების უფლება. თუნდაც იმიტომ, რომ მათში მძლავრობს დაუძლეველი შიში საზოგადოების, ახლობლების გაკიცხვისა, ამის პარალელურად, ასე

ვთქვით, მსხვერპლის დუმილის სანაცვლოდ, შვილი, რომელიც ხედავს, თუ როგორ სცემს მამა დედას, ასაკის მატებასთან ერთად თვითონვე ახდენს მსგავსი საქციელის პროვოცირებას საკუთარ ოჯახში. პრაქტიკულად არ არსებობს მონაცემები, რომლებიც ამტკიცებს ქალის მიერ ძალადობაზე მამაკაცის პროვოცირებას. ასეთ ადამიანს მუდმივად ტრამვირებულ მდგომარეობაში უწევს ცხოვრება, ყოველთვის დანაშაულის ჩადენის ძიებაშია და ფიქრობს ერთზე: „ვის რა ზიანი მიაყენოს“.

მათთვის, ვინც ძალადობრივ ურთიერთობებს გარედან ადევნებენ თვალყურს, გაუგებარი საკითხი არის ის, თუ რატომ რჩება ქალი მოძალადე მამაკაცთან. მოტივი ამისა შეიძლება იყოს:

- სიტუაციური ფაქტორები, კერძოდ, ეკონომიკური დამოკიდებულება, როგორ შეინახავს შვილებს ან საკუთარ თავს, გადარჩენა, შიში იმისა, რომ პარტნიორი მოძებნის და მოკლავს თუ მას მიატოვებს, რაც ზოგჯერ რეალურ საფრთხეს ეფუძნება და პრაქტიკულიც არის ცხოვრებაში.
- ბავშვებისათვის ემოციური თვალსაზრისით ემოციური ზიანის მიყენების შიში, თუმცა ოჯახში დარჩენით თვითონვე ვერ ხვდება, თუ რა ზიანს აყენებს ბავშვის ფსიქიკას. ამ დროს შვილი მუდმივ გაუგებრობაშია, ვინაიდან მას მუდმივად დედის შეურაცხმყოფელი სიტყვები ესმის, ხედავს როგორ ჩხუბობენ მშობლები. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძლიერ ტრამვას აყენებს ბავშვის ფსიქიკას.
- ასევე ალტერნატიული საცხოვრებლის, მხარდაჭერის იმედის არ ქონა ოჯახისაგან, მეგობრებისაგან, სამართალდამცავი ორგანოებისაგან და ა.შ.
- ყველაზე პრაქტიკული რაც არის ოჯახის ზეწოლა, ვინაიდან დედა ყოველთვის ამბობს : „მე გეუბნებოდი ის არ შეიცვლება ან შენ გააკეთე შენი არჩევანი ან აიტანე ეს ყველაფერი“.
- შეიძლება იყოს ემოციური ფაქტორები: სიმარტოვის შიში, რომ მარტო ვერ გააერთმევეს ოჯახს თავს.
- სიბრალული: ქალს ეცოდება მოძალადე მამაკაცი, რადგან იხსენებს მასთან გატარებულ რამდენიმე ბედნიერ წუთებს.
- შიში, რომ მოძალადე ჩაიდენს თვითმკვლელობას.
- სირცხვილისა და შეურაცხყოფის შეგრძნება, რომ მას არ უნდა ვინმემ იცოდეს მისი მდგომარეობის შესახებ, რათა არ გახდეს საზოგადოების გაკიცხვის ღირსი.
- უსაფუძვლო ოპტიმიზმი, რომ მისი პარტნიორი შეიცვლება.

- თვითშეფასების ძალიან დაბალი შეგრძნება, ჰგნია რომ არის ძალიან უშნო, მსუქანი, სჯერა ყველაფრის, რასაც მას მოძალადე უწოდებს.
- პირად მიზეზებს რაც შეეხება, არის:
- მოძალადე მამის ყოლა უკეთესია, ვიდრე მამის საერთოდ არ ყოლა.
- რელიგიური ფაქტორის გათვალისწინება, რომ ქორწინება ეს არის წმიდათა წმიდა საჩუქარი და ის სამუდამოა.

ოჯახური ძალადობის გავლენა ბავშვზე

აღნიშნულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა, გარდა იმისა რომ მოქმედებს ქალის ემოციურ მდგომარეობაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვზე, რომელიც იზრდება ძალადობის მატარებელ ოჯახში. ასეთ ვითარებაში ბავშვები საკუთარ თავზე განიცდიან როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ძალადობას. ისინი იღებენ „არაპირდაპირ“ ზიანს, როდესაც დასახიჩრება შეიძლება მოხდეს მშობლებს შორის ჩხუბის დროს, ამ დროს ერთმანეთის მიმართულებით სხვადასხვა საგნების გამოყენების შედეგად ზიანი შეიძლება მიადგეს ჩვილს, როდესაც დედას ის ხელში უჭირავს და სწორდ ამ დროს ხორციელდება მის მიმართ ძალადობა. ასაკით დიდი ბავშვები ზიანდებიან მაშინ, როდესაც იცავენ დედას მასზე განხორციელებული ძალადობისაგან. ასეთ გარემოში გაზრდილი ბავშვები მიდრეკილნი არიან ალკიჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, აქვთ მეტყველების, გონებრივი განვითარების დეფექტები, ასევე, ფსიქოლოგიური თუ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ უჭირთ ურთიერთობის დამყარება და ხშირად აცდენენ სკოლას.

თანამედროვე პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები

საერთაშორისო დონეზე ოჯახური ძალადობა განიხილება, როგორც ქალის მიმართ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ნაწილი, რომელსაც გაერთიანებული ერების მიერ მიღებული დეკლარაცია „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“ განსაზღვრავს, როგორც გენდერულ საფუძველზე ჩადენილ ნებისმიერ აქტს, რომელიც „ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტრამვას აყენებს ან შეუძლია მიაყენოს მსხვერპლს. მათ შორის ასეთ ქმედებასთან დაკავშირებული მუქარა, თავისუფლების იძულებითი ან თვითნებური აღკვეთა, განურჩევლად იმისა, თუ სად ხდება, საზოგადოების თუ პირად ცხოვრებაში. საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, საშუალებას გვაძლევს, ოჯახურ ძალადობაზე ისე ვილაპარაკოთ, როგორც ადამიანის უფლებათა

დარღვევაზე და სახელმწიფოს ვალდებულებაზე-ეფექტური საშუალებების გამოყენებით მოძებნოს გზები ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის. მთელს მსოფლიოს ოჯახებში არსებობს მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ძალადობრივია ქალისა და ბავშვის მიმართ და მის ჯამრთელობას ზიანს აყენებს. მაგალითად, ახალგაზრდა გოგონებს უწევთ დაემორჩილონ მკაცრ წესებს. მათ ეკრძალებათ გარკვეული სახის ტანსაცმლის ჩაცმა, ხშირად უბიძგებენ პროსტიტუციისაკენ, ვერ სარგებლობენ სრულად საკუთრების უფლებით და არის შემთხვევები, როდესაც მათ კლავენ კიდევაც ოჯახის ღირსების დაცვის მოტივით. არსებობს კულტურული ღირებულებები და პრაქტიკა, რომელიც არღვევს ქალის გამოხატვის უფლებას და, ასევე, თანასწორობისა და ღირსების პრინციპებს. მსგავსი პრაქტიკა ერთობლიობაში აყალიბებს ოჯახურ ძალადობას, რომლის იგნორირებაც ხშირად ხდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს კულტურული რელატივიზმი არც თუ იშვიათად გამოიყენება ქალის წინააღმდეგ არაჰუმანური და დისკრიმინაციული გამართლებების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნათლად არის გაწერილი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში, მათ შორის, გაეროს კონვენციაში „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას იმისათვის, რომ შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენების, ადათწესებისა და სხვა ისეთი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ეფუძნება ერთი სქესის უპირატესობის იდეას, ან ქალისა და მამაკაცის როლების სტერეოტიპულ გააზრებას (მუხლი 5).

აღნიშნული კონვენციის თანახმად „ მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ყველანაირ გამოვლინებას, თანახმანი არიან, ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყონებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით კისრულობენ ვალდებულებას. დეკლარაცია „ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ, ასევე ამბობს (მუხლი 4) „ სახელმწიფომ უნდა დაგმოს ქალის მიმართ ძალადობა ან არ უნდა დაუჭიროს მხარი რაიმე ადათს, ტრადიციას ან რელიგიურ მოსაზრებას, რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ძალადობის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

გაეროს კონვენციის მე-16 მუხლი ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ წერს : „მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცის და ქალის თანასწორობის საფუძველზე. მაგრამ ხშირად ეს პრინციპები წინააღმდეგობაში მოდის ამა თუ იმ ქვეყნის რელიგიასა და ჩვეულებით სამართალთან. რელიგია და სამართალი, ეს ხომ, რთული ფენომენია, მაგრამ პრობლემა რჩება პრობლემად მაშინ, როდესაც პიროვნება დგება რადიკალურად განსხვავებული ალტერნატივის: დაწერილი თუ დაუწერიელი (ჩვეულებითი) სამართლის წინაშე. ამ დროს მნიშვნელოვანია ადამიანის შინაგანი რწმენა საკითხთან სწორად მიდგომის თვალსაზრისით, თუ რამდენად რელიგიურ მოძღვრებებზე ან სამართლებრივი ნორმების საფუძველზე არის აგებული მისი ცნობიერება.. ადათი-წესი, ეს არის ჩვეულებითი სამართლით დარეგულირებული ურთიერთობა მაშინ, როდესაც არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების- კანონის შესრულების სავალდებულო ხასიათი, რომლის თანახმადაც დაუშვებელი და აკრძალულია სხვისი უფლებების დარღვევა. ყველანი ვალდებული არიან პატივი სცენ კანონს, რადგან კანონის დაუცველობა გამოიწვევს სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობას, ისევე როგორც ადათ წესების დარღვევის შემთხვევაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ დროს ერთი, კონკრეტული ინდივიდიც კი შეიძლება გამოვიდეს მოსამართლის, როგორც ამა თუ იმ ქმედების გამკიცხავის როლში. ერთ შემთხვევაში თვით სახელმწიფოს სხვადასხვა სტუქტურული ორგანოები ზრუნავენ დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, ხოლო მეორე რელიგიურ იდეოლოგიებზე დაყრდნობით ეწინააღმდეგება კანონს, რადგანაც მიაჩნია, რომ კანონი ეწინააღმდეგება მათ რელიგიას, მისთვის კი უმთავრესი არის ადათი, სარწმუნოება, შემდეგ სამართალი და კანონი. ჩვენს შემთხვევაში, ამ საკითხის განხილვის თვალსაზრისით, შესანიშნავი მაგალითია საქართველო და აქ დამკვიდრებული ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“. ამასთან კონსტიტუცია გვეუბნება „კანონის წინაშე თანასწორობა“-ზე მაშინ, როდესაც რელიგია გვესაუბრება ქალის ვალდებულებაზე - „დაემორჩილოს მამაკაცს, რომელიც უნდა ბატონობდეს ქალზე“. პრაქტიკულად, გამოდის, რომ ქალი, როგორც საზოგადოების ნაწილი, კანონის და რელიგიის (ადათწესების) წინაშეც უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფება. პირველ შემთხვევაში, კანონი,

თითქოსდა ფორმალური ხასიათისაა, რადგან ადამიანს, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, რომელსაც ითვალისწინებს კანონი, ექნება პრობლემების გადაჭრის არასამართლებრივი მექანიზმები (ყოველ შემთხვევაში ამისი სურვილი დიდი იქნება). ამ ვითარებაში ამა თუ იმ ადამიანში, კანონზე ზეგავლენას ახდენს რელიგია (ჩვეულებითი სამართალი), რომელიც სამართლებრივი მიდგომით, თრგუნავს ქალის მდომარეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ეწინააღმდეგება კიდევ კანონს. იგივე, ოჯახური ძალადობის მაგალითზე ის ადამიანები, რომლებშიც მკვეთრად არის გამჯდარი რელიგიური თუ ადათწესთა შეხედულებები, ძნელად იცავენ სამართლებრივ ნორმებს, ხოლო მისი დამცველი გამოდის რელიგიასთან (საკუთარ სარწმუნოებასთან მიმართებით წინააღმდეგობაში). ბუნებრივია, აღნიშნული მოსაზრება არ არის იმპერატიული ხასიათის და შეიძლება არსებობდეს, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო, ისე თანმხვედრი აზრები.

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, შემამფოთებელია ის გარემოება, რომ ჩვენს საზოგადოებაში მამაკაცის „ვაჟკაცობის“, ისევე, როგორც ქალის „ღირსების“ თანამედროვე, ტრადიციის დამახინჯებულ აღქმაზე დამყარებული გაგება, აშკარად ხელს უწყობს ძალადობას და ამ პრობლემის ფართო მასშტაბით გავრცელებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოციალური განვითარების დაბალ დონეზე არსებული საზოგადოება არ ანიჭებს ქალს სამოქალაქო ან საკუთრების უფლებას და, როგორც წესი, ეს ძირითადად საფრთხის ქვეშ მყოფი საზოგადოებაა. ქალთა უფლებები სწორად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ ქალებმა უნდა მოახდინონ ამ უფლებით სარგებლობა იმ საზოგადოებაში, სადაც ისინი ცხოვრებას ირჩევენ.

სხვადასხვა კულტურული პრაქტიკა, რომელიც იწვევს დისკრიმინაციას, საჭიროებს საერთაშორისო ყურადღებას. ქალის უფლება დამოუკიდებლად აირჩიოს პარტნიორი და განაცხადოს თანხმობა მასთან ქორწინებაზე, ასევე, ქორწინებაში თანაბარი უფლებით სარგებლობის უფლება, განქორწინების უფლება-ეს ის საკითხებია, რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს და არაერთ ქვეყანაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საოჯახო ურთიერთობებში ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არათანაბარ მიდგომარეობაში აყენებს ქალებს და მათ მიმართ, რა თქმა უნდა დისკრიმინაციულია. ზოგიერთ ქვეყანაში, კანონის

მიხედვით, ქორწინებაზე თანხმობას აცხადებს ქალის მამაკაცი მეურვე და არა თავად ქალი. ქალებს ეზღუდებათ მემკვიდრეობის მიღების უფლება მამის ან მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ან მეუღლესთან განქორწინებისას. ზოგიერთ ქვეყანაში უკანონო ბავშვებს არ გააჩნიათ არანაირი კანონიერი უფლება, ხოლო წყვილს ასეთი ბავშვის შვილად აყვანა ეკრძალება. ყველაფერი ეს არღვევს გაეროს კონვენციას ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ.

დასკვნა

როგორც უკვე ვთქვით, ხშირად ოჯახში ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა გამართლებულია დომინანტური იდეოლოგიით და საზოგადოებრივი სტრუქტურებით. ეს იდეოლოგიები და სტრუქტურა ადრეულ პერიოდში ჩამოყალიბდა, მაგრამ ჯერ კიდევ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე და ხალხის ცხოვრებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქალის მიმართ მავნე დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოყენებას. დღეს ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნის, ქართული საზოგადოების ძირადი შემადგენელი ნაწილია, რაც თითოეული ჩვენთაგანისთვის მნიშვნელოვანია და გადაჭრას მოითხოვს. ეს ყველაფერი კი შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ხასიათის ღონისძიებების ერთდროულად გატარების შემთხვევაში და უმთავრესი, სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებით. იმიტომ რომ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქალი თვითონ ირჩევს საკუთარი ცხოვრების ბედს, კერძოდ, საკუთარი სიცოცხლე შესწიროს დაუწერელი სამართლის წესებს, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში მივყავართ ერის დაცემამდე, თუ აირჩიოს ის სამართლებრივი მეთოდები და საშუალებები, რომლებიც იქნება მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება. ეს არის არა რომელიმე ინდივიდის, არამედ საზოგადოების პრობლემა 21-ე საუკუნის საქართველოსა. რა თქმა უნდა, ის „ქართული ღირებულებები“, რამაც საქართველო სახელმწიფოდ შექმნა, უნდა იქნეს დაცული და შენარჩუნებული, მაგრამ მოვლენების სწორად აღქმა და ვითარების გაანალიზება ეს ის ფუნდამენტური საკითხია ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც იმედია ადრე თუ გვიან შესაბამის შედეგს პოვებს ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ნაფიც - მსაჯულთა სასამართლო

მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი. ერთის სიტყვით, ჩვენი კაცურიკაცობა, ჩვენი ადამიანობა, იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთესკაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმადლეზე დაყენებული.

ილია ჭავჭავაძე

შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში გავრცელებული ინსტიტუტია, რომელიც გულისხმობს, მართლმსაჯულების განხორციელებას არამარტო მოსამართლის, არამედ რიგითი მოქალაქეების მონაწილეობით. პროცესზე მსაჯულები უსმენენ ბრალდების და დაცვის მხარეს. აკვირდებიან მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც ისინი მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას განსასჯელის ბრალეულად ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.

2010 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს, კანონით დადგენილი წესით, ყველა მოქალაქის პირდაპირ, უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების სისტემაში. ნაფიცი მსაჯულები თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე წყვეტენ პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხს.

პირველად ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების სიტემაში დამკვიდრდა 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებით. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, “საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით”. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირგვლივ მსჯელობა. ეს ინსტიტუტი ახალი დანერგილია, საზოგადოება არ არის კარგად გათვითცნობიერებული მის შესახებ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სწორედ საზოგადოებაში მეტად ამაღლდეს ცნობიერება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირგვლივ. რათა აქტიური გავითარება ჰპოვოს საქართველოში. გარდა ამისა, ხალხს, რომ გაუჩნდეს ნდობა სასამართლო ხელისუფლებისადმი, რაც ნამდვილად წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიზანს. უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს: არის თუ არა ნამდვილად დემოკრატიული ეს ინსტიტუტი? და არაპროფესიონალ მსაჯულთა მიერ, მართლმსაჯულების განხორციელების

პროცესში მონაწილეობით, ირღვევა თუ არა „სამართლიანი სასამართლოს“ პრინციპი?

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პირველ რიგში, სამართლის ნორმათა გადმოცემის სისადავეს ითხოვს. სწორედ ამით შეუწყო მან ხელი **პრეცედენტული სამართლის** შემოღებას ინგლისსა და აშშ-ში. ამ ქვეყნებში – კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კონსტიტუციურადაა განმტკიცებული კანონის უზენაესობა – სასამართლო პროცესზე არა მხოლოდ იყენებენ კანონს, არამედ ახალ საკანონმდებლო აქტებსაც კი ქმნიან.⁷⁴

საქართველოს იურისტთა წრეებში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. მათი ზოგიერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს საკმაოდ დემოკრატიული ინსტიტუტია და ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო მოტივირებული უნდა იყოს, რომ გახდეს მონაწილე სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის, ხოლო სკეპტიკურად განწყობილი ნაწილი კი თვლის, რომ ამჟამად ქართული საზოგადოება არაა მზად მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

§1. ისტორიული წინამძღვრები

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ნაფიც მსაჯულთა სამშობლოდ ითვლება ადრეული შუა საუკუნეების

⁷⁴ თ. რეხვიაშვილი; „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ - ანალიტიკური მიმოხილვა. გვ. 1

ინგლისი, სადაც წარმოიშვა და შემდგომ მისი გავლენით გავრცელდა მის კოლონიებშიც. არსებობს ვერსია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინგლისში მე-9 საუკუნეში წარმოიშვა ალფერდ დიდის ზეობისას. გარდა ამისა არის კიდევ მეორე ვერსია, რომ ეს ინსტიტუტი პირველად გამოჩნდა საფრანგეთში 829 წელს, წმიდა ლუდოვიკოს (ღვთისმოსავის) მმართველობის დროს.⁷⁵ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისი ფესვები სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპზე გააჩნია.

თავდაპირველად საზოგადოება მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობდა ძველ საბერძნეთში, სკანდინავიის ქვეყნებში: ნორვეგიასა და შვედეთში.⁷⁶ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის, უძველეს წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იგივე ჰელიეას. სახალხო მოსამართლეებს დიკასტერებსა და ჰელეასტებს უწოდებდნენ. ჰელიეას ე.წ. ჰელიესტა სასამართლოს, რომელმაც, მიუხედავად ცალკეული მიუტყევებელი ტრაგიკული შეცდომების დაშვებისა, იყო და რჩება საოცარ, გრანდიოზულ ფენომენად მართლმსაჯულების ისტორიაში.⁷⁷

რომის რესპუბლიკის შექმნიდან, იმპერიის არსებობის დასრულებამდე, რომში არსებობდა ტრიბუნალები, მსაჯულების მონაწილეობით. მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა მიმდინარეობდა მსაჯულთა საბჭოს წინაშე, რომელიც შედგებოდა 100 ან 1000 ადამიანისგან. ისინი მონაწილეობდნენ ხმის მიცემაში, პირის ბრალეულობის განსაზღვრის მიზნით.⁷⁸

დღევანდელ ნაფის მსაჯულთა სასამართლოს მე-11 საუკუნის ინგლისს უკავშირებენ. მას შემდეგ, რაც 1066 წელს ინგლისი დაიპყრეს ნორმანებმა, დამკვიდრდა წესი, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას

⁷⁵ ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ ნ.სონგულია; „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ.74.

⁷⁶ Electronic Law Library. კ.წიქარიშვილი; ლარს იორჰენდი; “ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ (დასავლური სისტემების მიმოხილვა) გვ.10. დაწვრილებით იხ.ამ საკითხის შესახებ: William Forseith; “History Jury Trial”

⁷⁷ ი.გაბისონია; “ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ.124

⁷⁸ თ.ბეჟაშვილი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების ტენდენციები“. იხ. ვებ გვერდი: http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamartlo_final.pdf.

აიძულებდნენ, ფიცის ქვეშ ეთქვათ სიმართლე. სიტყვა („ჟიური“) მოდის ლათინური სიტყვა „jurare“-სგან, რომელიც დაფიცებას გულისხმობს. უპირველესად ნაფიც მსაჯულებს იყენებდნენ ინფრომაციის წყაროდ, მაგრამ შემდგომ პერიოდში მათ იწვევდნენ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების გადასაწყვეტად.⁷⁹

ნაფიც მსაჯულთა ჟიური ერთადერთი სასამართლო წარმონაქმნია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება – თუ ეს საჭიროა სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად, იგი დააფუძნოს არა კანონზე, არამედ სამართლიანობის მისეულ გაგებაზე. სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა ჟიური მანიპულირებს არა იურიდიული კატეგორიებით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით, “სალი აზრით”, საზოგადოებრივი მორალით, ინდივიდუალური სინდისით და “ადამიანურობის” კრიტერიუმებით.⁸⁰

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების აღიარება მოხდა ინგლისში 1215 წელს, როდესაც მეფემ საყოველთაო სახალხო მოთხოვნის ზეგავლენით ხელი მოეწერა მაგნა კარტას – დოკუმენტს, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის უფლებას, მისი საქმე განხილული ყოფილიყო “თანამოქალაქეთა” მიერ.⁸¹ ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გადასვლის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს 1194 წელი, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ფუნქციები შეიცვალა. კერძოდ, მსაჯულთა ფუნქციები თანდათან გათავისუფლდა სამმებრო-საბრალდებო კომპეტენციისგან და მოხდა მათი მიწვევა სისხლის და სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად. საბოლოო კი ეს „გათავისუფლება“ გამოიხატა დიდი და მცირე ჯიურების სისტემაზე გადასვლაში.⁸²

ამავე პერიოდში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეიქმნა დიდი ჟიური, რომელიც იწონებდა ან უარყოფდა კონკრეტული პირისადმი წაყენებულ ბრალდებას და მცირე ჟიური, რომელსაც ევალებოდა

⁷⁹ იხ. იქვე კ. წიქარიშვილი ლარს იორჰენდი; გვ. 10 დაწვრილებით იხ. ნილ ვიდმარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ (საერთო სამართლის ქვეყნები) გვ. 19

ბრალეულობისა და არაბრალეულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა. ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური ანუ, „საბრალდებო ჟიური“ ინგლისში ჩამოყალიბდა მეთოთხმეტე საუკუნეში. თავდაპირველად შემადგენლობა იყო 12-23 მსაჯული. ისევე როგორც მცირე ჟიურის 12 კაციანი შემადგენლობა, შემთხვევითობის პრინციპით დგებოდა. დიდმა ჯიურიმ ინგლისში 1993 წლის ბოლომდე იარსება. ხოლო მას მთლიანად ჩაენაცვლა, პროფესიონალი როგორც ორიფესიონალი მოსამართლე ისე მაგისტრანტი მოსამართლე.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიურის, იგი წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთავარ ღერძს, ძირითად საკვანძო ფორმას. იგი 12 კაცისგან შედგება და წარმოადგენს კოლეგიას, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად განხილვას ვერდიქტის გამოტანის მიზნით.

პირველ ეტაპზე ინგლისში მსაჯულები ირჩეოდნენ საქმის ცოდნის მიხედვით, ხოლო შემდგომ მიღებული იქნა ისეთი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსაჯული საქმესთან არანაირ კავშირში არ უნდა ყოფილიყო. შუა საუკუნეებში, ნაფიც მსაჯულებს ხშირად ფიზიკურ ორდალიებს უქვემდებარებდნენ. ხშირად ხდებოდა ისე, რომ ნაფიც მსაჯულებს კეტავდნენ ოთახში, არ აძლევდნენ მათ საკვებს და სითბოს, მანამდე, სანამ ისინი არ დაადგენდნენ გამატყუნებელ განაჩენს. მაგალითად,

ასეთი ფაქტი დაფიქსირდა 1640 წელს, როდესაც მსაჯულებმა უარი განაცხადეს შეთქმულებაში თანამონაწილეებად ეცნოთ უილიამ პენი და უილიამ მედი. სწორედ ამის გამო, ორი დამით ჩაკეტეს ოთახში საკვების და წყლის გარეშე.⁸³

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემაში

ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლი თანამედროვე სასამართლო სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან

⁸³Electronic Law Library კ.წიქარიშვილი; ლარს იორჰენდი; „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ (დასავლური სისტემების მიმოხილვა) გვ. 10, იხ აგრეთვე InternacionaI Society of Individual Liberty – A History of Jury Nulifikation.

ხალხი როგორც ხელისუფლების წყარო უშუალოდ ახორციელებს მის სუვერენულ უფლებამოსილებას და მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლო პროცესში იქმნება მნიშვნელოვანი სოციალურ-სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების გათვინობიერებას ნაფიც საჯულთა ინსტიტუტის შესახებ და მნიშვნელოვნად ამაღლებს ნდობას სასამართლო ხელისუფლებისადმი.

პროფესორ ი.გაბისონიას აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ხელისუფლების და კერძოდ, მისი წამყვანი და უპირატესი ფორმის მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ხალხის სუვერენული უფლების ყველაზე უშუალოდ და ქმედითად რეალიზაციის კოლეგიური, სპეციფიკური მექანიზმია. ასევე მიაჩნია, რომ ხალხის უშუალო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, ეს არის პრინციპი, რომელიც არა მარტო გამოხატავს მართლმსაჯულების დემოკრატიულ საწყისს, არამედ საზოგადოების სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტსაც წარმოადგენს.

გარდა ამისა, ხალხის უშუალო მონაწილეობა, აქ უკეთ უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ კონტროლს, ხელს უწყობს „ხალხის ინტერესებიდან მის დაინტერესებას“, რითაც ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლებას. რადგან ზნეობრივად „ამაგრებს მის უმაღლეს ავტორიტეტს, საზოგადოებაში ამკვიდრებს სამართლიანობის განცდას. თაბამედროვე ცივილიზირებულ სასამართლო სისტემებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მეტად მნიშვნელოვანი დასტური და გამოხატულებაა მისი ინსტიტუციური „ფიზიონიმის“ ისეთი ელემენტი, როგორცაა გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პირობები.⁸⁴

3. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, საქმეთა განხილვა, გადაწყვეტილებათა მიღება, გადაწყვეტილების მიღება და მეთოდიკა (ინგლისური მოდელის მიხედვით)

ნაფიც მსაჯულები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ, როგორც სხვადასხვა ფორმით ასევე კოლეგიის შემადგენლობით. კონტინეტურ - ევროპულია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის

⁸⁴ ი.გაბისონია. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ.110,111.

ქვეყნებში. არსებობს გარკვეული მსგავსი მეთოდები და ხერხები.თუმცა არსებითი განსხვავებები შეინიშნება განსჯადობასთან მიმართებით, სადაც თითოეული სახელმწიფო ცალკე სამართლებრივ რეგულაციას ადგენს, თუ კონკრეტულად რა სახის და რა კატეგორიის დანაშაულის საქმეების განხილვა უნდა მოახდინოს უფლებამოსილმა ნაფიც მსაჯულთ სასამართლომ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ცალკეული ძირითადი საკითხი და მოხდეს განხილვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებული მოდელების და პრინციპების, რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე.

3.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯადობა

აშშ-ის კონსტიტუციის მეორე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, „ყველა დანაშაულს იმპიჩმენტის პროცედურის გარდა, განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“. კონსტიტუციის მე-6 შესწორების მიხედვით, „ყველა სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულს უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს მიუკერძოებელმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიმოიხილა და ჩათვალა,რომ აშშ-ის კონსტიტუცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წვრილმან დანაშაულთა საქმეებზე.⁸⁵

განსჯადობასთან დაკავშირეთ საინტერესოა საკონსტიტუციო ფაქტორიც,იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის და სიმძიმის საქმეები უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. განსჯადობას მაგალითად ადგენს აშშ-ის და კანადის კონსტიტუცია.ზოგიერთ ქვეყნებში მსგავსი კონსტიტუციური ნორმა არ არსებობს. მაგალითად დიდ ბრიტანეთში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ასპექტი, მაგ: დიდ ბრიტანეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ უფრო მეტად ძვირ სიამოვნებად მიიჩნევა და ეს ძირითადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეზღუდვის მომხრეთა წიქვილზე ასხამს წყლს.⁸⁶

საფრანგეთში კანონმდებელი ხშირად ახორციელებს ე.წ. „კორექციონალიზმის“ პროცესს,რომლის მიხედვით სულ უფრო მეტი

⁸⁵კ.წიქარიშვილი;ლარს იორჰენდი; “ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“(დასავლური სისტემების მიმოხილვა).გვ.20

⁸⁶კ.წიქარიშვილი. იხ.იქვე გვ.21.

დანაშაული გამოდის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციიდან და ექვემდებარება გამასწორებელ სასამართლოს (Tribunal Correctinel) განსჯადობას.⁸⁷

ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა შესაძლოა განისაზღვროს სასჯელის მოსალოდნელი ზომის მიხედვით.(აშშ და კანადა)ასევე დანაშაულის ტიპის მიხედვით(ესპანეთი და რუსეთი) ან ორივე კრტიტერიუმით.კანადის კანონმდებლობით,საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,ხოლოდ იმ შემთხვევაში,როდესაც განსასჯელს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა,რომელიც ისჯება 5 წლით ან უფრო მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით.⁸⁸

ბელგიაში სკამოდ შეზღუდულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა,ის მხოლოდ ისეთ დანაშაულს განიხილავს,რომელიც მხოლოდ 20 წელსზე მეტი თავისუფლების არკვეთით ისჯება. **დანიამში** ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა იმ საქმეებზე ვრცელდება,რომლებიც ოთხ ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ირლანდიის** კონსტიტუცია კი საერთოდ გამორცხავს, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის სფეროდან „უმნიშვნელო დანაშაულებს“სამხედრო და სპეციალური სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულებს.⁸⁹

3.2 ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმის მოსმენის თავისებურებები.

ინგლისში ეს სტადია ფაქტობრივად ეხება მხოლოდ ე.წ.საბრალდებო აქტით დევნად დანაშაულებს.თავდაპირველად წინასწარ მოსმენას,(სამართალში მიცემას) ატარებდა არა ნაფიც მსაჯულთა მცირე,არამედ დიდი ჟიური.ამ სუბინსტიტუტის ერთ-ერთი ფუნქცია იყო საქმის წინასწარი(არსებითად განხილვამდე)მინი

⁸⁷ იხ.იქვე გვ.22

⁸⁸ თ.რეხვიშვილი;“ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ ანალიტიკური მიმოხლივა.იხ იქვე.საფრანგეთში კანონმდებლობაში „კორექციონალიზმის“ ტენდენცია შეინიშნება, რომლის შედეგადაც დანაშაულის უფრო და უფრო მეტი ფორმა გამოდის ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციიდან და აღმასრულებელი სასამართლოს (tribunal correctionnel) განსჯადობას ექვემდებარება.

⁸⁹ თ.რეხვიშვილი;“ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“იხ.ვებ გვერდი,http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf

განხილვის ჩატარება. 1933 წლის „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ ეს ფუნქცია მთლიანად გადავიდა მაგისტრატთა ხელში. უპირველესად ეს ამ ფუნქციას ახორციელებდნენ ზეპირობისა და შეჯიბრობითის პრინციპის მეტ-ნაკლებად დაცვით.⁹⁰

მას შემდეგ რაც პროცესის გამარტივების გზები გამოინახა, მოხდა დიფერენცირება 3 ფორმად: ა) კლასიკური ან ზეპირი ფორმა, როდესაც მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს და ხდება მათი ზეპირი, ჯეროვანი გამოკვლევა, ნივთ მტკიცებულებების წარდგენა. ბ) ასევე კომპრომისული ფორმა, როცა ზეპირი წარმოება ნაწილობრივია. ხდება მხოლოდ მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვა. გ) წერილობითი ფორმა, როდესაც მტკიცებულებები ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში დაცვის მხარეს გადაეცემა მხოლოდ წერილობით.⁹¹

5.1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

5.1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს განხორციელებული განხორციელებული ცვლილებები არის საკმაოდ საკმაოდ ინოვაციური და მოიცავს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე აგებულ სისტემას, ნაცვლად ინკვიზიციურისა. ასევე შემოღებულ იქნა ახალი ინსტიტუტი, კერძოდ, დაინერგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. თავდაპირველად მისი გავრცელება წარმოდგენილია მხოლოდ თბილისის მასშტაბით, თუმცა 4 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია მისი გავრცელება სხვა რეგიონებზეც.⁹²

⁹⁰ ი.გაბისონია. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ.247. იხ იქვე, აღნიშნული წესების შესახებ, ი.გაბისონიას მონოგრაფია: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ.24.

⁹¹ იხ. იქვე გვ.248. ი.გაბისონია- 2006 წლის 28 აპრილის სსსკ-ში შეტანილი იქნა ცვლილებები, რის მეშვეობითაც ეს სტადია საქართველოში საერთოდ იქნა გაუქმებული.

⁹² რონალდ უოლფსონი; „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს სამხარეო დირექტორი. სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევები. 2012. გვ.50

ნაფიც მსაჯულთა დროებითი განსჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს, რომ: „ 2011 წლის ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს, მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, სსსკ-ის 109-ე გათვალისწინებულ დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი სსსკ-ის 109 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო”⁹³

„2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სსსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.”⁹⁴

აღნიშნული სსსკ-ის მუხლი რომლითაც განისაზღვრება სსსკ-ის 109 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეების განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობა, როგორც თბილისის ასევე ქუთაისის მასშტაბით, ეს რათქმაუნდა ეწინააღმდეგება იმ მოცემულ პათოსს რაც უკვე აღინიშნა, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გავრცელება შესაძლებელია საქართველოს სხვა რაგიონებში თბილისთან ერთად. მუხლში კი ეს არ ჩანს, რადგან მხოლოდ ქ.ქუთაისი აღინიშნება თბილისთან ერთად ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვისთვის და ვერდიქტის გამოტანისთვის.

⁹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვ:205. მუხლი 30. ნაწილი 1.

⁹⁴ იქვე იხ: <http://hcoj.gov.ge/files/news/dgis%20cesrigi/01.02.2013%20%231-9.pdf> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბრძანება: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე თბილისის, ქუთაისისა და ბათუმი საოლქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ.

6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადებითი და უარყოფითი მხარეები

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ჰყავს მოწინააღმდეგე და მომხრეები, რომლებიც, როგორც დაებით ისე, უარყოფით კონტექსტში აფასებენ მის ფუნქციონირებას. თუმცა არ ჩანს და ვერ დავასკნით იმას, რომ კონკრეტულად ერთი ან მეორე მხარის შეფასებაა სრული ჭეშმარიტება. უბრალოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, პოზიტიური და უარყოფითი კრიტიკული განხილვა, მხოლოდ მსჯელობის საგანია და ყოველივე ამან შესაძლოა საზოგადოებას შეუქმნას ერთიანი ჭეშმარიტი შეხედულება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ.

6.1.1 უარყოფითი მხარეები

ხშირად ბევრი მიიჩნევს, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული პროცესები არაეფექტურია და საქმის განხილვა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს ვიდრე პროფესიონალ მოსამართლეთა დროს. ეს განსაკუთრებით მტკიცებულებათა წარმოდგენის და მტკიცების ეტაპს ეხება. ადვოკატებს უწევთ თავიანთი სიტყვების დეტალიზება, რათა დაარწმუნონ მსაჯულები, რომ საკუთარი პორზიცია სწორად წარმოაჩინეს. გარდა ამისა მიიჩნევენ, რომ მსაჯულებს მოსმენის დაბალი კულტურა აქვთ, რის გამოც ხშირია პროცესებზე შესვენებები.⁹⁵

კიდევ ერთი კრიტიკული შენიშვნის მიხედვით, მსაჯულებს არ შესწევთ უნარი საქმეზე გამოტანონ სათანადო გადაწყვეტილება. ნაფიცი მსაჯული შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ადვოკატის მჭერმეტყველურმა სიტყვამ.⁹⁶

ნაფიც მსაჯულებს მიიჩნევენ ქუჩიდან მოყვანილ ადამიანებს. მათ არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, რაც აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად. ნაფიც მსაჯულთა პირველადი შერჩევა, შემდგომში გაცხრილვა და ზოგჯერ ხარისხიანი ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირება ვერ უზრუნველყოფს ნაფიც

⁹⁵ იხ: იქვე ო.მელქაძე; ბ დვალი; სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში.

⁹⁶ უ.ჟერნემი. ნაშრომი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ: 9. იხ: იქვე ო.მელქაძე; ბ დვალი; სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. 2002. გვ: 359. იხ იქვე: Jerom Frank, Courts on Trial Prince ton University Press. 1949. p 30.

მსაჯულთა სათანადო შერჩევას, ასევე მათ მიუკერძოებლობას და აქედან გამომდინარე ვერდიქტის ობიექტურობა სამართლიანობას. ნაფიც მსაჯულები ხშირად საქმეებს წყვეტენ კანონის საწინააღმდეგოდ, თვითნებურად მხოლოდ, რაც დაუშვებელია.⁹⁷

საქართველოში საზოგადოების ზოგიერთ წევრებს შორის ასევე უარყოფითად ფასდება ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობის ხარისხი პროფესიონალ მოსამართლეებთან შედარებით. არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ინსტიტუტი ნაკლებად თუ მოერგება ქართულ რეალობას, საქართველო პატარა ქვეყანაა, გასათვალისწინებელია მისი მასშტაბი და მივადროულად არსებობს მეზობლების და ბიძაშვილების ფაქტორის. ანუ შესაძლოა ამოქმედდეს პრინციპი: „ ჩემი დამნაშავე დამნაშავე არ არის“.⁹⁸

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ადვოკატი რეზო თოფურია მიიჩნევს, რომ გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, როგორ იფუნქციონირებს ამას მომავალი გვიჩვენებს. „თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ვერ გაამართლებს, ერთი მიზეზის გამო. ეს საქართველოა, ყველა ყველას იცნობს და შესაძლებელია, ის ნაფიცი მსაჯული, რომელიც ვერ ერკვევა სამართალმცოდნეობაში (არის ექიმი, პედაგოგი და ა.შ) გახდეს ადვილად სამართავი. ეს, რა თქმა უნდა, თავიდან არა, მაგრამ საბოლოოს აუცილებლად გხადება ცნობილი.“⁹⁹

სამართლის დოქტორი ია ჩხეიძე მიიჩნევს, რომ: „ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება, გამოტანონ გამამტყუნებელი ვერდიქტი. თუკი ვერ გამოაქვთ ვერდიქტი, ამ შემთხვევაში ითვლება მხარე გამამტყუნებლად. მიმაჩნია, რომ ეს არის არასწორი. თუნდაც მოვიყვანოთ ინგლისის მაგალითი - იქ არსებობს სპეციალური ვერდიქტი, შეუძლიათ ნაფიც მსაჯულებს, გაამართლონ ან გამამტყუნონ, მაგრამ დადგენილად მიიჩნიონ გარკვეული ფაქტები, შემდეგ მოსამართლემ გადაწყვიტოს, არის თუ არა პირი დამნაშავე.“¹⁰⁰

6.1.2 დადებითი მხარეები

⁹⁷ ი.გაბისონია; „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ:93 - 94

⁹⁸ <http://www.geotimes.ge>

⁹⁹ <http://www.humanrights.ge>

¹⁰⁰ <http://www.psnews.ge>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, გარდა უარყოფითად განწობილი კრიტიკოსებისა, ასევე დადებითად ახასიეთებენ იურისტთა წრეებში. მაგალითად კრიტიკოსებს შორის - არსებობს მოსაზრებები, რომ ნაფიც მსაჯულები არღვევენ სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რადგან მათ არ იცინ სამართლებრივი ნორმები და მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობებიდან გამომდინარე, არასამართლებრივი საკითხების გამოყენებით წყვეტენ განსასჯელის ბრალეულობის საკითხს.

სამართლის დოქტორის, პროფესორ იური გაბისონიას აზრით, ზემოაღნიშნული შეხედულება არამართებული და საკმაოდ დაუზუსტებელია. ამის საილუსტრაციოდ სვამს რამდენიმე კითხვას: - „განა დამნაშავეა თუ არა განსასჯელი შერაცხული დანაშაულის ჩადენაში, არ გულისხმობს, როგორც მინიმუმ განსასჯელის ბრალეულობა-არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც სწორედ სამართლებრივი საკითხია?“ „შერაცხული დანაშაულის სწორი შეფასება, განა შესაძლებელია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენისა და მათი შეფასების, პრობლემატიკის და მეოდიკის გარეშე?“. ¹⁰¹

პროფესორ ოთარ მელქაძია აზრით: - „ნაფიცი მსაჯულის არსებობა, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებისა და თვითმმართველობის პრინციპის რეალიზაციას მმართველობის პროცესში, ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩაბმის გზით“. ¹⁰²

7. დაკვნა

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაშრომში მოცემული განხილვდან გამომდინარე ჩანს, რომ თეორიულად ნაფიც მსაჯულთა, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების მონაწილეობა სასამართლოს საქმის განხილვაში და განსასჯელის ბრალეულობა ან არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა ეს ნამდვილად დემოკრატიის ნათელი გამოვლინებაა, ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ ეს შეხედულება აბსტრაქტული რომ არ გახდეს და არ

¹⁰¹ ი. გაბისონია „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ გვ: 279.

¹⁰² ო. მელქაძე; ბ. დვალი; სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. 2002. გვ: 376

გამოდინარეობდეს, მხოლოდ დადგენილი დოგმებიდან, რეალურად დემოკრატიული ღირებულებების გამოსავლენად აუცილებელია სახელწიფოში დანერგილი ნაფიც მსაჯულთაა ინსტიტუტის პრაქტიკაში სწორი განვითარება.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია, ნაშრომში მოცემული ნაფიც მსაჯულთა მოდელიდან სახელმწიფომ, რომელიც ცდილობს და არჩეული აქვს დემოკრატიული გზა, აიღოს ის მოდელი და პრინციპი, რომელიც მისი ქვეყნის სამართლებრივ სისტემის შესბამისია. იმავდროულად გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების დამოკიდებულება და ინერესები. რადგან თავად საზოგადოებაა, ის უმთავრესი ნაწილი, რომელიც უშალოდ უფლებამოსილია იყოს მონაწილე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების და მისი ეფექტური განვითარებისა.

ზოგადად, დღეს ნათლად იკვეთება საზოგადოების ორაზროვანი დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი. ზედმიწევნით ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი უნდა არსებოდეს თუ არა ეს ინსტიტუტი. სწორედ ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი გარკვეულწილად მკითხველს, საზოგადოებას აუმაღლებს ცნობიერებას და საშუალებას მისცემს თუ ძირითადად რაზე უნდა გამახვილდე ყურადღება ამ ინსტიტუტის ეფექტურ განსავითარებლად.